პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— რიგაში გაიხსნა ლატვიის, ესტონეთის და ლიტვის სამრეწველო კონფერენცია.
— გაფიცვა ბომბეიში. — დაიხურა 28 წარმოება.
რეფორმისტების საარჩევნო ტერორი გერმანიაში.
ამხ. დორიოს საზეიმო შეხვედრა პარიზში.
— ჩრდილოეთ პოლიუსზე გაფრინდა ამერიკელი კაპიტანი უილკინსი.
— საბჭოთა კინო-სურათი „ოქტომბერი“ დიდ ინტერესს იწვევს გერმანიაში.

სამშაბათი, 24 აპრილი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 94 (2137)

ოთხშაბათს, აპრილის 25, საღამოს 7 საათზე
შ ე ხ დ გ ე ბ ა
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ს. ს. ცაკის სამდივნო

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ფრანგ კომუნისტების ბრწყინვალე გამარჯვება

პროლეტარული მასების გამემარცხენების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კაპიტალისტურ მსოფლიოში. ასევე იზრდება კომუნისტების გავლენა მუშათა კლასზე. ეს ჩვენ დავინახეთ სხვათა შორის, მთელ რიგ არჩევნებიდან, რომლებიც ბოლო დროს ევროპაში ჩატარდა (პოლონეთში, ჰამბურგში და სხვაგან). ამ არჩევნებში კომუნისტებმა ყველგან დიდი გამარჯვება მოიპოვეს, მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა, რომლებსაც მათ წინააღმდეგ მიმართავდენ ბურჟუაზია მთელი თავისი სახელმწიფო აპარატით და სოციალ-მოღალატენი.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც სულ უკანასკნელად მიღებულია საფრანგეთში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების პირველი შედეგების შესახებ. მარტო პარიზსა და მის ახლო მდებარე რაიონებში კომუნისტებმა მიიღეს 244.208 ხმა, ხოლო სენა-უაზის დეპარტამენტში 56.980 ხმა. ამ ციფრების მთელი მნიშვნელობა ჩვენთვის აშკარა გახდება, თუ სოციალისტების მიერ შეგროვებულ ხმების რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში: პარიზსა და მის მიდამოებში (სენის დეპარტამენტი) სოციალისტებმა შეაგროვეს 150.395 ხმა, ხოლო სენა-უაზის დეპარტამენტში—27.749, ე. ი. 116.044 ხმით ნაკლები, ვინემ კომუნისტებმა. ამ ციფრების შედარება თავისთავად მეტყველებს. საფრანგეთის დედა-ქალაქში, მის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სამრეწველო ცენტრში კომუნისტების აშკარა ჰეგემონია მუშათა მასებზე გავლენის საქმეში უდავოა. ორი პარტიიდან (კომუნისტების და სოციალისტების), რომელნიც მუშათა კლასის დაპყრობისათვის იბრძვიან, სოციალისტებმა მეტად საგრძნობი დამარცხება განიცადეს კომუნისტების სასარგებლოდ.

კომუნისტების ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების ღირებულება უფრო ცხადი შეიქნება, როცა გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებშიაც იმყოფება ერთი მხრივ ჩვენი მოძმე პარტია, მეორე მხრივ სოციალისტური პარტია. ცნობილია, რომ კომუნისტები საფრანგეთში (როგორც სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც) მკაცრ დევნას განიცდიან. ეს დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა არჩევნების წინ. კომპარტიის ბელადებს და თვალსაჩინო წევრებს მასიურად აპატიმრებდენ. ბურჟუაზიული სასამართლოები გულმოდგინედ აწყობდენ მათ გასამართლებას „სახელმწიფო ღალატისა“ და „ჯაშუშობისათვის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ“. მთელი ბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პრესა ათასგვარ საზიზღარ ჭორებს ავრცელებს ფართო მასებში კომპარტიისათვის სახელის გასატეხად. ამავე დროს სოციალისტური პარტია სარგებლობს არა მარტო მუშაობის და საარჩევნო ბრძოლის სრული თავისუფლებით, არამედ პირდაპირი დახმარებითაც პუანკარეს მთავრობის მხრით. პუანკარემ თავის ერთ-ერთ საარჩევნო სიტყვაში სოციალისტური პარტია გამოაცხადა მემარჯვენე მთავრობისა და ბურჟუაზიის მიმართ „ლოიალურად განწყობილ ოპოზიციად“.

ასეთ პირობებში კომუნისტების გამარჯვებას, ვიმეორებთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. რით აიხსნება ასეთი გამარჯვება? იმით, რომ კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც ნამდვილად იბრძვის მუშათა კლასის ინტერესებისათვის, რომელიც იბრძვის მასების კაპიტალისტური ექსპლოატაციისა, პუანკარეს მილიტარიზმისა და საგარეო ავანტიურების წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტების თავდასხმისაგან. სოციალისტური პარტია კი გადაქცეულია ბურჟუაზიის დამხმარე ძალად, მის აგენტად მუშათა კლასში, თვითონ პუანკარეს დახასიათებით — „ლოიალურ ოპოზიციად“ ბურჟუაზიულ ხელისუფლების მიმართ, ე. ი. ისეთ „ოპოზიციად“, რომელიც ბურჟუაზიულ რეჟიმის დამხობას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მის განმტკიცებას, მუშათა კლასის მოტყუებას, მისი რევოლუციონური ენერგიის მოდუნების გზით. ყველაფერ ამას მუშათა მასები თანდათან იგნებენ. ამ შეგნების მჭევრმეტყველური დამადასტურებელია კომუნისტების ის გამარჯვება, არჩევნებში, რომელიც ზევით აღვნიშნეთ.

პუანკარემ კარკასონში წარმოთქმულ სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ „მცირე რიცხვი“ ფრანგ მოქალაქეთა, რომელნიც გატაცებული არიან კომუნიზმით. იმ წამსვე შეიცვლიან თავის შეხედულებებს და „დემოკრატიას“ (იგულისხმეთ: კაპიტალისტების დიქტატურა) მიემხრობიან, რომ იცოდენ თუ რა „საშინელება“ ტრიალებს საბჭოთა კავშირში. ჯერ ერთი, ეს „მცირე რიცხვი“ ასეულ ათასებს და მილიონებს უდრის. შემდეგ: როგორც სჩანს, მათ არ აშინებს საბჭოთა კავშირის „საშინელებანი“, მიტომ, რომ კარგად იციან, რომ ეს „საშინელებანი“ (მართლაც საშინელებანი პუანკარეებისათვის) იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში მოსპობილია მუქთახორათა ბატონობა, ძალაუფლება ხელთ უპყრიათ მშრომელ მასებს, რომელნიც წარმატებით ეწევიან სოციალისტურ მშენებლობას. ამიტომ პუანკარეს „გაფრთხილება“ არ სჭრის. კომუნისტების გამარჯვება ამას ნათელყოფს.

არჩევნები საფრანგეთში კიდევ რამოდენიმე დღე გასტანს. ჩვენ გვაქვს ცნობები მათი მხოლოდ პირველი შედეგების შესახებ. ეჭვი არ არის, რომ კომპარტია მიღწეულ გამარჯვებას გააფართოვებს და განამტკიცებს. დაუნდობელი ბრძოლა არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ მისი დამქაშ—სოციალ-შემთანხმებლების წინააღმდეგ—ამ გზით, რომელიც დასახა კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა, მიდის საფრანგეთის კომპარტია. ასეთი მკაფიო რევოლუციონურ - კლასობრივი პოზიციით, სოციალისტების მოღალატეობის შეუბრალებელი მხილებით, ის უეჭველად შემოიკრებს თავის გარშემო მუშათა სულ უფრო მეტ მასებს.

ეხლანდელ არჩევნებში, აშკარაა, პუანკარისტები და მათი მომხრე ჯგუფები მიიღებენ ხმების უმრავლესობას. მაგრამ ეს როდია ამ შემთხვევაში მთავარი. კომუნისტები არასოდეს არ ფიქრობდენ საპარლამენტო, „მშვიდობიანი“ გზით ძალაუფლების დაპყრობას. მაინც აღსანიშნავია, რომ კომუნისტები დეპუტატთა პალატაში გაიყვანენ საკმაოდ მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს, რომელთა რევოლუციონური ხმა გაისმება პარლამენტის ტრიბუნიდან. უმთავრესი კი ის არის, რომ არჩევნების საშუალებით კომპარტია ახდენს მასების მობილიზაციას, ასუსტებს მუშათა კლასზე სოციალისტების გავლენას, რომ შემდეგ ეს გამარჯვება გამოიყენოს ფართო და გადამწყვეტ რევოლუციონური ბრძოლებისათვის.

1928 წლის 22 აპრილი

ათ წელიწადნახევარი არსებობს, იზრდება და მტკიცდება ძლევამოსილი პროლეტარული დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში. თითქმის ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ვერსალის „საზავო“ ხელშეკრულებით დასრულდა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა. თითქმის ცხრა წელიწადია, რაც საერთაშორისო მუშათა კლასის საუკეთესო, მამაცი, პატიოსანი და რევოლუციონური ელემენტები იბრძვიან ლენინურ კომუნისტური ინტერნაციონალის ცეცხლისმფრქვევ ლოზუნგებით. ოთხ წელზე მეტია, რაც დიდი საბჭოთა ხომალდის კოლექტიური მესაჭე—საკავშირო კომუნისტური პარტია უილენინოდ მიდის წინ უძლეველ და ყოვლისშემძლეველ ლენინურ მოძღვრებით ფართოდ გაშუქებული გზით, ილიჩის მიერ ნაჩვენებ და წინასწარ განჭვრეტილი გზით.

დღეს—ვლადიმერ ილიჩის დაბადების დღეა (1870 წ. 22 აპრილი) და ყოველ ბოლშევიკს უნებლიეთ აგონდება ყველა ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის თარიღები. როგორ ბევრი რამ შეიცვალა ამ ათი წლის განმავლობაში! როგორ ყველაფერი დღეს არ ჰგავს იმას, რაც მსოფლიო ომამდე არსებობდა! ახალი, სხვა დასავლეთი, სრულიად ახალი აღმოსავლეთი! „რუსეთის მეფეების სახელმწიფოს“ თვალუწვდენ ტერიტორიაზე მოხდა გიგანტიური რევოლუციონური ნახტომი და ის გახდა უძლიერეს პროლეტარულ სახელმწიფოდ. როგორ გაიფურჩქნა ის, რაზედაც „მაშინ“ მხოლოდ ფიქრობდენ, რაც ჩანასახში იყო. როგორი მძაფრი რიტმი დაეტყო მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. და როგორი გასაოცარი სისწორით ახდა ის, რასაც წინასწარმეტყველებდა ჩაგრულთა მსოფლიო არმიის ბელადი. წინად იყო დრო, როცა მუშების გაფიცვა რომელიმე ერთ წარმოებაში იწვევდა რამდენიმე ათეულ წერილს. და ამ გაფიცვას რევოლუციონურ- მარქსისტულ წრეებში ყოველმხრივ აშუქებდენ. ეხლა კი ჩვენ თითქმის ყოველდღე ვკითხულობთ ასეულ ათას ლოკაუტ გამოცხადებულ მუშებისა და პოლიციის მიერ მუშების გაჟლეტის შესახებ, მაგრამ ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს. 1912 ან 1913 წ. ბერლინის ქუჩებზე „წითელ ფრონტელების“ წარმოდგენა იქნებოდა ფანტასმაგორია და ისტორიული უაზრობა. ეხლა კი ეს რეალური, ყოველდღიური მოვლენაა, ეხლა გერმანელი პროლეტარები ასობით და ათასობით ირაზმებიან, რათა აღშფოთებული პროტესტი განაცხადონ ფაშისტ კედიელებისა და კომპანიის საზიზღარი ზრახვების წინააღმდეგ. აღმოსავლეთი ეხლა იმას არ ფიქრობს, რასაც წინად ფიქრობდა. დიდ, ჩინეთის დიდი რევოლუცია დროებით და მოკლე ხნით ჩააჩრჩონ გენერლებმა და ადმირალებმა! ჩინეთის რევოლუცია არასოდეს არ მოკვდება! ეხლაც კი, რევოლუციისათვის არა ჩვეულებრივად მძიმე პირობებში, ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებსა და მაზრებში ფრიალებს საბჭოების დროშა. ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩინეთის მუშები და გლეხები, რომელთაც უკვე ნახეს თავისი „სპარტაკელები“ შანხაისა და კანტონის ქუჩებზე, ვერ ნახავენ მათ კვლავ უკვე როგორც გამარჯვებულებს? სიძნელენი, დამარცხება და მსხვერპლი ფუჭად არ ჩაივლის: რევოლუციონურმა ქარტეხილმა გაანადგურა ცრუმორწმუნოება და ილუზიები და ამჟამად ჩინეთის რევოლუციის გაძღოლა შეუძლია მხოლოდ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და ის გაუძღვება კიდეც.

მსოფლიო წინააღმდეგობანი უკვე ისეთი აღარაა, როგორიც წინად იყო. ისინი ამჟამად იჩრდებიან უფრო ფართოდ, ღრმად და ღებულობენ ახალ ხასიათს. კლასთან წინააღმდეგობა, იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის არსებული წინააღმდეგობა ამჟამად ატარებს უფრო მწვავე და საბედისწერო ხასიათს და ყოველ წლობით და ყოველ თვეობით ეს წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო აახლოებს საბედისწერო აღსასრულს.

საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ სწარმოებს დიდი შემოქმედებითი მუშაობა, სწარმოებს სოციალისტური მშენებლობა და ბრძოლა ყოველგვარ დახავსებულ და დამპალ ნაშთებისა და შინაურ თუ გარეშე კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

მეტად მძიმე პირობებში მტკიცედ და დაბეჯითებით მივდივართ წინ, ვიბრძვით ტექნიკისა და კულტურის ფრონტზე; ამჟამად ჩვენ უკვე გაუსწარით ომის წინა დროის ნორმებს ზოგიერთ დარგებში, აღებული გვაქვს კურსი იქითკენ, რომ ჯერ გავუთანასწორდეთ, ხოლო შემდეგ კი გაუსწროთ დასავლეთ ევროპის ტექნიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს და თანდათანობით ვიპყრობთ პოზიციებს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების დარგში.

ყველა დარგებში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ილიჩის პროგნოზების უდავო გამარჯვება. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ უშვებთ იმ გარემოებას, რომ ლენინის წინასწარმეტყველება სრულდება არა მარტო გამარჯვებებისა და მიღწევების ხაზით, არამედ იმ სიძნელეებისა და საფრთხის ხაზითაც, რომლებზედაც არა ერთხელ მიუთითებია ლენინს. ცხოვრება მდიდარი, რთული და მრავალფეროვანია და ლენინის, როგორც უბადლო დიალექტიკოსს, შეგნებული ჰქონდა განვითარების წინააღმდეგობა, ის ხედავდა ზრდის ყველა ტენდენციებს. სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს სიძნელეებზე, გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების დამყარების პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე, მწვავე კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობაზე, ჩვენს უკულტურობაზე, ბიუროკრატიზმზე, „ბიუროკრატიზმის კონკრეტიული მატარებლების“ წინააღმდეგ ბრძოლაზე, პარტიის ფოლადისებურ მთლიანობაზე და დაუნდობელ თვითკრიტიკაზე,— ყოველივე ამაზე ლაპარაკობდა და მიგვითითებდა ლენინი. ლენინის პარტია მუდამ ერთგულად იცავდა და დაიცავს ამ მითითებებს.

ლენინი ყოველთვის მიგვითითებდა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განსაკუთრებულ სირთულეზე, იმაზე, რომ ჩვენ, საერთაშორისო ასპარეზზე გამოსულთ, მუდამ გვითვალთვალებს უბოროტესი მტერი საერთაშორისო იმპერიალიზმის სახით, ჩვენ ამჟამად ვალდებული ვართ სათანადო ყურადღებითა და სერიოზულობით ვადევნოთ თვალყური ყველა დიპლომატიურ „საბლოკადო“ და ნახევრად საბლოკადო მანევრებს, რომლებსაც მიმართავს მტერი ჩვენ წინააღმდეგ. ის ამ მანევრებს მიმართავს, რადგან ძალიან კარგად გრძნობს ჩვენს ძალას, რომელიც თანდათან იზრდება, და ჩვენ საერთაშორისო მახიურ ავტორიტეტს, რადგან რეაქციის ყველაზე უფრო დახელოვნებულ ჯადოქრებს და კაპიტალისტური რეჟიმის ყველაზე უფრო გამოცდილ მკურნალებს არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ „მსოფლიო ბოლშევიზმის ბაცილას“, რადგან მტერს საუცხოვოდ ესმის საბჭოთა კავშირის მუშების მაგალითის გადამდები ძალა ყველა ქვეყნის მუშებისა და ჩაგრულ ერებისათვის. კაპიტალიზმი გრძნობს აღსასრულის მოახლოვებას, ვინაიდან მის წინააღმდეგ ირაზმებიან კომინტერნის ფოლადისებური პროლეტარული დისციპლინით შეჭიდროვებული მებრძოლი რიგები, რომელთაც ამაყად უპყრიავთ ხელში ლენინის დიდებულ ლოზუნგებით აღბეჭდილი დროშები.

„პრავდა“, 22 აპრილი.

კომუნისტების გამარჯვება საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში

ფინ-იუ-სიანის და ნანკინის ჯარების წინსვლა გრძელდება

მუკდენელები ემზადებიან ყვითელ მდინარის დასაცავად.-ამერიკელების ევაკუაცია შანდუნიდან

არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 22 აპრილი. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა წელს პარიზში, ალბათ, რამდენათმე უფრო მეტი იქნება, ვიდრე 1924 წლის არჩევნებში იყო. განსაკუთრებული გაცხოველება ემჩნევა მუშათა უბნებს, სადაც დილიდანვე საარჩევნო ბიუროს წინ შეიქნა ამომრჩეველთა გრძელი რიგები. განსაკუთრებით დიდია ამომრჩეველთა რიგები მე-18 ოლქში, სადაც კომპარტიის კანდიდატებად წამოყენებულია **მარსელი და კაშენი.** ქალაქის ქუჩებში დაქრიან „ქალის თანასწორ-უფლებიანობისათვის მებრძოლი ლიგის“ ავტომობილები, რომლებიდანაც ჰყრიან ფურცლებს მოწოდებით—იბრძოლონ ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მისანიჭებლად. გამოცდილ პოლიტიკურ მოღვაწეების წინასწარმეტყველებით, ამ არჩევნების პირველ ტურში, რომლებიც 22 აპრილიდან სწარმოებს, 612 დეპუტატიდან არჩეულ იქნება დაახლოვებით 200 დეპუტატი. (ადს).

პარიზი, 22 აპრილი. ღამის ორ საათზე მოსული ცნობებით, არჩეულია ორი კონსერვატორი (უკიდურესი მემარჯვენეები), 27 რესპუბლიკანელი, 16 მემარცხენე რესპუბლიკანელი (მემარჯვენე ჯგუფი, პუანკარეს მომხრეები). 13 რადიკალი (მემარცხენე - ბურჟუაზიული პარტია, წინედ მემარცხენე ბლოკის უმთავრესი პარტია, რომელიც ეხლა დაიშალა რამოდენიმე ჯგუფებად, რომელთაგან **ერთის** ჯგუფი მხარს უჭერს პუანკარეს, ხოლო **დელადიეს ჯგუფი** სოციალისტებთან ბლოკს უჭერს მხარს), 2 რესპუბლიკანელი—სოციალისტი (მემარცხენე ბურჟუაზიული ჯგუფი), 6 სოციალისტი. კომპარტიის კანდიდატები **დორიო, დიუკლო, კაშენი, ტორეზი, ბეკომალი, კუტიურიე, მარტი, რენო** და **კლამამიუსი** პირველი კენჭის ყრის დროს არ აურჩევიათ, მაგრამ მათ მიიღეს მნიშვნელოვანი შედარებითი უმრავლესობა (პირველ ტურში არჩევისათვის საჭიროა აბსოლიუტური უმრავლესობა). **პარიზის 20 საარჩევნო ოლქში სოციალისტების ბელადებმა ბლიუმმა მიიღო 6000 ხმა, დიუკლომ**—7.712 ხმა. მინისტრთა შორის ჯერ-ჯერობით არჩეულია საზღვაო მინისტრი **ლეიგი,** საზოგადოებრივ სამუშაოთა—**ტარდიე,** ვაჭრობის—**ბაკანოვსკი,** გარეშე საქმეთა—**ბრიანი** და განათლების მინისტრი—**ერიო.** ხელმეორედ კენჭის ყრა, როცა არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელმაც შედარებით უმრავლესობა მიიღო, ჯერ-ჯერობით მოხდება 120 ოლქში. (ადს).

პარიზი, 23 აპრილის ღამისათვის მიღებული ცნობებით, პირველ კენჭის ყრაში არჩეულთა შორის არიან (წინა დეპეშაში დასახელებულთა გარდა): **ოხოლია** მემარცხენე რადიკალი), **მაჟინო** (მემარჯვენე, ყოფილი სამხედრო მინისტრი), **მარენი** (რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირი, დეპუტატთა პალატის მემარჯვენე ფრთის ბელადი და პენსიათა მინისტრი ეხლანდელ კაბინეტში), **ტეტენჟე** (რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირი, უკიდურესი რეაქციონური ფრთა), **ვანდელი** (რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირი, მძიმე ინდუსტრიის უდიდესი ტრესტის წარმომადგენელი). ხელმეორედ უყრიან კენჭს მთელ რიგ კანდიდატებს, მათ შორის **პენლევეს, ლუშერს, ბლიუმს** და **რენოდელს. (ადს).**

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში

პარიზი, 22 აპრ. პარიზის ყველა ოლქებში კომუნისტებმა მიიღეს 127.473 ხმა, პარიზს მახლობელ უბნებში—116.736 ხმა. სენას დეპარტამენტში კომუნისტებმა სულ მიიღეს 244.208 და სენაუაზის დეპარტამენტში—56.980 ხმა. სოციალისტებმა პარიზში მიიღეს 90.114 ხმა, ქალაქის მახლობელ უბნებში—60.281 ხმა. სენის დეპარტამენტში **სოციალისტებმა** სულ მიიღეს 27.749 ხმა. „ეკო დე პარი“ ხაზს უსვამს კომუნისტების მნიშვნელოვან გამარჯვებას. **კომუნისტების დეპუტატმა პროვანსელმა შარანტონში მიიღო 4.409 ხმა.** სოციალისტებმა **თხმენმა**— 2.196 და კომუნისტური პარტიიდან გამორიცხულმა **ტერნომ** 1.199 ხმა. (ადს)

მანიფესტაცია ამხ. დორიოს პატივსაცემად

პარიზი, 22 აპრილი. ვალანსიენში დაპატიმრებული კომუნისტი - დეპუტატი **დორიო** პარიზში ჩამოიყვანეს. როცა იგი მატარებლიდან გამოვიდა, სადგურზე მას დახვდა მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია. მანიფესტაციის დროს გაისმოდა ძახილი: „გაუმარჯოს დორიოს“, გაუმარჯოს ამნისტიას“!. პოლიციამ გაჰფანტა მანიფესტანტები და ორი მათგანი დააპატიმრა; მაგრამ დაპატიმრებულები მალე განთავისუფლეს (ადს).

რეფორმისტების საარჩევნო ტერორი

ბერლინი, 22 აპრილი. მემაღაროეთა პროფკავშირის ორგანო „ბერგ არბეიტერ ცეიტუნგი“ იუწყება, რომ პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი კომუნისტი **სობოტკა** გამორიცხულია გერმანიის მემაღაროეთა კავშირიდან. „როტეფანე“ აღნიშნავს: ეს გამორიცხვა იმან გამოიწვია, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციამ სობოტკა დელეგატად წამოაყენა კავშირის სრულიად გერმანიის კონფერენციაზე თანამოხსენება წაეკითხა. ამბობენ, **რომ რეფორმისტები აპირებენ კიდევ რამდენიმე კომუნისტის გამორიცხვას, რომლებიც დელეგატებად არიან არჩეულნი მემაღაროეთა სრულიად გერმანიის კონფერენციაზე.**

ბალტიის სახელმწიფოების სამრეწვ. კონფერენცია

რიგა, 22 აპრილი. რიგაში გაიხსნა ლატვიის, ესტონეთის და ლიტვის სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების პირველი კონფერენცია. კონფერენციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ლატვიის პრემიერმა **იურაშევსკიმ,** რომელმაც განაცხადა, რომ კონფერენციამ უნდა გააფართოვოს ბალტიის სახელმწიფოების სამეურნეო მოქმედების საზღვრები და უნდა უზრუნველჰყოს მათი თანამშრომლობა ამ დარგში.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ბალოდისმა,** რომელმაც განაცხადა, რომ ბალტიის სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რათა გაერთიანებულ იქნას მათი საგარეო ვაჭრობა და სამეურნეო განვითარების ყველა პირობები (ადს).

ავღანისტანის პრესა

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ

ქაბული, 22 აპრილი. ავღანისტანის პრესა მკაცრად აკრიტიკებს ინგლისელების ცდას, რომ ეგვიპტეს თავზე მოახვიონ დამმონავებელი ხელშეკრულება, და იწონებს ამ ხელშეკრულების უარყოფას ეგვიპტის მიერ, აგრეთვე ეგვიპტელი ნაციონალისტების მოთხოვნილებას იმის შესახებ, რომ განხორციელდეს ეგვიპტის დამოუკიდებლობა, გაყვანილ იქნან ბრიტანეთის ჯარები და შეუერთდეს სუდანი ეგვიპტეს (ადს).

ჩინეთის ფრონტებზე

ნანკინელები წინ მიიწევენ

შანხაი, 22 აპრილი. ნანკინის ოფიციალური სააგენტო გომინი იუწყება, რომ ნანკინის ჯარები წინ მიიწევენ ტიანძინ—პუკოუს რკინის-გზის ხაზით. ჩრდილოელები თავდაცვისათვის ემზადებიან ყვითელ მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზე. ნიპონ დემპოს სააგენტო იუწყება, **რომ ფინ-იუ-სიამ დაიკავა ნინსიანი და ცზუიფუ და კავშირი აღადგინა ნანკინის ჯარებთან.** (ადს).

პეკინი, 22 აპრილი. უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ სამხრეთელების წინსვლა გამოურკვეველ მიზეზების გამო რამოდენიმეთ შეფერხდა. პეკინ-ხანკოუს რკ.-გზის ფრონტზე არსებულ მდგომარეობის შესახებ ახალი ცნობები არ არის მიღებული. ფიქრობენ, რომ ჩან-კაი-ში გამაგრდება შანდუნში დაკავებულ პოზიციებზე და დაუცდის ენ-სი-შანის ოპერაციების შედეგებს. თუ ეს ოპერაციები წარმატებით დამთავრდა, ჩან-კაი-ში შეინარჩუნებს კავშირს შანსის დუქანთან და ფინ-იუ-სიანთან, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპრომისზე წავა ჩან-ძო-ლინის წინაშე. (ადს).

„მდგომარეობა სერიოზულია“

ვაშინგტონი, 22 აპრილი. შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრო სთვლის, რომ ჩინეთში მდგომარეობა „სერიოზულია“. შეერთებულ შტატების დიპლომატიურ წარმომადგენლებისაგან (ჩინეთში) მიღებული ცნობები ადასტურებენ, **რომ სამხრეთელებმა რამოდენიმეჯერ დაამარცხეს მუკდენელები.** შეერთებულ შტატების მისია პეკინში შანდუნის პროვინციაში მყოფ ამერიკელებს ურჩევს დასტოვონ შანდუნის პროვინცია. (ადს).

პროტესტები იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

ტოკიო, 22 აპრილი. პეკინის მთავრობის დიპლომატიურმა მისიამ ოფიციალური პროტესტი განაცხადა იაპონიის ჯარების შანდუნში გაგზავნის წინააღმდეგ. ასეთივე პროტესტი განაცხადა ნანკინის მთავრობის წარმომადგენელმა ტოკიოში. (ადს).

მოძრავი შემადგენლობის დაბრუნება

პეკინი, 22 აპრილი. ტასის სააგენტო იუწყება, რომ მუკდენ-ხაილუნის რკინის გზამ ამ დღეებში დადებულ ხელშეკრულების თანახმად ტაონან-ანგუანის რკ. გზას დაუბრუნა მოძრავი შემადგენლობა, რომლითაც ის დროებით სარგებლობდა. (ადს).

თეთრგვარდიელების კონცესია გირინის რაიონში

ხარბინი, 22 აპრილი. იაპონიის ოფიციოზის „ხარსიუნბაოს“ (ვიმიდის დაირენში) ცნობით, ატამანმა სემიონოვმა ჩინეთის ხელისუფლებისაგან მიიღო სატყეო კონცესია გირინის რაიონში, სადაც სემიონოვი გაგზავნის თეთრგვარდიელებს. (ადს).

„მუდმივი მშვიდობიანობის“ შესახებ

„მუდმივი მშვიდობიანობის“ პროექტი

პარიზი, 22 აპრილი. ჰავასის სააგენტოს ცნობით პირველი მუხლი საფრანგეთის იმ პროექტისა, რომელიც შეეხება მრავალმხრივ ხელშეკრულებას ომზე უარის თქმის შესახებ აცხადებს: „ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები არ ამბობენ რა უარს კანონიერ თავდაცვაზე არსებულ ხელშეკრულებების ფარგლებში აცხადებენ, რომ ისინი გმობენ ომს და უარს ამბობენ მასზე, როგორც პოლიტიკურ იარაღზე, თუ ის პირადული, ივითინებური ხასიათისაა და დაწყებულია დამოუკიდებლათ, მათი ინიციატივით, მაგრამ ისინი უარს არ აცხადებენ ომზე, თუ ჩათრეული იქნებიან მასში, მაგალითად, ერთა ლიგის ხელშეკრულების ან ერთა ლიგის რეგისტრაციაში გატარებულ სხვა რომელიმე ხელშეკრულების დასაცავად.

მუხ. 2 საჭიროდ სთვლის ყველა სადაო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანი გზით.

მუხ. 3 აცხადებს, რომ ხელშეკრულების ყოველგვარი დარღვევა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ანთავისუფლებს ვალდებულებებისაგან დამრღვევ სახელმწიფოს მიმართ.

მუხ. 4 აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ წინანდელ ხელშეკრულებებიდან. (ადს).

ნორვეგიის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმი

ოსლო, 22 აპრილი. ოსლოში დამთავრდა ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმის მუშაობის მთავარ საკითხს წარმოადგენდა: პარტიის შიგნით სოციალ-დემოკრატიული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა. პლენუმმა წინადადება მისცა რენეგატებს **შეფლოს** და **შტანგს,** რომ ხელი აიღონ საპარლამენტო და კომუნალური მანდატებზე, და აღნიშნა: **ნორვეგიის კომპარტიამ** და **რევოლუციონურმა მუშებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ წვრილ - ბურჟუაზიულ პარტიად გადაქცეული ნორვეგიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.** პლენუმმა დაადგინა: მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს პროფესიონალური მოძრაობის მემარცხენე ფრთას ნორვეგიის, ფინეთის და საბჭოთა პროფკავშირების მთლიანი ფრონტის შექმნისათვის წარმოებულ ბრძოლაში (ადს).

დასანგრევი ციხე-სიმაგრეები

ვაშინგტონი, 22 აპრილი. მემაღაროეთა აღმასკომმა კავშირიდან გამორიცხა „კავშირის გადარჩენის“ კომიტეტისა და აგრეთვე პენსილვანიისა და ოგაიოს გაფიცულ მემაღაროეთა წევრი. აღმასკომი აღნიშნავს: „ეს ორგანიზაციები კომუნისტურია და ფაქტიურად მემაღაროეთა მეორე კავშირს წარმოადგენს, რაც წესდებას ეწინააღმდეგება“. დადგენილება შემდეგი სიტყვებით თავდება: **„ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში ეკლესია და პროფკავშირები ციხე-სიმაგრეებია კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა პროპაგანდა თუ ნაყოფიერი იქნება, ეს ციხე-სიმაგრეები დაინგრევა“.**

ცვლილებები ლატვიის სამხედრო უწყებაში

რიგა, 22 აპრილი. ამ დღეებში იტალიიდან დაბრუნებული ლატვიის არმიის ყოფილი სარდალი გენერალი **რაძინი** დანიშნულია სამხედრო აკადემიური კურსების უფროსად (რაძინი სარდლის თანამდებობიდან გადააყენეს თებერვალში ლეიტენანტ იკშეს საქმესთან დაკავშირებით, რომელიც სამხედრო გადატრიალებას ამზადებდა სკუენეკის მემარცხენე მთავრობის წინააღმდეგ). არმიის სარდლად დაინიშნა მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი პენიკისი.

„ლატვისი“ სწერს, რომ ცვლილებანი სამხედრო უწყებაში მოხდა მთავრობის კოალიციის დაუკითხავად, რომელსაც არ შეუძლია შეურიგდეს ამ ცვლილებებს (ადს).

გამართლებული მილიონი დოლარი

ვაშინგტონი, 22 აპრილი ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გაამართლა ნავთის მაგნატი **სინკლერი,** რომელსაც ბრალდებოდა სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენება ნავთის კონცესიის მიღების დროს და შინაგან საქმეთა მინისტრის **ფოლის** მოქრთამვა. ამ საქმის პირველი გარჩევა შეწყვეტილ იქნა, ვინაიდან სინკლერის აგენტები ცდილობდნენ ემოქმედათ ნაფიც მსაჯულებზე. სინკლერი ამტკიცებდა, რომ 300.000 დოლარი, რომელიც საბრალმდებლო აქტის თანახმად, სინკლერმა მისცა ფოლს მთავრობის კუთვნილი ძვირფასი ნავთიანი ადგილის კონცესიის მიღებისათვის, წარმოადგენს, ვითომცდა, ჯილდოს იმ სამსახურისათვის, ფოლმა რომ გაუწია სინკლერს, როდესაც უკანასკნელს ცდილობდა მიეღო კონცესია საბჭოთა კავშირში. სისხლის სამართლის სამსჯავროს მხრივ სინკლერის გამართლება სრულებით არ ეთანხმება იმ განაჩენს, რომელიც გამოტანილ იქნა მაშინ, როდესაც საქმე გაირჩა სამოქალაქო ძიების წესით. სამოქალაქო სასამართლომ უკანონოდ ჩასთვალა სინკლერისა და ფოლის გარიგება, რომელიც დანაშაულებრივ შეთანხმებას წარმოადგენს, რის გამოც სახელმწიფომ გააუქმა სინკლერის საიჯარო ხელშეკრულება. განაჩენის გამოცხადების შემდეგ სენატორებმა **უოლშმა** და **ნაიმ** სასტიკი აღშფოთება გამოსთქვეს: ნაიმ სთქვა: **„ეს გამართლება ახალი საბუთია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია მილიონ დოლარის გამტყუნება“.** ზოგიერთი სენატორი ამბობდა: „ჩვენ უნდა შემოვიღოთ კანონი, რომლის ძალითაც დანაშაულობისათვის არ უნდა გავასამართლოთ 100 მილიონი დოლარის პატრონი“.

სხვებმა განაცხადეს: „საჭიროა მოვაწყოთ ორი სასამართლო, ერთი მდიდრებისათვის და ერთიც ღარიბებისათვის, რომელსაც ეწერება: „აქ შემომსვლელო, იმედი წარიკვეთე“.

გაფიცვა ბომბეიში

ლონდონი, 22 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბომბეაში დაიხურა კიდევ სამი საფეიქრო წარმოება. შეჩერებულ წარმოებათა რიცხვი ამჟამად აღწევს 23-მდე. გაფიცულებმა დემონსტრაცია მოაწყეს იმ ფაბრიკების წინ, რომლებიც მუშაობას განაგრძობდენ. როგორც იუწყებიან, **რამოდენიმე შეტაკება მოხდა გაფიცულებსა და პოლიციას შორის.** სამი გაფიცული დაპატიმრებულია. პოლიციის კომისარმა გაფიცულებს აუკრძალა პროცესიების და მიტინგების მოწყობა (ადს).

გაფიცვა ძლიერდება

ლონდონი, 22 აპრილი. რეიტერის ცნობით, ბომბეაში **გაფიცულ ფეიქართა საერთო რიცხვი 60,000 აღემატება.** მუშაობს მხოლოდ 5 საწარმოო. ერთ-ერთ რაიონში პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულებს; დაწვრილებითი ცნობები ჯერ მიღებული არაა (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია

საბიუჯეტო კომისიისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიის მოხსენებები

მოსკოვი, 23 აპრილი. საკავშირო ცაკის სესიის 21 აპრილის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა საბიუჯეტო კომისიისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიის მოხსენებები.

საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა ამხ. **კუზნეცოვმა** სესიას აცნობა, რომ კომისიის მიერ 1927—28 წ. ბიუჯეტი შედგენილია— 6.088 მილ. მან. რაოდენობით, ამ ბიუჯეტში სახელმწიფო რეზერვები უდრის 50 მილ. მან. 1925—26 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება კომისიის მიერ მიღებულია შემდეგი სახით შემოსავალი—4.027 მილ. მან.; გასავალი —3.938 მილ. მან საკავშირო საბჭომ და ეროვნებათა საბჭომ ერთხმად დაამტკიცეს კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1927—28 წ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1925—26 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კანონ-პროექტები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხის დასამუშავებლად შედგენილ კომისიის მომხსენებელმა ამხ. **კალინინმა** განაცხადა, რომ კომისიამ მიიღო სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კანონპროექტი და მასში შეიტანა ზოგიერთი სარედაქციო და ტექნიკური ხასიათის შესწორებები თანახმად იმ საერთო სურვილებისა, რომლებიც გამოსთქვეს საკავშირო ცაკის წევრებმა სესიაზე კანონ-პროექტის განხილვის დროს.

დასასრულ ამხ. კალინინი შეეხო იმ საკითხებს, რომლებმაც სესიაზე განხილვის დროს მწვავე პოლიტიკური ხასიათი მიიღო. კერძოდ ამხ. კალინინი იცავდა ამხ. ჩაღლიევს, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრეს ცაკის ზოგიერთმა გლეხმა წევრებმა.

„რა თქმა უნდა, ამხ. ჩაღლიევი,—სთქვა ამხ. კალინინმა,—არაა მართალი, როცა ამბობდა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენს გლეხობას მიანიჭა დიდი უფლებები, მაგრამ მათ არა აქვთ დიდი შესაძლებლობა გააუმჯობესონ თავისი კეთილდღეობა. ამხ. ჩაღლიევი შეცდომაშია იმაში, რომ ის ღებულობს მთელ გლეხობას და არა გლეხობის ცალკე სოციალურ ჯგუფებს. უდავოა, რომ რევოლუციის მეოხებით კულაკობამ ბევრი დაჰკარგა, ხოლო ღარიბმა გლეხებმა და აგრეთვე საშუალო გლეხებმა მნიშვნელოვნად განამტკიცეს თავისი მატერიალური მდგომარეობა“.

საკავშირო საბჭომ და ეროვნებათა საბჭომ ერთხმად დაამტკიცეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონპროექტი.

—:—

მოხსენებების მიხედვით დადგენილებათა მიღების შემდეგ, სიტყვა ეძლევა ამხ. ლიტვინოვს, რომელიც აკეთებს საანგარიშო მოხსენებას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში საბჭოთა დელეგაციის მუშაობის შესახებ. ამხ. ლიტვინოვს მხურვალე ტაშით ეგებებიან. ამხ. ლიტვინოვის სიტყვა, რომელიც 1 ნახ. საათი გაგრძელდა, სესიამ დიდი ყურადღებით მოისმინა.

ამხ. ლიტვინოვის მოხსენება

განიარაღების კომისიის სესიის შედეგები

ჩვენი დიდი მიღწევა

თავის მოხსენებაში ამხ. ლიტვინოვი, ჯამს უკეთებს განიარაღების მოსამზადებელი კომისიის იმ ორი უკანასკნელი სესიის მუშაობას, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა დელეგაცია, და მოკლედ ეხება განიარაღების პრობლემის ისტორიას ამ უკანასკნელ 10—12 წლის განმავლობაში.

— გარეშე განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში გამართულ კამათის შედეგებისა, ამბობს ამხ. ლიტვინოვი,— დიდ მიღწევად და პირველ ხარისხოვან მნიშვნელობის ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო სრული განიარაღების იდეის წამოყენება საერთაშორისო ასპარეზზე არსებითად განსახილველად, რაც პირველი შემთხვევაა საერთაშორისო ისტორიაში. თუმცა ეს იდეა ჯერ ჯერობით უარყოფილია, მაგრამ მთელმა მსოფლიომ ამჟამად იცის ყოველივე ის, თუ რა შეიძლება თქვან საყოველთაო განიარაღების წინააღმდეგ და ყველას შეუძლია ჯეროვანი წარმოდგენა იქონიოს იმაზე, თუ რამდენად დამარწმუნებელი და არა დამარწმუნებელი იყო ის კრიტიკა, რომელსაც უწევდნენ საყოველთაო განიარაღების წინადადებას.

„მე მგონია,—ამბობს ამხ. ლიტვინოვი,—რომ სესიაზე გამართულ კამათთან გაცნობის შემდეგ ყოველმა მიუდგომელმა კაცმა უნდა აღიაროს, რომ საყოველთაო განიარაღების იდეამ გაუძლო ყოველმხრივ კრიტიკას და რომ ის ვერ შებღალა და ვერ შეარყია კამათმა.

უნდობლობის ატმოსფერა

ერთა ლიგამ თავისი არსებობის ცხრა წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის განუწყვეტლივ იმართებოდა ბურჟუაზიულ ქვეყნის წარმომადგენლების შეერთებული სხდომები და მინისტრების თათბირები, ვერ შესძლო მათ რიგებში ურთიერთი უნდობლობის აღმოფხვრა იმდენად მაინც, რომ ისეთი საზეიმო სავარო აქტი, როგორიც საყოველთაო განიარაღების კონვენციაა, ექნოთ.

მე ნათლად მაგონდება ამხ. ლენინის სიტყვები იმ წინადადებების განხილვის დროს, რომლებიც ჩვენ 1919 წელში ცნობილ ბულიტის საშუალებით გადავეცით ვილსონს. თქვენ, ალბად, გახსოვთ, რომ ჩვენ მაშინ მივილეთ წინადადება სამოქალაქო ომის ყველა ფრონტებზე დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ამ დროებითი ზავის პირობების მიხედვით ჩვენ უნდა შეგვეწყვიტა სამხედრო მოქმედება, სამხედრო მასალის გადატანა და ჯარების გადაყვანა. ლენინმა მაშინ მითხრა: „ჩვენ კი შევასრულებთ ყველა ამ პირობებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ თუ არა, რომ ჩვენი მტრებიც შეასრულებენ ამ პირობებს“-ო. ჩვენ მაშინ ვებრძოდით ერთ-ერთ ყველაზე უბოროტეს საერთაშორისო ავანტიურას—თეთრგვარდიელების სამხედრო ინტერვენციას, და ეს უნდობლობა სავსებით კანონიერი იყო. მიუხედავად ამისა ლენინის მისწრაფება —რაც შეიძლება მალე მოღებოდა ბოლო სისხლის ღვრას,—იმდენად დიდი იყო, რომ ამ უნდობლობამ ვერ შეაჩერა ის და შემუშავებულ იქნა პირობები, რომლებიც გადაეცა ბულიტს.

ასევე, რამდენადაც დიდი და კანონიერი არ უნდა იყოს ჩვენი უნდობლობა ჩვენდამი მტრულად განწყობილ ბურჟუაზიულ ქვეყნებისადმი, რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ჩვენთვის მათ მიერ საერთაშორისო კონვენციის დარღვევის საფრთხე,—ჩვენ მაინც არ ვიტყვით უარს შემდგომ მისწრაფებებზე და ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართული იქნება სრული განიარაღების დიადი იდეის განხორციელებისა და საერთაშორისო შეთანხმებებით ომის შეწყვეტისაკენ.

მთლიანი ფრონტი საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ

როგორც მოსალოდნელი იყო, კამათის შემდეგ, რომელიც რამდენიმე სხდომაზე გაგრძელდა, მიღებულ იქნა რეზოლიუცია ჩვენი კონვენციის პროექტისა და თვით საყოველთაო განიარაღების იდეის უარყოფის შესახებ. გაუწიეს რა ერთგვარი ანგარიში ჩვენი პროექტის აშკარა პოპულიარობას ფართო მასებში, რეზოლიუციის ავტორებმა განაცხადეს, რომ საყოველთაო განიარაღების იდეა თუმცა შეეფერება საკაცობრიო იდეალებს, მაგრამ მისი განხორციელება არ შეიძლება ეხლანდელ პირობებშიო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კომისიის ერთსულოვან გადაწყვეტილებებში ერთგვარი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტით გამოსვლის სურვილი ხშირად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სხვა მოსაზრებები. სხვანაირად შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რატომ გამოდიოდენ საყოველთაო განიარაღების იდეის წინააღმდეგ იმ პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც, რომლებსაც იმპერიალიზმზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ, და ისეთი სახელმწიფოს წარმომადგენელი, როგორიც ბულგარეთია, რომელიც, გერმანიის მსგავსად, განიარაღებულია საზავო ხელშეკრულებების თანახმად და რომელიც მხოლოდ მოითხოვდა სხვა ქვეყნის განიარაღებით.

როგორც ხედავთ, საბჭოთა დელეგაცია ჟენევაში ჩაყენებული იყო ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ძლიერ დაშორებული იყო თანასწორუფლებიანობას. ეს ერთგვარ წარმოდგენას გაძლევთ თქვენ იმ პირობებზე, რომლებშიაც უხდება მუშაობა საბჭოთა დელეგაციებს საერთაშორისო კონფერენციებზე.

სრული დაბნეულობა ჟენევაში

მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა გერმანიის წინადადება, რომელიც ურჩევდა ერთა ლიგის საბჭოს დაუყოვნებლივ მოეწვია საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების საკითხებზე, საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ, ვინაიდან სრული განიარაღების პროექტი უარყოფილია დელეგაციების უმრავლესობის მიერ მთავრობების სახელით გაკეთებულ განცხადებებით, რომ მათ შეუძლიათ განიხილონ მხოლოდ ნაწილობრივი განიარაღების პროექტები, მას შეაქვს კომისიაში დაუყოვნებლივ განსახილველად ნაწილობრივი განიარაღების სრულიად დამუშავებული ახალი პროექტი. საბჭოთა დელეგაცია გულუბრყვილოდ ფიქრობდა [illegible] მისია იმ უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩავარდა, და რომ იცავდა მას სახელის გატეხისაგან. ჩვენდა საოცრად დელეგაციების უმრავლესობამ თითქმის მეტი გააფთრებით გაილაშქრა ჩვენი ახალი წინადადების წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენი პირველი პროექტის წინააღმდეგ. ამ წინადადების შეტანის შემდეგ მათ მოითხოვეს სესიის დაუყოვნებლივ დახურვა. ჩვენ დაგვიწყეს ბრალის დება იმაში, რომ ჩვენი წინადადებით განიარაღების პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ ჩვენ მოვითხოვდით კომისიისაგან ნაბიჯის უკან გადადგმას, ხოლო ჩვენს ასეთ წინადადებას დაუპირდაპირეს საფრანგეთის დელეგაციის უფრო „პროგრესიული“ წინადადება სესიის დახურვის და დელეგატების შინ დაბრუნების შესახებ.

ჩვენმა მეორე პროექტმა გამოიწვია დიდი მღელვარება; ქვე-კომისიის თავმჯდომარემ საჭიროდ ჩასთვალა დაუყოვნებლივ დაემშვიდებინა კრება ფრიად გადამჭრელი განცხადებით, რომ ახალი პროექტი არავითარ შემთხვევაში არ იქნება განხილული ამ სესიაზე. მე სამჯერ მოვითხოვე თავმჯდომარისაგან დაესაბუთებინა ეს განცხადება, მაგრამ ამაოდ, —ვერავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი და განმარტება მე მისგან ვერ მივიღე. აღნიშნავდნენ მხოლოდ, რომ დელეგატები მომზადებული არ არიან თქვენი პროექტისათვის, არ შეუსწავლიათ იგი და არა აქვთ ინსტრუქციები თავის მთავრობებისაგან. მე იძულებული გავხდი მომეგონებია თვით კომისიის თავმჯდომარისათვის, რომ როდესაც სხვა დელეგაციებს შემოჰქონდათ განიარაღების კონვენციის პროექტები, მათ განხილვას დაუყოვნებლივ იწყებდნენ, ხოლო ამერიკის დელეგაციამ ტელეგრაფით გამოითხოვა ინსტრუქციები თავის მთავრობისაგან და კომისიამ რამოდენიმე დღით გადადო სხდომა ამერიკიდან პასუხის მიღებამდე. მე მოვითხოვდი, რომ საბჭოთა დელეგაცია თანასწორ პირობებში ყოფილიყო ჩაყენებული მისი წინადადების განხილვის მხრივ, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერც ამაზე მივიღე. კომისიაში ისეთი განწყობილება შეიქნა, რომ გონივრულ, ლოღიკურად დასაბუთებულ მსჯელობის მოლოდინი უკვე შეუძლებელი იყო. კომისიამ სასწრაფო წესით მიიღო საერთო რეზოლიუცია სრული განიარაღების ჩვენი პირველი პროექტის უარყოფისა, ჩვენი მეორე პროექტის განხილვის, გერმანიის დელეგაციის წინადადების და თვით კომისიის პროექტის მეორე წაკითხვის გადატანის შესახებ მეორე სესიაზე, რომლის მოწვევის ვადის განსაზღვრის უფლება ეძლევა თავმჯდომარეს საკუთარი შეხედულების მიხედვით.

უნუგეშო პერსპექტივები

თქვენ შემეკითხებით, როგორიღაა ერთა ლიგის მუშაობის პერსპექტივები განიარაღების დარგშიო? სრულიად ნათელია, რომ დელეგატების უმრავლესობისათვის უკვე მომწიფდა გადაწყვეტილება, რომ, თუ სრულებით უყურადღებოდ არ მიატოვებენ ჩვენს მეორე პროექტს ნაწილობრივი განიარაღების შესახებ, ცალკე მაინც არ განიხილონ იგი, არამედ მხოლოდ მათი საკუთარი პროექტის მეორე წაკითხვის პარალელურად. მაგრამ ეს მეორე წაკითხვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად სწარმოებს დიპლომატიის რეებში, გამოიწვევს უთანხმოებათა მოსპობას. თუ ეს შეთანხმება მიღწეული არ იქნა, ქვეკომისია ალბათ სრულებით არ იქნება მოწვეული.

მაგრამ რამდენათაც ჩვენ ვცდილობთ ყველა ხალხების ნამდვილ, დაჩქარებით და მაქსიმალურ განიარაღებას, იმდენად ჩვენ გულწრფელად უნდა გამოვსთქვათ იმედის გაცრუება და დიდი მწუხარება კომისიის მუშაობის შედეგებისა და განიარაღების საქმის იმ უნუგეშო მდგომარეობის გამო, რომელიც სესიამ გამოააშკარავა.

ცილისწამების ახალი კამპანია

რომ ჩირქი მოეცხოთ საბჭოთა დელეგაციის გამოსვლებისათვის, რომელთა ხასიათი და მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ ფართო მასებისათვის განსაკუთრებით ნათელი გახდა მოსამზადებელი კომისიის მეხუთე სესიის შემდეგ, ჩვენი მოწინააღმდეგეები კვლავ ავრცელებენ, რასაკვირველია, საფრანგეთის პრესის საშუალებით შეუსაბამო ხმებს იმის შესახებ, რომ ვითომც საბჭოთა კავშირი ემზადება თავს დაესხას თავის მახლობელ მეზობლებს—ლატვიას, ესტონეთს, რუმინეთს და, რასაკვირველია, „უწყინარ“ პოლონეთსაც. საბჭოთა ხელისუფლებას, ამბობენ ისინი, ისეთ დაბრკოლებებს და კრიზისს განიცდის, რომელთაგან გამოსვლა შეუძლებელია რაიმე სამხედრო ავანტიურის გარეშეო. ჩვენ ვიცით ამ ხმების ზოგიერთი წყაროები ჩვენ ვიცნობთ დიპლომატებს და სამხედრო ატაშეებს, რომლებიც განსაკუთრებით ცდილობენ გაავრცელონ ეს ხმები, რომელთა სიმართლე, მათ თვითონ, რასაკვირველია არ სჯერათ. მაგრამ სწორედ იმიტომ რომ ჩვენ ვიცით ამ ხმების წყარო, ჩვენს წინაშე სდგება შემდეგი საფრთხე: სხვა მიზნებს ხომ არ ისახავს ეს ხმები, ხომ არ წარმოადგენს ეს ხმები საფარს, რომლითაც ჰფარავენ მზადებას საბჭოთა კავშირზე პირდაპირი ან არაპირდაპირი თავდასხმისათვის.

თუ ჩვენ გვერდს აუხვევთ მტრულ გამოსვლებს ჩვენს წინააღმდეგ, მაშინაც კი უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში მთელ მსოფლიოში ძლიერდება სწორედ ისეთი დიპლომატიური და მილიტარისტული ტენდენციები, რომლებმაც 1914 წელში გამოიწვია მსოფლიო ომი.

ის, რაც მოხდა მოსამზადებელი კომისიის მეხუთე სესიის შემდეგ, წარმოადგენს სწორედ იმ მილიტარიზმის გამარჯვებას, რომელიც წინ უსწრებდა და თან სდევდა ამ ომს. უშიშროების გარანტიებისა და თავდაუსხმელობის პაქტების შესახებ პაციფისტური ლაპარაკის საფარით კვლავ ხდება ისეთივე პოლიტიკური კომბინაციები, როგორიც ხდებოდა მსოფლიო ომამდე მაშინდელი დიპლომატიის მეოხებით. თავდაუსხმელობის და არბიტრაჟის ხელშეკრულობათა ანუ დამატებითი საიდუმლო შეთანხმებათა (რომლებიც ვითომც მშვიდობიანობის დამყარებას ისახავენ მიზნად) შემუშავებისათვის ამჟამად ზოგიერთ ქვეყნებში მუშა-

თხეწ არა მარტო გარეშე საქმეთა სამინისტროები, არამედ სამხედრო და საზღვაო შტაბებიც. ეს ჩემი ჰიპოტეზა კი არ არის, არამედ ფაქტი, რომლის შესახებაც გარეშე საქმეთა სამინისტრო სარწმუნო ცნობები აქვს.

მსოფლიოში ჯერ-ჯერობით ერთად ერთი საბჭოთა სახელმწიფო მეტად სუსტია იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ამბების მომავალ მრისხანე მსვლელობაზე. მას შეუძლია მხოლოდ გააფრთხილოს ხალხები მომავალ საფრთხის შესახებ, მაგრამ რამდენათ უფრო ძლიერ იქნება მისი გამაფრთხილებელი ხმა, მისი მოწოდება განიარაღებისაკენ, მით უფრო ინტენსიური იქნება სხვა ქვეყნების ცდა ჩაახშონ ეს ხმა, ჩირქი მოსცხონ ინსინუაციებით, ბჭორების ცილისწამებით, პროვოკაციული ხმებით, ჭორებით და სხვ.

ჩვენმა გამოსვლამ მეოთხე სესიაზე გამოიწვია სტალინის ყალბი წერილის გამოქვეყნება. ჩვენი გამოსვლის შემდეგ მეხუთე სესიაზე დაუყოვნებლივ გავრცელდა ხმები ჩვენი, ვითომდა, აგრესიულ განზრახვების შესახებ ბალტიის სახელმწიფოების მიმართ. ამ დღეებში ადგილი ჰქონდა ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის—არკოსზე თავდასხმის და ინგლის-რუსეთის ურთიერთობის ჩაშლის ინიციატორის ხელახლა გაბოროტებულ გამოსვლას ჩვენი საბანკო ორგანიზაციების წინააღმდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თანდათან დაეცემა ასე ხმებისა და ცნობებისადმი ნდობა, განსაკუთრებით, როცა ისინი გამომდინარეობენ „ზინოვიევის წერილის“ ფაბრიკასთან დაახლოებულ წყაროებიდან, ხოლო ჩვენს წინააღმდეგ ხმარებული იარაღი თანდათან მოჩლუნგდება.

ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა

ბრძოლის ასეთი საშუალებები ვერ შესცვლის საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას. საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს იმ სამშვიდობო პოლიტიკის გზას, რომლის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს მისი წინადადება სრულ და დაუყოვნებლივ საყოველთაო განიარაღების შესახებ. მოსამზ. კომისიამ მოხსნა ეს საკითხი დღის წესრიგიდან, ერთა ლიგა სრულ განიარაღებას თვლის მიუღწეველ იდეალად ან ისეთად, რომლისკენაც კაცობრიობა კუს ნაბიჯით უნდა მიდიოდეს საუკუნოების და ათას წლების განმავლობაში, სხვა დელეგატები, პოლონეთის წარმომადგენლის მსგავსათ, ცდილობენ ამოშალონ განიარაღება საკაცობრიო იდეალების სიიდანაც კი. მიუხედავათ ამისა, საბჭოთა მთავრობა წინანდებურათ ცდილობს შეიტანოს ეს იდეალი დღის წესრიგში, მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში, ამ იდეალის რაც შეიძლება საჩქაროდ განხორციელებისათვის, ისევე როგორც ის ცდილობს განახორციელოს და განახორციელებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სხვა იდეალებს. (ადს)

— : —

ამხ. ლიტვინოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. პოლეხ. ამხ. პოლეზე რ. ს. ფ. ს. რ., უკ. ს. რ., ბ. ს. ს. რ., ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ., უზბეკისტანის ს. ს. რ. და თურქმენისტანის ს. ს. რ. სახელით წარადგენს დადგენილების პროექტს ამხ. ლიტვინოვის მოხსენების შესახებ. დადგენილების პროექტს სესია ღებულობს ერთხმად მქუხარე ტაშით.

დადგენილება ამხ. ლიტვინოვის მოხსენების გამო

„მოისმინა რა ამხ. ლიტვინოვის მოხსენება, საკავშირო ცაკი იწონებს მოქმედებას საბჭოთა დელეგაციისას, რომელიც იცავდა საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გამომხატველ სრული განიარაღების პროგრამას, როგორც ერთად-ერთ პროგრამას, რომელსაც შეუძლია ხალხებს შორის სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილება, ამ პროგრამის განხორციელების სრული შეუძლებლობის გამო, რაც იყო შედეგი პროგრამისადმი კაპიტალისტური სახელმწიფოების ყოვლად შეურიგებელი და მტრული დამოკიდებულებისა, საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა ნაწილობრივი განიარაღების პროექტი, რომელიც თუმცა სავსებით არ გამოხატავს საბჭოთა მთავრობის მისწრაფებას ხალხებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებისადმი, მაგრამ რამდენადმე მაინც შეუძლია სამხედრო შეტაკების საფრთხის შესუსტება და შეიარაღების იმ ტვირთის შემცირება, რომელიც მშრომელ მასებს აწევს.

საკავშირო ცაკი, ერთხელ კიდევ ადასტურებს რა მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა კავშირის ხალხების ურყევ მისწრაფებას ყველა სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ და საბჭოთა მთავრობის მტკიცე სურვილს მიიღოს ყოველგვარი ზომები ომის, როგორც სახელმწიფოებს შორის დავის გადაჭრის საშუალებისა და მეთოდის სრულიად და საბოლოოდ აღმოსაფხვრელად,—წინადადებას აძლევს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმსა და საკავშირო სახკომსაბჭოს დაიცვან შემდეგშიაც სრული განიარაღების პროგრამა და ხელიდან არ გაუშვან ამ დარგში თუნდაც ნაწილობრივი და დროებითი დადებითი შედეგების მიღწევის მცირე შესაძლებლობაც კი“.

სესიის დახურვა

სესიის დახურვის წინ ამხ. პიატაკოვმა ცაკის წევრებს მიმართა სათანადო სიტყვით, რომელშიაც ჯამი გაუკეთა სესიის მუშაობას.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

როგორ იზრდება საბჭოთა კავშირის მოსახლეობა

მოსკოვი, 23 აპრილი. საკავშირო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ კომუნისტურ აკადემიაში გააკეთა ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

თავის მოხსენების იმ ნაწილში, სადაც ამხ. კრჟიჟანოვსკი შეეხო სოფლის მეურნეობის და მოსახლეობის კულტურულ განვითარების საკითხებს, მან განაცხადა: აღმშენებლობის ამოცანები დაბეჯითებით აყენებს ჩვენს წინაშე კულტურულ რევოლიუციის ამოცანას. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა განვითარების იმდენად დაბალ დონეზე დგას, რომ ტეხნიკური და კულტურული გადატრიალების გარეშე, ჩვენ წინ ვერ წავალთ.

საკავშირო საგეგმო კომისიის სტატისტიკა, რომელიც შეეხება ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობას, სხვათა შორის მეტად დამახასიათებელ და არასასიამოვნო კურიოზულ სურათს იძლევა. ასე მაგალითად, საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით ამ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის თვითეულ გლეხურ მეურნეობას ეყოლება თითო ცხენი, ამ ცხენების კვებას დასჭირდება მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

საჭიროა გადაიდგას ენერგიული და გადამჭრელი ნაბიჯები იმისათვის, რომ გავადიდოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა, რის შესაძლებლობასაც უთუოდ იძლევა საბჭოთა კავშირის ბუნებრივი სიმდიდრე ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, რაც გარდა მატერიალურ საშუალებისა, მოითხოვს კულტურულ ძალების გაძლიერებას სოფლად.

ამას გარდა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი მთელ ევროპაში ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც მოსახლეობის საერთო რიცხვის ზრდის მხრივ წინ უსწრებს დანარჩენ ქვეყნებს. ჩვენში მოსახლეობა ყოველ წლიურად იზრდება 2,4 პროცენტით, ე. ი. საბჭოთა კავშირის მოსახლეობას თვითეულ წელიწადში ემატება 3 ნახ. მილიონ სულზე მეტი. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს რომ საჭიროა გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებები მოსახლეობის ახალ კადრების კვალიფიციურად მოსამზადებლად, საჭიროა მუშაობა მათ მიზანშეწონილად გამოყენებისათვის სახალხო მეურნეობაში.

კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის შემადგენლობა

მოსკოვი, 23 აპრილი. ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე ამხ. კასტროვმა თავის მოხსენებაში მოიყვანა საყურადღებო ახალი სტატისტიკური ცნობები კომკავშირის სოციალური მდგომარეობის შესახებ მოსკოვის გუბერნიაში.

ამ ცნობების თანახმად კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციაში მუშათა რიცხვი უდრის 35 პროცენტს, მოჯამაგირეების რაოდენობა 8 ნახ. პროცენტს, გლეხ ახალგაზრდობის 48 ნახ. პროცენტს,—დანარჩენი სხვა სოციალური მდგომარეობის ახალგაზრდობაა.

მართალია, აღნიშნა მომხსენებელმა, როგორც ეს ცნობები მოწმობენ რიცხვობრივი გადახრა გლეხ ახალგაზრდობის მხარეზეა, მაგრამ ამაში არანორმალური არაფერია. ჩვენ წარმოვადგენთ გლეხურ ქვეყანას. კომკავშირი, როგორც პარტიის უახლოესი დამხმარე ორგანიზაცია, მიზნად ისახავს მუშა და გლეხ ახალგაზრდობის დარაზმვას. აქედან ცხადია, რომ გლეხურ ქვეყანაში რიცხვობრივ გადახრას შეიძლება ბევრგან დაურჩეს ადგილი. მთავარი ის არის, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროლეტარული ხელმძღვანელობა კომკავშირზე, რაიც მოსკოვის ორგანიზაციაში მტკიცედ ტარდება.

ცვლილებები სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსში

მოსკოვი, 23 აპრილი. სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ კარგა ხანია სწერდენ სასამართლოს ადგილობრივი მუშაკები. არსებულ სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსში არის მთელი რიგი მუხლებისა, რომელთაც დაჰკარგეს უკვე თავიანთი აქტუალური მნიშვნელობა და რომელნიც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ აფერხებენ სასამართლოს ორგანოების ნორმალურ მუშაობას.

ამ დღეებში რუსეთის იუსტიციის კომისარიატმა მოისმინა რესპუბლიკის პროკურორ ამხ. კრილენკოს მოხსენება სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. იუსტიციის კომისარიატმა დაამტკიცა ამხ. კრილენკოს მიერ წარმოდგენილი წინადადებანი, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვთ სასამართლოს სხდომების წარმოებაში.

ღამის ცნობები

„მოგვეცით ზარბაზნები“

ვენა, 22 აპრილი. 21 აპრილს უნგრელ ფაშისტთა კავშირმა იტალიის წარმომადგენლების შენობის წინ (ბუდაპეშტში) უნგრეთში ჩამოსულ იტალიის საპარლამენტო დელეგაციის პატივსაცემად მოაწყო დემონსტრაცია, რომელიც გამოხატავდა თანაგრძნობას ფაშიზმისა და იტალია-უნგრეთის კავშირისადმი და მოითხოვდა ტრიანის ხელშეკრულების გადასინჯვას.

დემონსტრაციას დაესწრენ იტალიის ელჩი უნგრეთში, უნგრეთის მთავრობის წევრები და ბუდაპეშტში მყოფი ჰაბსბურგის სამეფო სახლის წევრები. მრავალი დემონსტრანტი იტალიელების მისამართით გაიძახოდა: „მოგვეცით ზარბაზნები“ (ადს).

ინგლისი ემზადება საბჭოთა კავშირის გარემოცვისათვის

ბერლინი, 23 აპრილი. გაზეთის ცნობით, ინგლისელმა მინისტრებმა უკანასკნელ ხანებში გერმანელ დიპლომატებთან და ჟურნალისტებთან საუბარში არა ერთხელ სინჯეს ნიადაგი და სცადეს იმის გამორკვევა, მზად იქნება თუ არა გერმანიის მთავრობა და რეიხსტაგის უმრავლესობა რეპარაციების შემდეგ გასწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მასთან დადებული ხელშეკრულებები ჩაითვალოს გაუქმებულად, და გამოუცხადოს საბჭოთა კავშირს ეკონომიური ბოიკოტი. (ადს).

„საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი“

ლონდონი, 23 აპრილი. შესდგა „საბჭოთა კავშირის მეგობართა სრ. ინგლისის პირველი ყრილობა, რომელსაც 228 დელეგატი დაესწრო, „საბჭ. კავშ. მეგობართა სრ. ინგლისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირში ნამყოფ მუშათა დელეგაციების წევრები ინგლისში დაბრუნების შემდეგ გამოსულან 1000-ზე მეტ მიტინგზე და საზოგადო კრებაზე. დელეგატების ანგარიშში სახელწოდებით „საბჭოთა კავშირი დღეს“—20.000 ცალია გავრცელებული. ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ომის საშიშროების, ინგლის-საბჭოთა განხეთქილებისა და მუშათა მოძრაობის მთლიანობის შესახებ, სავაჭრო წარმოების მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარის ჯონ ჯეგერლის მიერ ომის საფრთხის შესახებ შეტანილი რეზოლიუცია სავსებით მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულს საყოველთაო განიარაღების იდეას, აძაგებს ერთა ლიგის ფლიდობას განიარაღების საკითხში და მოუწოდებს ინგლისის მუშებს მოაწყონ მთლიანი შეკავშირებული გამოსვლა იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ იმპერიალისტების და რეაქციონერების სამზადისს საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

მეკრავთა კავშირის მდივანის ხელივანის მიერ შეტანილი რეზოლიუცია ინგლის-საბჭოთა განხეთქილების გამო, აღნიშნავს ამ დანაშაულებრივმა აქტმა უმუშევარი გახადა რამოდენიმე ათასი ინგლისელი მუშა, რომელთაც სამუშაო ექნებოდათ, რომ მზადდებოდეს საბჭოთა კავშირისათვის საჭირო საქონელი. ყრილობა მოუწოდებს ინგლისის მუშებს და კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრებს, რომ მოიმარჯვონ მთელი თავისი ორგანიზაციული ძალა იმისათვის, რომ იძულებული გახადონ ინგლისის მთავრობა განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან და შექმნას ხელსაყრელი პირობები ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისათვის. ამავე დროს ყრილობა ინგლისის მუშების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ მუშათა პარტიამ სათანადოთ ვერ აღუდგა წინ დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლას.

ლითონის ჩამომსხმელ მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება მთლიანობის დამყარების შესახებ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა მოძრაობათა შორის: ყრილობა აღიარებს,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—რომ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარება ინგლისის და საბჭოთა კავშირის ორგანიზაციულად დარაზმულ მუშებს შორის აბსოლიუტურად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ორივე სახელმწიფოს და მთელი ქვეყნის მუშათა ინტერესების უზრუნველსაყოფად. ჩვენ მოუწოდებთ ინგლისის პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის ყველა ორგანიზაციებს ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა გასაერთიანებლად გადადგან პირველი ნაბიჯი მოლაპარაკებისათვის საბჭოთა კავშირის სათანადო ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ მოაწყონ პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების ინგლის-რუსეთის გამაერთიანებელი კომიტეტი (ადს).

„ოქტომბერი“ ბერლინში

ბერლინი, 22 აპრ. საბჭოთა ფილმი „ოქტომბერი“ დიდ ინტერესს იწვევს. კინო, რომელშიაც სურათს უჩვენებენ, მუდამ სავსეა; კინოს ადმინისტრაციამ გადასწყვიტა ფილმის ჩვენება ერთი კვირით გააგრძელოს. ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიული პრესა მეტისმეტად უკმაყოფილოა ფილმის დემონსტრაციის გამო სწორედ საარჩევნო კამპანიის დროს. (ადს).

საეჭვო ვიზიტები

რეველი, 22 აპრილი. გაზეთი „პოსტიმეს“-ი იუწყება, რომ მაისში რეველს ესტუმრება საფრანგეთის ესკადრა, რომელიც შესდგება კრეისერისაგან 10.000 ტონა წყალწყვით და რამდენიმე ნაღმოსანისაგან. (ადს).

მემაღაროეთა საკავშირო ყრილობა

ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვი, 23 აპრილი. მემაღაროეთა საკავშირო ყრილობაზე მისალმებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომელმაც აღნიშნა მემაღაროეთა უდიდესი როლი ჩვენი რევოლიუციის სხვადასხვა ეტაპში.

შეეხო რა შახტის საქმის შინაარსს დახასიათებისა და პროფესიონალურ, პარტიულ და სამეურნეო მუშაობის დეფექტებზე, ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ მიუხედავათ მასიურ მუშაობის დეფექტებისა, მხოლოდ მუშათა კლასის მეოხებით მოხერხდა ამ საზიანო მუშაობის გამოაშკარავება შახტის რაიონში. ეს საქმე გამოაშკარავებულ იქნა მხოლოდ მუშების მეოხებით, რომლებმაც მისცეს საგამომძიებლო ორგანოებს მასალა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის ამოსაჩენად.

შეეხო რა პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოების ურთიერთობის საკითხებს, ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ დონის ოლქში არავითარ ადგილი არ ჰქონდა ნორმალური ურთიერთობას ხსენებულ ორგანოებს შორის, არამედ ყველა ისინი თითქმის ყოველთვის ერთმანეთში ითქვიფებოდნენ. პროფკავშირები იქ არ ასრულებდნენ თავის ამოცანებს, რასაც ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წარმოების მმართველობაში მუშების ჩაბმის საქმე იქ ბევრად უფრო ცუდათ იყო დაყენებული, ვიდრე რომელიმე სხვა პროფკავშირში. მუშის ცოცხალ აზრს ხშირად ძირშივე მკლავდნენ მით, რომ თუ რომელიმე მუშა გაბედავდა ადმინისტრაციის ან პროფკავშირის ამორჩეულ ორგანოების გაკრიტიკებას, ის სხვა სამუშაოზე გადაჰყავდათ.

„ჩვენში, ჩვენს მუშურ სახელმწიფოში—ამბობს ამხ. რიკოვი—ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. კრიტიკა სრულებითაც არ უნდა იწვევდეს იმას, რომ ის პირები, რომლებიც კრიტიკას აწარმოებენ, ან ის პირები, რომლებსაც აკრიტიკებენ, დაუყოვნებლივ იქნან მოხსნილი სამუშაოდან. საქმიანი კრიტიკა ყოველგვარი რეპრესიების საბაბს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ პირველ რიგში უნდა ასწორებდეს მუშაობას, ეხმარებოდეს მას. ჩვენ ვაკრიტიკებთ და ძლიერ ვლანძღავთ ბევრ ამხანაგებს ცალკე შეცდომებისათვის, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა მოვხსნათ სამუშაოდან. უნდა შეგვეძლოს არა მარტო თავისი მუშაობის გაკრიტიკება, უნდა შეგვეძლოს დეფექტების აღმოჩენა არა მარტო მეზობლის მუშაობაში,—არამედ აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ, რომ ქვედა საფეხურის ორგანოები და მასიური ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ მაღლამდგომი ორგანიზაციების მუშაობას. მთელს ჩვენს მუშაობას მუდმივ კონტროლსა და კრიტიკას უნდა უწევდნენ ფართო მასები. თუ ჩვენ საქმიანი კრიტიკა არ ვაწარმოეთ, თუ შეუდექით ერთმანეთის ქებას და ვილაპარაკეთ ის, რაც „უფროსს მოსწონს“, შედეგად მივიღებთ ერთ ადგილზე ტკეპნას.

მასების მონაწილეობა სახელმწიფო მეურნეობის მართვა-გამგეობაში, მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება და წინსვლა გულისხმობს საერთო-საქმიან კრიტიკას. დონის ოლქისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის გარემოება, რომ აქ ადგილი არ ჰქონდა მაღლამდგომ ორგანიზაციების კრიტიკას, ამავე დროს მისი მეურნეობის მართვა-გამგეობის სისტემა იყო უაღრესად ცენტრალური. ამ გარემოებამ საშუალება მისცა კონტრ-რევოლიუციონერების შედარებით მცირე ჯგუფს ეწარმოებინა მავნე მუშაობა ძლიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში“.

თავისი მისალმების სიტყვის დასასრულს ამხ. რიკოვმა უსურვა მემაღაროეთა კავშირს, რომ ის იყოს გამარჯვებული გამოსვლის ბრძოლის ახალ ეტაპზე, როგორც გამარჯვდა მან ბრძოლაში ცარიზმთან, სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელებთან და ბრძოლაში სამეურნეო არევ-დარევასთან.

ამხ. შვარცისა და კოშკარევის მოხსენებები

21 აპრილს მემაღაროეთა საკავშირო ყრილობაზე ამხ. შვარცმა და კოშკარევმა თავის მოხსენებებში აღნიშნეს, რომ წინა ყრილობის ძირითადი დირექტივები შესრულებულია. მემაღაროეთა სამუშაო ხელფასის საერთო ფონდი 1927 წელში გადიდებულ იქნა—14.360.000 მანეთით, 1928 წელში კი—7.259.000 მანეთით. დიდძალი ფულადი სახსრები გადაიდო უშიშროების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად. მემაღაროეთა კავშირი საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მეურნეობის ორგანიზაციაში. კავშირის ცეკას ინიციატივით გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის მთელ ოქროს მრეწველობა, აგრეთვე მთლიან ტრესტებად არის გაერთიანებული შორეულ აღმოსავლეთის და შუა აზიის ქვანახშირის მრეწველობა. სამეურნეო და პროფესიონალურ სამუშაოზე დაწინაურებულია 7.000-ზე მეტი მუშა.

კამათი

კამათში დელეგატებმა გააკრიტიკეს კავშირის ცეკას მუშაობა. კერძოდ აღნიშნული იყო, რომ სამთო მრეწველობის სპეციალისტები თავის მუშაობას კარჩაკეტილად აწარმოებენ და გაურბიან ურთიერთობას მუშათა მასასთან. აგრეთვე აღნიშნა, რომ პროფესიონალურ მუშაობას სუსტი ხელმძღვანელობა ეწევა ურალის საკონცესიო წარმოებებში, დელეგატები განსაკუთრებით აღნიშნავდენ, რომ ადგილებზე არ არსებობს პროლეტარულ სპეციალისტების კადრები. (ადს).

ბესარაბიელთა საკავშირო ყრილობა

ხარკოვი, 23 აპრილი. დაიხურა ბესარაბიელთა საკავშირო ყრილობა. ყრილობამ მიმართა მთელი ქვეყნის მშრომელებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„მშრომელთა ბესარაბია დაუძლურებულია, მაგრამ იგი მტერთან ბრძოლას არ შესწყვეტს მანამდე, ვიდრე გამარჯვებას არ მოიპოვებს. ბესარაბიის მშრომელებს ესმით, რომ მათი განთავისუფლება დაკავშირებულია კაპიტალის წინააღმდეგ რუმინეთისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა გამანთავისუფლებელი ბრძოლის ბედ-იღბალთან. ჩვენს ძმებს, რომლებიც გმინავენ მემამულეთა უღლის ქვეშ, ძმურ სალამს უგზავნით მათ შემდგომ ბრძოლაში. შორს არ არის ის დრო, როდესაც შრომა საბოლოოდ გაუსწორდება კაპიტალს“.

ბესარაბიელ ემიგრანტთა საზოგადოების ახლად ამორჩეული ცენტრალური საბჭოს პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე ლევენზონი, წევრები ბანტკე, ალექსანდრი, დემბო, პრუნენი, ხლოდოვსკი და გოლაიბა (ადს).

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ათი წლის თავი

ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბრძანება

მოსკოვი, 23 აპრილი. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გამოცხადების 10 წლის თავის შესრულების გამო, ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ბრძანება ამხ. მიქოიანის ხელმოწერით.

„განვლილი ათი წლის პერიოდში,—ნათქვამია ბრძანებაში,—ჩვენმა ქვეყანამ მიუხედავად განსაკუთრებულ სიძნელეებისა, კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში დაანახვა კაპიტალისტურ სამყაროს, რომ შესაძლებელია საგარეო ურთიერთობის განვითარება სხვა ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საფუძველზე. მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა და ბრძოლის სიძნელისა, ჩვენ არ თუ შევძელით საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შენარჩუნება, როგორც სისტემის, არამედ მისი სისტემატიურად გაუმჯობესებით კიდევ უფრო განვამტკიცეთ და განვავითარეთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის აპარატი და სისტემა, გავაძლიერეთ მისი წინააღმდეგობის უნარი მტრული სამეურნეო პოლიტიკა“.

„რთული ხდება ჩვენი მუშაობა,—ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში,—რეკონსტრუქციის პერიოდში, ფართო კაპიტალურ მშენებლობის და ამასთან დაკავშირებით მოწყობილობისა და ნედლეულის შესყიდვის ზრდის პერიოდში. საჭიროა სიფრთხილე, რომ ნორმალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იმ მსხვილ კაპიტალისტურ ფირმებთან, რომლებიც ნამდვილად სცდილობენ კეთილსინდისიერად აწარმოონ მუშაობა საბჭოთა კავშირთან, ადგილი არ ექნეს დაკვეთილ მასალების ისეთ არაკეთილსინდისიერ მიწოდებას, როგორსაც მაგალითად, ადგილი ჰქონდა შახტის რაიონში და რომლებიც ნაკარნახევია ჩვენი მტრების სურვილით ჩაშალონ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდა. მეორე ათწლეულში ჩვენ შევდივართ უფრო განმტკიცებული და გამოცდილი, ვიდრე ეს იყო საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ დეკრეტის გამოცემის დროს. ეს წარმოადგენს იმის საუკეთესო გარანტიას, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატი, საბჭოთა საზოგადოებრივობის დახმარებით, შესძლებს მიაღწიოს შემდგომ წარმატებებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საქმეში“.

„აზგოსტორგი“-ს მუშათა პროცესი

ბაქო, 21 აპრილი. 21 აპრილს დაიწყო „აზგოსტორგის“ მუშაკთა პროცესი. საბრალდებლო სკამზე სხედან „აზგოსტორგის“ სამი თანამშრომელი. მათ შორის „აზგოსტორგის“ ყოფილი დირექტორი. წინასწარი გამოძიების ცნობებით, უყაირათობისა, მთავრობის დირექტივების დარღვევისა, ფიქტიური ბალანსების შედგენის და სხ. ბოროტმოქმედებათა გამო სახელმწიფომ იზარალა 700.000 მან. ამ საქმეზე გამოწვეულია 16 მოწმე (ადს).

ბაქო, 23 აპრილი. 23 აპრილს „აზგოსტორგის“ მუშაკთა პროცესზე დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. „აზგოსტორგის“ ყოფილი დირექტორი თიაროვი არ სცნობს თავს დამნაშავედ, იგი უარჰყოფს ყველა ბრალდებებს, რომლებიც წაყენებულია მის წინააღმდეგ

პარტიული ცხოვრება

მორიგი შემოწმება

უჯრედთა ბიუროების მომავალი გადარჩევა ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და მდგომარეობის პირველი შემოწმება არის მე-15 პარტყრილობის შემდეგ.

გადარჩევასთან დაკავშირებით საწარმოო უჯრედების წინაშე სდგას შემდეგი ამოცანა: შემოწმებულ უნდა იქნას, თუ როგორ სრულდება პარტიული დირექტივები წარმოებებში მასიური მუშაობის გამოცოცხლების შესახებ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საერთო სადელეგატო კრებების და საწარმოო თათბირების მუშაობას შინაარსს; შემოწმებულ უნდა იქნას, თუ როგორ მონაწილეობას იღებს უჯრედი წარმოების ტეხნიკისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, მუშაობის რაციონალიზაციის, პრემიალური ფონდის ხარჯვის და თვითღირებულების შემცირების საქმეში.

ჩვენ საშუალება გვაქვს ჯამი გაუკეთოთ ახლად დადებულ კოლ. ხელშეკრულებათა შედეგებს; ამასთანავე უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ გამომუშავების, შეფასების ნორმების და შრომის ნაყოფიერების მდგომარეობას საამქროებში.

დაწესებულებათა უჯრედებმა უნდა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება პარტიის დირექტივა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების შესახებ, როგორ ჩაატარა ამა თუ იმ დაწესებულებამ ან წარმოებამ ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება და სხვა.

აი დაახლოებით ის ძირითადი დირექტივები, რომლებიც უნდა შეასრულონ ქალაქის უჯრედებმა მიმდინარე საანგარიშო გადარჩევის კამპანიის პერიოდში.

არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება საანგარიშო საარჩევნო კამპანიას სოფლის უჯრედებისათვის. სოფლის უჯრედებმა უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად სისწორით შეითვისებს მათ მე-15 პარტყრილობის ძირითადი დირექტივები სოფლად მუშაობის შესახებ.

სოფლის უჯრედებმა უნდა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება პარტიის დირექტივა ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ (ღარიბთა კრებები, ღარიბთა ჯგუფების მუშაობა, ღარიბთა ჯგუფების სათემო თათბირები, ღარიბთათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენა და მათი შეკავშირება კოოპერაციაში), თუ რა გააკეთა უჯრედმა მას შემდეგ, რაც პარტიამ გამოიტანა გადაწყვეტილება სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის და ახალ ნიადაგზე გარდაქმნის შესახებ (სამანქანო და სხვაგვარი ამხანაგობების, მიწის დამმუშავებელი არტელების შექმნა, კოლმეურნეობათა მოწყობა, კომუნისტ-გლეხთა მეურნეობების მონაწილეობა კოლმეურნეობებში და სხ.)

სოფლის უჯრედთა მუშაობაში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი—მუშაობა მოჯამაგირეთა და სასოფლო სამეურნეო მუშებს შორის. შემოწმებულ უნდა იქნას მოჯამაგირეთა ეკონომიური ინტერესების დაცვა, სასოფლო-სამეურნეო მუშების შეკავშირება და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება მათ შორის.

საანგარიშო გადარჩევის კამპანია ყველა მის წინაშე მდგომ ამოცანებს შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფართო პარტიული მასა აქტიურად ჩაებმება უჯრედის მუშაობის შემოწმების საქმეში. ამისათვის საჭიროა ყოველმა უჯრედმა თავის დროზე გამოჰყოს თვითშემმოწმებელი კომისია.

იმ მიზნით, რომ გადარჩევის კრებას დაესწროს რაც შეიძლება მეტი რიცხვი, კრებები უნდა გაიმართოს საღამოობით და არა სამუშაოს დამთავრებისთანავე. თუ ერთი კრება ვერ ამოსწურავს დღის წესრიგს, საკითხები უნდა გადაიდოს მეორე კრებისათვის.

არუთინოვი.

მოუგვარებელი საკითხი

ოქტომბრის გაწვევამ თბილისის ორგანიზაციას შემატა ათასამდე მუშა. თუ წარსული წლის პირველ ოქტომბრამდე მუშათა პროცენტი თბილისის ორგანიზაციაში უდრიდა 62,8 პროცენტს, ამავე წლის 15 დეკემბრისათვის ეს პროცენტი უკვე გაიზარდა 65,3 პროცენტამდე. ამასთან ერთად გაიზარდა დაზგის მუშათა პროცენტი 47,8 პროცენტიდან 52,4 პროცენტამდე.

ეს თავისთავად დადებითი ფაქტი ახალ პასუხისმგებლობას აკისრებდა და აკისრებს თბილისის პარტორგანიზაციებს. ესაა ოქტომბრის გაწვევის პარტიულ აღმზრდელობაზე ზრუნვა. ამის შესახებ თბილისის კომიტეტის წარსული დეკემბრის პლენუმმა ცალკე დადგენილებაც კი გამოიტანა, სადაც აღნიშნავდა, რომ საჭიროა ახლად მიღებული მუშები გატარებულ იქნენ პოლიტგანათლების სკოლების ქსელში.

უნდა ითქვას, რომ ამ დირექტივას ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სათანადოთ ვერ ანხორციელებენ. ასე მაგალითად, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ცნობების მიხედვით 948 კაცისაგან, რომელიც მიღებული იყო პარტიაში ოქტომბრის გაწვევით, მხოლოდ 492 კაცია გაერთიანებული პოლიტგანათლების სკოლებში.

მალე სასწავლო წელი დასრულდება. ასე რომ, ამ ნაკლის გამოსწორება ახლო მომავალში უკვე აღარ მოხერხდება. სამაგიეროთ აქედანვე უნდა იქნას მიღებული ზომები იმისათვის, რომ მომავალ სასწავლო წელში ოქტომბრის გაწვევის მთელი შემადგენლობა გატარებულ იქნას პოლიტგანათლების ქსელში.

პარტიაში ახლად მიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდა არ განისაზღვრება მარტო პოლიტგანათლების საკითხებით. ამასთან ერთად საჭიროა მათი პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაში ჩაბმა. თუ ასე მივუდგებით საკითხს, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ამ მხრივ არის ყველაფერი რიგზე. პარტდატვირთვის განაწილება მეტად არარაციონალურია ჩვენს ორგანიზაციებში საზოგადოთ. კერძოთ ოქტომბრის გაწვევის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია. ჩვენმა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს ოქტომბრის გაწვევით მიღებულთა მასიურად ჩაბმა პარტიულ მუშაობაში. გაწვევამ პარტიას დიდი გამარჯვება არგუნა. ჩვენ გავიზარდეთ პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენელთა ხარჯზე, საჭიროა ამ გამარჯვების სათანადოთ გამოყენება და გამართლება.

ჩ. ზ—ი.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(რიონდების მტვირ. მუშ. კომუჯრედი, ქუთაისი)

ეს უჯრედი, არსებობს 1921 წლიდან და თავის აქტიური მუშაობით არ ჩამოუვარდება—სხვა კომუჯრედებს.

უჯრედმა ნაყოფიერი მუშაობით მეტად დააინტერესა უპარტიო ამხანაგები, რასაც შედეგად მოჰყვა უჯრედის წევრთა რიცხვობრივი ზრდა.

ამჟამად უჯრედი აერთიანებს სულ 133 წევრს და კანდიდატს.

დისციპლინის საკითხი უჯრედში სათანადო დონეზე სდგას. სისტემატიურად ეწყობა სხდომები, ღია კრებებზე ისმება მნიშვნელოვანი საკითხები. კრებებს ესწრება უპარტიო ამხანაგების საკმაო რიცხვი.

უჯრედის წევრები ჩაბმული არიან საზოგადოებრივ კულტურულ მუშაობაში.

ორ კვირაში ერთხელ გამოდის კედლის გაზეთი. უჯრედის ყველა წევრებს გამოწერილი აქვთ გაზეთები, „კომუნისტი“ და „მუშა“.

უჯრედთან არსებობს ორი პოლიტსკოლა, ამათგან მეორე საფეხურის სკოლაში მუშაობა სწარმოებს სისტემატიურად, მაგრამ უჯრედის წევრები გულგრილობას იჩენენ და ხშირად აკლდებიან მეცადინეობას; პირველი საფეხურის პოლიტსკოლა კი თითქმის სულ დაიშალა. თვეზედ მეტი იქნება, რაც იქ მეცადინეობა აღარ შემდგარა.

საჭიროა უჯრედის ბიურომ და რაიკომმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას.

შ. ხითარიშვილი.

საქართველოს კ. პ (ბ) ორგანიზაციებში

თბილისის კომიტეტში

როგორ უნდა სწარმოებდეს ქალთა შორის მუშაობა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება ქალთა მასიური მუშაობის შესახებ წარმოებებში. სხდომამ აღნიშნა, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ქალთა შორის მუშაობას, არ სწარმოებს მუშა-ქალთა მდგომარეობის სათანადო შესწავლა და ქალთა აქტივის გამოყენება.

მომავალში ამ საკითხის მოსაგვარებლად პრეზიდიუმმა საჭიროდ ჩასთვალა, რომ პროფკავშირთა საბჭომ და შრომის სახ. კომისარიატმა შრომის ბირჟასთან ერთად დაამუშაონ მრეწველობაში ქალთა მეტი რაოდენობის ჩაბმის საკითხი; ყურადღება მიექცეს მასიურ მუშაობის წარმოებას ქალთა შორის, რისთვისაც მუშათა საერთო კრებების დღის წესრიგში დაისვას ქალებისათვის საინტერესო საკითხი. საჭიროა მუშა ქალების და მუშათა ცოლების ჩაბმა კლუბებში, აგრეთვე ქალთა დელეგატების გამოყენება საფ.-საქ. კომიტეტების კომისიებსა და საწარმოო თათბირების მუშაობაში. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ახალ შემადგენლობაში გადარჩევების დროს უნდა შეყვანილ იქნეს მუშა-ქალთა მეტი რიცხვი.

პრეზიდიუმმა არანორმალურ მოვლენად ჩასთვალა ის გარემოება, რომ წარმოებებში, სადაც ქალთა რიცხვი გაცილებით მეტია მამაკაცებზე (თამბაქოს და აბრეშუმის საქ. ფაბრიკები), საფ.-საქ. კომიტეტებში ფასიან მომუშაკებად გამოყოფილი არიან მხოლოდ მამაკაცები, და დაავალა პროფკავშირის საბჭოს ახლო მომავალში გამოასწოროს ეს ნაკლი.

იმ მიზნით, რომ მუშა-ქალები დაწინაურებულ იქნეს ადმინ. სამეურნეო სამუშაოზე, საფ. - საქ. კომიტეტებმა და კავშირების ც. გ. უნდა აწარმოონ აქტივისტ-ქალების მუდმივი აღრიცხვა და მოამზადონ დასაწინაურებელი კანდიდატები.

პარტორგანოები საღამოობით იმუშავებენ

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის ორგანიზაციის პარტორგანოები უახლოეს ხანში გადავლენ საღამოობით მუშაობაზე. საღამოობით მუშაობა იწარმოებს კვირაში ორ დღეს. ამ ღონისძიების მიზანია: გაუადვილოს პარტიის წევრ მუშებს პარტიულ ორგანოებში მისვლა სამუშაოზე მოუცდენლად.

წარმოებათა მასიური გამოკვლევა

თბილისის კომიტეტის მიერ შექმნილმა კომისიებმა უკვე დაასრულეს მასიური მუშაობის გამოკვლევა ქალაქის ძირითად წარმოებებში (რკ. გზ. მთ. სახელოსნოები, დეპო, არსენალი, ტრამვაი), ამჟამად სწარმოებს მასალების დამუშავება. ახლო მომავალში გამოკვლევის შედეგებს განიხილავს თ. კ. პრეზიდიუმი.

შორაპანი

კოლმეურნეობათა ნაკლი

— შორაპნის სამკომმა აღნიშნა, რომ მაზრაში არსებული სამეურნეო კოლექტივების ჩამოყალიბების დროს არ ყოფილა დაცული სათანადო წესები. სამკომმა საჭიროდ სცნო: მომავალში კოლექტივების ჩამოყალიბება ხდებოდეს არსებული დებულების საფუძველზე; გაძლიერებულ იქნეს ხელმძღვანელობა კოლექტივებზე, მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელ ქალთა ჩაბმას კოლექტივებში, ამ მიზნით ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებს მიეცეს ინსტრუქციები შესაფერი მუშაობის საწარმოებლად. პარტორგანიზაციებმა გააძლიერონ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა კოლექტივების წევრთა შორის.

ბათუმი

რეზოლიუციების დამუშავება

ბათუმის ორგანიზ. უჯრედებმა დაამთავრეს მე-15 პარტ. ყრილობის იმ დადგენილებათა დამუშავება, რომლებიც შეეხება კომინტერნის აღმასკომში წარგზავნილი საკავშირო კომპარტიის დელეგაციის ანგარიშს. დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა ქალაქის 32 უჯრედი; დაესწრო 1.056 კაცი ანუ ორგანიზაციის 74,8 პროცენტი.

მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებანი უჯრედებმა ერთხმად მოიწონეს.

— : —

კომკავშირში

შრომის დისციპლინა მოიკოჭლებს

(რკ. გზ. მოძრ. დარგის უჯრედი, თბილისი)

ამას წინად შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მე-19 კომუჯრედის და ა. ლ. კ. კ. მე-11 უჯრედის აქტივის გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა მოძრაობის დარგის მე-2 განყ. უფროსის ამხ. ვლასა ბარამიძის მოხსენება შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ რკინის გზებზე. მომხსენებელი ფართოდ შეეხო ამ საკითხს და აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს საგრძნობლად გახშირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რის გამო ადგილი აქვს აუარებელ კატასტროფებს რკინის გზებზე.

ამხ. ბარამიძე საჭიროდ სცნობს სასტიკ ბრძოლა გამოეცხადოს შრომის დისციპლინის დამრღვევთ, რაშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიისა და კომკავშირის წევრებმა. მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ნ. ბარამიძემ, ის. გოგიბერიძემ, ივ. ნაზრბეგოვმა, ლ. მაისურაძემ, მუნტიკოვმა, ალიოხინმა, ბაზიარმა, მეტონიძემ, მუქერიამ, ნ. ვაჭარაძემ, და გ. სანაკოევმა. მოკამათენი აღნიშნავენ, რომ თბილისის დეპოს ადმინისტრაცია არ სჯის შრ. დისციპლინის დამრღვევ მუშა-მოსამსახურეებს, უმთავრესად კი მემანქანეებს; ამ საკითხის ირგვლივ პრესაში მოთავსებულ შენიშვნებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. ბოლო დროს მუშა-მოსამსახურეებში გახშირდა სიმთვრალისა და სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევები და სხვ. ორატორები მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას უდისციპლინობის აღმოსაფხვრელად.

ამხ. ბარამიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კრებამ მიიღო სათანადო პრაქტიკული წინადადებები.

ა—ლი.

ლოზუნგები პირველ მაისისათვის

გაუმარჯოს 1 მაისს—საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონური ძალების შემოწმების დღეს!

ჩვენი საპირველმაისო სალამი ყველა ქვეყნის მუშებს და კოლონიების დაჩაგრულ ერებს!

ჩვენი ძმური სალამი კაპიტალის ტყვეებს მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომინტერნს—მთელს მსოფლიოში კაპიტალიზმის მოსასპობად მიმართული პროლეტარული ბრძოლის რევოლიუციონურ შტაბს!

იმპერიალისტები ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას ამზადებენ. სოციალ-დემოკრატები მფარავენ ამ შავ-ბნელ საქმეს მშვიდობიანობის შესახებ ლაყბობით. ძირს იმპერიალიზმი, ძირს კაპიტალის ლაქიები და მათი ლაყბობა განიარაღების შესახებ. ერთა ლიგა ჰფარავს შეარაღების ზრდას და ახალი ომების მზადებას. ძირს ერთა ლიგა! გაუმარჯოს საბჭოთა ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის!

მსოფლიოს პროლეტარებო! საბჭოთა კავშირი, თქვენი სამშობლო—ერთა შორის მშვიდობიანობის საიმედო დასაყრდენია. დაიცავით საბჭოთა კავშირი იმპერიალისტების თავდასხმისაგან!

პირველი მაისის დღეს წითელი არმია ფიცსა სდებს, რომ მტკიცედ დაიცავს ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა და დაჩაგრულთა საქმეს!

ჩინეთის პროლეტარიატის ათასობით მებრძოლნი, რომელთაც თავი დასდეს საბჭოების საქმისათვის კანტონში, მოგვიწოდებენ დაჩაგრული აღმოსავლეთის მუშათა და გლეხთა მილიონების განთავისუფლებელ ბრძოლისათვის!

შევამჭიდროოთ ყველა ქვეყნის რევოლიუციონური ძალები კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ თეთრი ტერორის, ფაშიზმის და მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად!

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების სამხედრო ინტერვენცია სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. ასეთივე მარცხით დამთავრდება ეკონომიური ინტერვენციის და კონტრ-რევოლიუციონური მავნებლობის ცდებიც!

საბჭოთა კავშირი მთელი ქვეყნის დაჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლების დროშაა. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ძმურ კავშირს!

ყველა ჩვენს მიღწევას და ნაკლს, მთელ ჩვენს მუშაობას მასებმა უნდა გაუწიონ კრიტიკა, გადაათვალიერონ და შეამოწმონ!

ის მუშა კი არ ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც სდუმს, როცა ბიუროკრატიულ უმსგავსოებას ხედავს, არამედ ის, რომელიც მედგრად, ბოლომდე ებრძვის ბიუროკრატიზმის იარას!

ულმობელი ბრძოლა მცონარეობას, უთავდარიგობას, პირღიაობას, დაუდევრობას და რუტინას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე!

მუშა და მუშა-ქალო! კრიტიკა მძლავრი იარაღია საბჭოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად. გამოიყენეთ ეს იარაღი, იმის მიუხედავად, თუ რომელ პირთან გექნებათ საქმე!

უფრო ფართოდ დავაწინაუროთ მუშა და მუშა-ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე, შევქმნათ მშენებელთა ახალი კადრები მასებიდან—აი ამოცანა ჩვენი ქვეყნისა, რომელიც სოციალიზმს აშენებს!

პროფკავშირებო! უფრო მეტად დაუახლოვდით წარმოებას, უფრო მეტად დაუახლოვდით სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს!

უფრო მჭიდრო კავშირი მუშათა მასებთან, ფხიზელი მიდგომა მუშათა საჭიროებისადმი, მუშათა კლასის კულტურული დონის აწევა—აი პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანა!

გაუმარჯოს სოციალისტურ რაციონალიზაციას—მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული ამაღლების საფუძველს!

თვითღირებულების შემცირება—პროლეტარიატის უდიდესი ამოცანაა სოციალიზმისათვის, მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის წარმოებულ ბრძოლაში!

გაუმარჯოს შვიდი საათის სამუშაო დღეს—ოქტომბრის პირმშოს!

გაუმარჯოს საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტეხნიკის ყველა მიღწევას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის!

მუშათა და გლეხთა კავშირი კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, კულაკებისა და ნეპმანების წინააღმდეგ—ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების გზა!

დავირაზმოთ ღარიბი გლეხობა, შევამჭიდროოთ საშუალო და ღარიბი გლეხები საბჭოთა მუშაობაში, განვავითაროთ მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა და ამით ნიადაგი გამოვაცალოთ კულაკს, რიგიანად გაუსწორდეთ მას!

კულაკისა და სპეკულიანტის წინააღმდეგ, გავამაგროთ და გავაფართოოთ სოციალისტური კოოპერაცია!

მოჯამაგირევ და ღარიბო გლეხო! ერთსულოვანი კავშირი გქონდეს საშუალო გლეხთან კულაკისა და სოფლის ჭამიას წინააღმდეგ!

ღარიბო და საშუალო გლეხებო! წინ კოლექტიური მეურნეობისაკენ!

ორჯერ, სამჯერ გაიზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, ორჯერ, სამჯერ მეტად იქნება დაზოგვილი ადამიანის შრომა, თუ გლეხის დაქუცმაცებული წვრილი მეურნეობიდან გადავიდოდით საზოგადოებრივ მეურნეობაზე (ლენინი).

კომუნისტი სოფლად—კოლექტიური მეურნეობის თაოსანი და ორგანიზატორია!

მშრომელთა მასების კულტურულად ამაღლების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია!

მედგარი და ერთსულოვანი მუშაობა მუშათა კლასთან ერთად—ასეთია საბჭოთა პატიოსანი სპეციალისტების პასუხი შახტის კონტრრევოლიუციონერების ოინებზე!

შევქმნათ პროლეტარული ინჟინერების და ტეხნიკოსების ახალი რაზმები!

უმთავრესი, რაც ჩვენ გვაკლია,—კულტურიოსნობაა და მმართველ-გამგეობის ცოდნა (ლენინი)!

სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას საჭირო პირების შერჩევაზე, ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე (ლენინი)!

წერა-კითხვა—კულტურის საფუძველია. მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა-განათლების განხორციელებას!

ანტისემიტიზმი, რელიგია და არაყი—ბურჟუაზიული წყობილების მემკვიდრეობაა. მოვიშოროთ ეს მემკვიდრეობა!

სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბავშვთა უპატრონობას. მოვახერხოთ მისი სრული ლიკვიდაცია!

გლეხ-ქალო! ვიდრე განცალკევებული იმუშავებ, — შენი შრომა მძიმე იქნება. ზურგი გაუმაგრე კოოპერაციას ან ამხანაგობას, მოაწყვე კოლექტიური მეურნეობა!

მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობავ! თქვენ ჩვენი შემცვლელი ხართ, ჩვენი მომავალი. გააუმჯობესეთ საბჭოების, კოოპერაციის და პროფკავშირების მუშაობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით და შეჰქმენით ახალი სოციალისტური ცხოვრება!

მუშა-ქალო და გლეხ-ქალო! იბრძოლეთ ცოდნისათვის, კულტურისათვის და ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის!

მშრომელებო! გახსოვდეთ ომის საფრთხე, გაამაგრეთ წითელი არმია, ძმურად იზრუნეთ მისთვის!

მუშათა კლასის ყველა საუკეთესო აქტიური ძალები—საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში!

მუშა-ქალო! ჩადექ ლენინის პარტიის რიგებში, იმ პარტიისა, რომელსაც სრულ განთავისუფლებამდე მიჰყავხარ!

მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო! საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით წინ გასწით სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვების მოსაპოებლად ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების მოსაპოებლად!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის
მდივანი **მოლოტოვი.**

რას აძლევს ახალი კოლხელშეკრულება რკინისგზელებს

ა. - წ. 1 აპრილიდან საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე ძალაში შევიდა ახალი გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება, დადებული რკ. გზელთა კავშირის ცეკასა და გზათა სახალხო კომისარიატს შორის.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობა რკ. გზის ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის იმდენად დიდია, რომ მოითხოვს ფართე განმარტებითი კამპანიის ჩატარებას პროფკავშირის წევრებს შორის.

ამიერ-კავკასიის რკ. გზელთა პროფკავშირმა კავშირის ქვედა საფეხურის ორგანოებს გაუგზავნა მთელი რიგი დირექტივები და მითითებები მუშათა მასისათვის გენერალურ ხელშეკრულების გასაცნობად ფართე კრებების მოწყობის გზით, ახსნა-განმარტებების მიცემით, როგორც პროფაქტივის კრებებზე, ისე კლუბებშიაც ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე, რათა კავშირის თვითეულ წევრს ნათელი წარმოდგენა ექნეს გენ. ხელშეკრულების შინაარსზე.

ახალი გენხელშეკრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი მუხლების გარკვეულობა და ზედმიწევნით ჩამოყალიბება, რაც აკლდა ძველ გენერალურ ხელშეკრულებას, რის გამო მისი ცალკე მუხლები სხვადასხვაგვარი გაგების გამო იწვევდა კონფლიქტებს ადმინისტრაციასა და კავშირის ორგანოებს შორის. ახალ გენხელშეკრულებაში მისი მუხლების ასეთი სხვადასხვაგვარი გაგება თითქმის სავსებით თავიდან აცილებულია და ამით ბოლო ეღება იმ უთანხმოებებს, რომლებსაც აქამდის ადგილი ჰქონდა. ტრანსპორტზე სამეურნეო ორგანოებსა და კავშირის ორგანიზაციებს შორის გენერალური ხელშეკრულების ცალკე მუხლების გაგების საკითხში. ამასთანავე ერთად ახალ გენხელშეკრულებაში შეტანილია აგრეთვე ძირითადი მუხლები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს რკინისგზელების მატერიალურ, უფლებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

რაში მდგომარეობს უმთავრესად ეს მუხლები?

ჩვენ შევეცდებით მოკლედ ვუპასუხოთ ამ კითხვაზე და ვფიქრობთ, რომ ეს უნდა გაითვალისწინონ ჩვენი კავშირის ორგანიზაციებმა იმ ფართე განმარტებითი მუშაობის გატარების დროს, რომლის შესახებაც ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ზემოთ.

1. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რკ. გზ. ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე მიღების საკითხის გადაჭრა. ახალ კოლხელშეკრულების თანახმად სამსახურში მიღებას აწარმოებს ადმინისტრაცია, რომელიც კავშირის ადგილობრივ ორგანოებს აწვდის ცნობას მიღებამდე 7 დღით ადრე.

2. სამუშაოზე მიღების დროს კავშირის უმუშევარ წევრებს შორის, უპირატესობით სარგებლობენ მუშაობის დროებით შემცირების ან რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი მუშაკები.

3. დროებით და შემთხვევით სამუშაოების მიღებაში, როგორიც მაგალითად, შეშის დატვირთვა და გადმოტვირთვა, ხაზის გაწმენდა და სხვა დატვირთვის და გადმოტვირთვის სამუშაოები, უპირატესობით სარგებლობენ რკ. გზელთა კავშირის უმუშევარ წევრთა ადგილობრივი შრომის კოლექტივები. უკანასკნელი გარემოება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჩვენი კავშირის უმუშევარ წევრთა მატერიალურ მდგომარეობას.

4. სხვა სამუშაოზე გადაყვანა და დათხოვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხდება მხოლოდ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის სანქციით, რაც წინანდელ კოლხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ ამა თუ იმ მუშაკს სხვადასხვა დროის მოკლე ვადით შეუწყვეტია მუშაობა არა უმეტეს სამი თვისა საერთო ჯამით, მას შეიძლება მიეცეს უჯამაგირო შვებულება ერთი თვის ვადით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა უჯამაგირო შვებულებიდან დაბრუნებულ მუშაკისათვის სამუშაოს მიცემა, მისი დათხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მას მიეცემა ჯამაგირო შვებულების მთელი დროისათვის საშუალო ხელფასის ნახევრის რაოდენობით.

5. თუ რაციონალიზაციასთან დაკავშირებით მუშაკი გადაჰყავთ უფრო ნაკლებ ჯამაგირიან სამუშაოზე მისი სურვილის წინააღმდეგ, დათხოვნის დროს მას ეძლევა გაძლიერებული გასასვლელი დახმარება. იმ სამუშაოთა და თანამდებობების აღდგენის დროს, რომლებიდანაც მუშაკები გადაყვანილ იქნენ უფრო დაბალ სატარიფო განაკვეთებზე, ხსენებული მუშაკები ამ თანამდებობებზე მიღებულ უნდა იქნენ ყოველგვარი რიგის გარეშე.

6. თუ მუშაკი გადაყვანილია სხვა სამუშაოზე საექიმო-საკონტროლო კომისიის დადგენილებით, მას ეძლევა გადასაყვანი ხარჯები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაყვანილი მუშაკი სცხოვრობს ვაგონში სამ თვეზე მეტს მას ეძლევა აგრეთვე გადასაყვანი ხარჯები საერთო წესით.

რა გაუმჯობესება შეაქვს რკინისგზელების ყოფა-ცხოვრებაში ახალ გენერალურ ხელშეკრულებას.

1. საჭიროა აღინიშნოს იმ მუშაკთა წრის გაფართოება, რომლებიც ღებულობენ დამატებით შვებულებებს მუშაობის ჯანმრთელობისათვის საზიანო ხასიათის გამო.

2. ტრანსპორტის მუშაკთა საკუთარ საჭიროებისათვის დაწესებულია აგრეთვე შვებულებები ჯამაგირის შეუნახავად.

3. ახალი ხელშეკრულებით მნიშვნელოვანად გაუმჯობესებულია ტრანსპორტის მუშაკთა—როგორც ხაზზე, ისე მატარებლებში მომუშავე აგენტების საბინაო პირობები. ყველა დასასვენებელი საბინაო შენობები, როგორც ყაზარმები, ნახევრად ყაზარმები და სხვები, სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაში უნდა იქნენ მოყვანილნი, როგორც სალიანდაგო განყოფილებაში, ისე წევის განყოფილებაში.

4. ახალი გენხელშეკრულება თვალსაჩინოდ აუმჯობესებს ქალების შრომის პირობებს. თუ გამოირკვა, რომ ქალი 4 თვეზე მეტი ხნის ორსულია, მისი დათხოვნა არ შეიძლება. არ შეიძლება აგრეთვე მისი შემცირებაში მოხვედრა. შვებულებებით კი ისინი სარგებლობენ მათთვის არსებულ საერთო წესების მიხედვით.

ახალი გენხელშეკრულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე რკ. გზის ტრანსპორტის მუშების კვალიფიკაციის აწევას. საკვალიფიკაციო კურსების მუშა-მსმენელები გამოცდების ჩასატარებლად ღებულობენ ერთი კვირის დამატებით შვებულებას.

დაბოლოს ახალი გენერალური ხელშეკრულება უფრო ფართედ აბამს საწარმოო მუშაობაში პროფესიონალურ ორგანიზაციებს, სახელდობრ: მუშა-ძალის მიღებას და მოწესრიგებას წარმოებაში და დაწესებულებებში (სახელოსნოები და სხვ.) აწარმოებს ადმინისტრატიულ სამეურნეო ორგანოები პროფორგანოების მონაწილეობით. ამასთან ერთად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საწარმოო თათბირების და კომისიების მუშაობას.

საგაზეთო წერილის ვიწრო ჩარჩოები არ იძლევა საშუალებას ყველა იმ მიღწევების დეტალურად განხილვისათვის, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აუმჯობესებენ რკინისგზელთა ცხოვრების მატერიალურ, უფლებრივ და კულტურულ მხარეებს.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ ფართე განმარტებითი კამპანიის გატარების დროს პროფკავშირის წევრებს უნდა განუმარტოთ ის ვალდებულება, რომელიც ეკისრება რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებს, სახელდობრ: დისციპლინის აწევა ჩვენი ტრანსპორტის შრომის ნაყოფიერებისგადიდების მიზნით, ტრანსპორტის, რომელიც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ერთ-ერთ ძირითად ნერვს წარმოადგენს.

ახალი გენხელშეკრულება ახდენს აგრეთვე სამუშაო ხელფასის რეფორმას, რომელიც ითვალისწინებს დაბალ კვალიფიკაციის მუშაკთა ხელფასის მნიშვნელოვან გადიდებას.

თუ რაში გამოიხატება სამუშაო ხელფასის ახალი რეფორმა?—ამაზე შემდეგ.

ვ. ხაბაშვილი.

თბილისის პარტაქტივის საქალაქო კრება

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

გუშინ, 23 აპრილს წითელ თეატრში შესდგა თბილისის პარტაქტივის კრება, რომელსაც დაესწრო 800-დე კაცი. კრების დღის წესრიგში იდგა საკითხი ცეკასა და ც. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენებით აღნიშნულ საკითხზე, გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი.

ახლად დასრულებული პლენუმი—სთქვა მან—აღსანიშნავია იმით, რომ იგი იყო უაღრესად საქმიანი და მთლიანად ჩატარდა თვით კრიტიკის ნიშნის ქვეშ. პლენუმმა განიხილა ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პურის დამზადება და შახტის კონტრრევოლიუციონერთა საქმე.

პურის დამზადების საკითხში პლენუმმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ წარმოშობილ სიძნელეთა ეკონომიური საფუძველი არის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებული დისპროპორცია.

კულაკური ელემენტები შეეცადენ თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ ბაზრის წონასწორობის დარღვევა, რომელიც გამოწვეული იყო ქალაქის ნაწარმოების სიმცირით. მათ შესწყვიტეს პურის გაყიდვა.

სოფლის ბურჟუაზიის ეს ნაბიჯი მიმართული იყო უმთავრესად ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისა და ფასების პოლიტიკის წინააღმდეგ.

მაგრამ დროზედ მიღებული ზომების წყალობით პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო პურის დამზადების გაძლიერება. ამჟამად დეფიციტი სრულიად დაფარულია და პურის დამამზადებელი კამპანია ნორმალურად მიმდინარეობს.

იმ მიზნით, რომ მომავალშიაც არ ექნეს ადგილი ასეთ სიძნელეებს, პლენუმმა საჭიროდ აღიარა პურის დამამზადებელი ორგანიზაციათა გაერთიანება.

გადადის რა შახტის საქმეზე, ამხ. ორახელაშვილი ამბობს, რომ პლენუმმა ეს შეთქმულება აღიარა საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრანტებისა და შინაური კონტრრევოლიუციის ბრძოლის ახალ ფორმად.

შახტის ამბები სვამს ჩვენს წინაშე წითელ სპეციალისტთა კადრის მომზადების ამოცანას. ამასთანავე კონტრრევოლიუციონერებმა ვერ უნდა შესძლონ ჩვენი ურთიერთობის გაუარესება პატიოსან სპეცებთან.

შახტის მაგალითზე ჩვენთვის უფრო ნათელი ხდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშათა მასების ინიციატივას. ამ ინიციატივის გაშლა და თვითკრიტიკის განვითარება—აი, რა უნდა იყოს პარტიის მზრუნველობის ერთ ერთი მთავარი საგანი.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი. ილაპარაკეს: ამხ. ვარლამოვმა, ჩიხლაძემ, ზაირამოვმა, მურცევმა, ბირიუკოვმა და გ. სტურუამ. ორატორები აღნიშნავდენ პლენუმის გადაწყვეტილებათა დიდ მნიშვნელობას და კონკრეტიული ფაქტებით ამტკიცებდენ მუშათა კრიტიკის აუცილებლობას.

ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

რეზოლიუცია

„მოისმინა რა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება სავსებით იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს.

აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო პარტიის (ბ) სწორი პოლიტიკის მეოხებით (სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდება, სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების გაძლიერება, შეტევა კულაკისა და კერძო ვაჭართა წინააღმდეგ, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების მობილიზაცია პურის დამზადების კამპანიის ჩატარებისათვის და სხვა). შესაძლო გახდა პურის დამზადების კრიზისის დაძლევა, იმ კრიზისის, რომელმაც საფრთხეში ჩააყენა მთელი სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარება და პირველ რიგში ინდუსტრიალიზაციის გეგმა.

მიმდინარე წლის სამეურნეო დაბრკოლებათა უმთავრესი მიზეზი, რამაც განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი პურის დამზადებაში, როგორც აღნიშნა პლენუმმა, იყო ბაზრის წონასწორობის საერთო დარღვევა, განსაკუთრებით დისპროპორცია სოფლის სყიდვითი უნარიანობისა და სამრეწველო საქონლის მიწოდების შორის, და აგრეთვე ეკონომიური დაგეგმვის შეცდომები, პურის დამამზადებელთა არასაკმაო აქტივობა, მათი კონკურენცია ერთმანეთს შორის და სხვა.

პურის დამზადების კრიზისის გამამწვავებელი მიზეზი იყო კულაკების ბრძოლა პურის ბაზრის მოწესრიგების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ განემტკიცებიათ თავისი პოზიციები ბაზარზე.

სავსებით იწონებს რა მტკიცე შეტევას კულაკთა წინააღმდეგ, აქტივი ამავე დროს ხაზს უსვამს იმას, რომ აუცილებელია გადამჭრელი ბრძოლა იქნას წარმოებული სოფლად პარტიული ხაზის განზრახვა და დამახინჯებებთან, რომლებიც, როცა ამ ხაზს მიმართავდენ არა მარტო კულაკის, არამედ საშუალო გლეხის წინააღმდეგაც. პლენუმმა სავსებით სისწორით აღნიშნა, რომ შეტევა კულაკის წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე გლეხობასთან კავშირის განმტკიცებით. კულაკის საგადასახადო დაბეგვრის, მისი ექსპლოატატორული მისწრაფებების შეზღუდვის გზით, ღარიბ-საშუალო გლეხობის ფართო მასების კოოპერაციაში შეკავშირების, კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების, ღარიბთა დარაზმვის ხაზით და სხვა.

აქტივის კრება სცნობს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა სავსებით სისწორით დასვა შახტის საქმის საკითხი, როგორც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხი. შახტის შეთქმულება აშკარავებს, რომ ბურჟუაზიული კონტრრევოლიუცია ბრძოლის ახალ ფორმებსა და მეთოდებს მიმართავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და რომ ეს ბურჟუაზია სცდილობს გამოიწვიოს უცხოეთის კაპიტალის ეკონომიური ინტერვენცია.

შახტის საქმე აშკარავებს აგრეთვე „დაუშვებელ ნაკლულოვანებებს და შეცდომებს ჩვენს სამეურნეო მუშაობაში, ჩვენი მუშაკების კომუნისტური სიფხიზლის და რევოლიუციონური ალღოს მოდუნებას კლასიური მტრების მიმართ“. ეს მოითხოვს უდიდეს სიფხიზლეს ჩვენი პარტიისა და მთელი მუშათა კლასისაგან.

პლენუმმა სპეციალისტების საკითხის შესახებ სისწორით აღნიშნა, რომ ფხიზელი კონტროლი უნდა იქნას დაწესებული სპეციალისტების მუშაობაზე და ამასთანავე ერთად ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალური და საზოგადოებრივი მუშაობის გაძლიერებას ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებს შორის, ხელის შეწყობას იმ სპეციალისტებისათვის, რომლებიც თავისი ცოდნით სინდისიერად ემსახურებიან სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

აქტივის კრება ესალმება საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის დირექტივების საფუძველზე დასახულ და შახტის საქმესთან დაკავშირებით გაფართოებულ პროგრამას, რომელიც შეეხება თვითკრიტიკის და პროლეტარული დემოკრატიის, დაწინაურების და სამეურნეო აპარატის გამუშურების ლოზუნგის გატარებას. ძირითადი დასკვნა შახტის საქმიდან ჩვენთვის უნდა იყოს მუშათა მასების აქტივობისა და თვითმოქმედების კიდევ უფრო გაფართოება, მათი ხელმძღვანელობითი მონაწილეობის უზრუნველყოფა სამეურნეო და საწარმოო ცხოვრებაში, პროლეტარული დემოკრატიის და თვითკრიტიკის ნამდვილად გატარება ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებში, დაუნდობელი ბრძოლა პარტიული პოლიტიკის დამახინჯებასთან და სხვა.

აქტივის კრება აღუთქვამს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, რომ თბილისის ორგანიზაცია ყოველი ძალღონით შეეცდება, რათა სავსებით შეასრულოს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებანი, რომელნიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისაკენ“.

მტკვარი გადმოვიდა ნაპირებიდან

ღამის ცნობები

გუშინ ღამით მტკვარში წყალმა კვლავ მოიმატა.

ღამის პირველ საათზე წყლით დაიფარა პეტრიწის მოედნის ნაწილი.

წყალით დაიფარა აგრეთვე პეტრიწის მოედნის ფილაქნები. წყლის სიღრმე ალაგ-ალაგ 1 ნახ. მეტრს აღემატებოდა.

ღამის 1 ნახ. საათზე წყალი შეიჭრა ტულუზის შესახვევში და დაფარა ეზოები და ქუჩები.

ღამის ორი საათისათვის მტკვრის დონემ იმდენად იმატა, რომ წყალით დაიფარა ორთაჭალის ბაღების ნაწილი. მტკვრის კიდევ უფრო ადიდება წალეკვით ემუქრება ხარფუხის ხიდს. ორთაჭალაში.

ვერის ხიდის ქვემოთ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაყვანილი ახალი ქუჩის ბეტონის კედელი გადალახა წყალმა და დაფარა მთელი ქუჩა.

წყალმა გადაიარა აგრეთვე კარლ მარქსის ხიდთან არსებულ ხე-ტყის ქარხნის დასაცავად მოწყობილ ხის ჯებირზე.

მდინარის ადიდების შესახებ ცნობის მიღებისთანავე წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიის წევრმა ამხ. ხმალაძემ და ქალაქის მორიგემ ამხ. კაკაურიძემ შეამოწმეს საფრთხილო ადგილებში მდებარე საგუშაგოები.

გუშინვე წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიის განკარგულებით, მილიციამ აცნობა რიყისა და ორთაჭალის რაიონში მცხოვრებთ, რომ მათ დაუყოვნებლივ დასტოვონ საცხოვრებელი ბინები და გადასახლდენ მათთვის მიჩნეულ დროებით თავშესაფარში.

გუშინ ღამით პეტრიწის მოედანზე მცხოვრებთა ნაწილი ჩაასახლეს საბჭოს ქუჩაზე მდებარე თავშესაფარში.

მტკვარზე გაძლიერებულია წყალზე დახმარების პუნქტები.

გუშინ ღამითვე წყალდიდობისათვის საშიშ ადგილებზე მორიგეობდენ ცეცხლის მქრობელი რაზმის და ცხენოსანი მილიციის თანამშრომლები, რომელნიც დახმარებას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დღეს დილის 2 ნახ. საათზე მტკვარში წყლის ადიდება გრძელდებოდა.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ტყეების გაჩეხვის წინააღმდეგ

ტყე დიდ გავლენას ახდენს როგორც ჰავაზე, ისე ნიადაგის ცვლილებაზე. ეს ითქმის უფრო მთიან ადგილებზე და ჩვენს ტყეებსაც მეტნაწილად მთიანი ადგილები უკავიათ. სიმრავლით და ჯიშების მრავალფეროვნებით საქართველო, შედარებით სხვა ქვეყნებთან მეტად მდიდარია. ტყე ცოცხალი არსებაა, მაშასადამე თუ მას არ მოუარეთ,—იგი დაჰკარგავს ამ სიცოცხლეს, ადამიანის და კერძოდ ჩვენი გლეხ-კაცობის კეთილდღეობა ბევრათაა დამოკიდებული ტყეზე. ამ მხარეში, რომელიც მდიდარია ტყით, მდიდარია ამ მხარის მცხოვრებიც.

ღირსშესანიშნავია ისიც, რომ ტყე ჩვენ გვიხსნის საშინელ უბედურებისაგან. როგორიცაა: წყალდიდობა, ჰაერის არა ზომიერი მოძრაობა და სხვა. მიუხედავად ტყის ასეთი სარგებლიანობა-მნიშვნელობისა, მას დღესაც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, მის მოვლა-მოშენებაზე და პატრონობაზე ნაკლებ მზრუნველობას ვიჩენთ. და რომ ეს ასეა—ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ჩვენს დაბა და მოზრდილ სოფლებში შეხვდებით დიდრონ გაჩეხილ ტყებს, ქალაქების მახლობლად—კი ასეთი ან აღარ მოიპოვება ან და უმნიშვნელო და დალეული გზაზეა დამდგარი. ჩვენი გლეხობა ულმობლად ჰკაფავს ტყეს, ჰკოდავენ ტოტებს, აძრობს ქერქს და სხვა. ღამ-ღამობით—კი ჩუმით ქურდულად ჩამოაქვთ ურმებით ნაპარავი ხე-ტყის მასალა. ტყისადმი გლეხობის ასეთი მოპყრობა ჩვენი უკულტურობის დამამტკიცებელი ნიშანია.

მიუხედავად სატყეო ორგანოების სასტიკი ზომებისა და ტყის წესების დამრღვევლებზე დარსეულ სასჯელის მისჯისა, მდგომარეობა ამ მხრივ მაინც არა სასურველია. ჩვენის აზრით ასეთ პირობებში საჭიროა: სატყეო კომპანიებისათვის მასიური ხასიათის მიცემა,—მასში სოფლის მოსახლეობის მთელი ასი პროცენტით ჩაბმა. გლეხ-კაცობას უნდა განუმარტოთ და მთლიანად შევაგნებინოთ ტყის სარგებლიანობა, მისი სწორად მოხმარება-გამოყენება და ის საზოგადოებრივი დანაშაული, რომელსაც ისინი ტყის გაჩეხვით სჩადიან.

ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ პოლიტ-საგანმანათლებლო ორგანოებიც. უნდა მოეწყოს ტყის მჩეხავთა სანიმუშო-საჯარო გასამართლება. ამ საქმეში უნდა დავიხმაროთ სოფლის სცენებიც, მასში შესაფერ პიესების დადგმით. სათანადო ორგანოებში—კი ტყის წესების დამრღვევთა საქმის გარჩევის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ლმობიერებას, პირიქით დამნაშავენი რაც შეიძლება სასტიკად უნდა დაისაჯონ, რომ შემდეგისათვის არავინ გაბედოს ტყის მიზანშეუწონელი ჩეხვა.

ე. ჩ.

კულტურული მუშაობა მოჯამაგირეებში
(გარე-კახეთი)

საგარეჯოს მოჯამაგირეთა სათემო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მოჯამაგირეთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებას. მან ვალდებული გახადა ყველა დამქირავებელი, რათა მისცეთ მოჯამაგირეთათვის თავისუფალი დრო სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობისათვის და სამკითხველოებსა და წითელ კუთხეებში სასიარულოდ. მოჯამაგირეთა კომიტეტმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში მოაწყო საგარეჯოს და მანავის სათემო სამკითხველოებში და აგრეთვე დავით-გარეჯის უდაბნოს სახ. მეურნეობაში მოჯამაგირეთა კუთხეები. კუთხეებისათვის შეძენილ იქნა მოჯამაგირეთათვის შესაფერი ლიტერატურა და აგრეთვე გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები.

საგარეჯოსა და მანავის სამკითხველოებში ადგილობრივ პოლიტგანის მიერ გამოყოფილ იქნა სპეციალურად მოჯამაგირეთათვის კვირაში ერთი დღე—სამეცადინოთ. აღნიშნულ დღეებში სამკითხველოს საბჭოს წევრები მორიგეობით ატარებენ მოჯამაგირეთათვის სხვადასხვა საკითხებზე მოხსენება-საუბრებს.

საგარეჯოს სამკითხველოში ეწყობა აგრეთვე მოჯამაგირეთათვის რადიო-მოსმენაც.

მოჯამაგირეთა კომიტეტმა ამ სამი თვის წინედ მოაწყო ცალკე სკოლა ადგ. პოლიტგანის დახმარებით,—სპეციალურად მოჯამაგირეთათვის. 16 თებერვალს მოხდა საზეიმო გამოშვება აღნიშნულ სკოლის მსმენელებისა. სულ წერა-კითხვა შეისწავლა 17 მოჯამაგირემ.

აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ გარე-კახეთის მოჯამაგირეთა კომიტეტის დახმარება ასეთ მუშაობის დროს ნაკლებად სჩანდა, რაც საჭიროა მომავლისათვის აუცილებლად გამოსწორდეს. ხელმძღვანელობის გაწევა ადგ. სათემო კომიტეტებზე არ უნდა გამოიხატებოდეს მარტოოდენ საწევრო ანარიცხების შეკრებით.

რისხველიშვილი.

სამკითხველო სუსტად მუშაობს
მუხურის თემი, შორაპნის მაზრა

სამკითხველო თემის განათლების ცენტრად ითვლება, მაგრამ ეს არ ითქმის კერძოთ ჩვენი თემის ქოხ-სამკითხველოზე, რადგან, ის არავითარ კულტურულ მუშაობას არ აწარმოებს. მართალია, ქოხ-სამკითხველოსთან არსებობს: ლიტ. და დრამ. წრეები, მაგრამ, ეს წრეები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და სინამდვილეში არაფერს არ აკეთებს. არსებობს ქოხ-სამკითხველოსთან აგრეთვე „ყოველთვიური" კედლის გაზეთი, რომელიც ორი წელზე მეტია, რაც გამოდის და დღემდის მხოლოდ 5 ნომერი გამოიცა. არ სწარმოებს გლეხობაში გაზეთის ხმამაღალი კითხვა, არ არსებობს საცნობარო მაგიდა, არ არის წიგნების კატალოგი და ინვენტარის სია, არ ექცევა სათანადო ყურადღება წიგნებს, რის გამო ბევრი წიგნი დაიკარგა, არ ინახება წაკითხული ჟურნალ-გაზეთები და სხვა.

4 წელია, რაც ეს ქოხ-სამკითხველო არსებობს, მაგრამ დღემდის მაინც ერთ წერტილზეა გაყინული და მასში არაფერი გაკეთებულა.

ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ქოხ-სამკითხველოს გამგეთ ჰყავდა სოსო აბესაძე რომელიც ნახევრად წერა-კითხვის მცოდნეა და უცოდინარობის გამო, შეუფერებელი ამ თანამდებობაზე, ამა წლის იანვრის ბოლო რიცხვებში პოლიტგანმა სოსო აბესაძე მოხსნა და მის მაგივრად დაინიშნა გამგეთ მისი უმცროსი და ქსენია აბესაძე, რომელიც პირველივით უცოდინარია და შეუფერებელია.

საჭიროა პოლიტგანმა ეს შეცდომა გამოასწოროს და გამგეთ დაგვინიშნოს მცოდნე და შესაფერი პიროვნება. ასეთი კი მოიპოვება ჩვენს თემში როგორც კომკავშირის, ისე კომპარტიის წევრთა შორის და აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდობაში.

ადგილობრივი.

წერილებიდან

გაიხსნა აგროპუნქტი
ალპანა, ლეჩხუმის მაზრა

სამაზრო ხელისუფლებამ ალპანაში გახსნა აგრონომიული პუნქტი და მოიწვია გამოცდილი აგრონომი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს გლეხობის მეურნეობის გაუმჯობესებას, კულტურულად დაამუშაოს თემში არსებული აღმასკომის ვენახები, ხელი შეუწყოს მებაღეობის და მეფუტკრეობის განვითარებას და სხვ. საჭიროა ასეთი პუნქტები მაზრის სხვა კუთხეებშიაც გაიხსნას.

აქაური.

მოსაგვარებელი საქმე
ს. გორა-ჯიხაიში, ქუთ. მაზრა

ს. გორა-ჯიხაიში შედის კუხის თემში და თემის ცენტრიდან დაშორებულია ხუთი კილომეტრით. ამ სოფელში არის სამკითხველო, მაგრამ სრულიად მოუწყობელი. მის გამგეს თვეში აქვს ათი მანეთი, ისიც ექვსი თვეა არ მიუღია, არ არის ლიტერატურა, რაც არის ისიც ძველი და უვარგისი. ამის მიზეზი ის არის, რომ არც სამაზრო პოლიტგანი და არც თემაღმასკომი არ იღებს ხარჯებს სამკითხველოს შესანახად. საჭიროა პოლიტგანმა ან თემსაბჭომ იკისროს სამკითხველოსთვის ხარჯების გაღება და სასურველ დონეზე დააყენონ მისი მუშაობა.

„ჟანი".

აღმაშფოთებელი საქციელი
ს. ართანაში, თელავის მაზრა

ამ სოფლის მცხოვრებ ლევან გლახაშვილის ოჯახში სტუმრად იყვნენ სიმამრი და ცოლის ძმა გუთანაიძეები და ნათესავი ესტატე ივერაული. მათ რვა მარტს, ღამით, განუცხადეს თემაღმასკომს, რომ უეცრად გარდაიცვალა მათი მასპინძელი ლევან გლახაშვილი, ხოლო გამოძიებით გამოირკვა, რომ ის სტუმრებს და ურჩევიათ გლახაშვილის ცოლის მოთხოვნით ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულში და ხელისუფლებამ ისინი დაამატიმრა.

ფ—ძე.

მუშათა ცხოვრება

რა უნდა გავაკეთოთ პრესის დღისათვის

პრესის დღე, ერთ დიდ მნიშვნელოვანი დღესასწაულთაგანია ქვეყნის მშრომელთათვის. თვით ის ფაქტი, რომ პრესის დღე დაარსებულია საერთაშორისო პროლეტარიატის ერთად ერთ შემკავშირებელ კომპარტიის მიერ, მოწმობს იმას, რომ პროლეტარული ბეჭდვითი სიტყვის დღე, არის არა მარტო ბეჭდვითი მუშაკების და მუშ-გლეხკორების დღესასწაული, არამედ საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა ბეჭდვითი სიტყვის მასიური დღესასწაულია. ამიტომ ეს დღესასწაული უნდა ჩატარდეს ისე, რომ ყველა მშრომელისათვის ნათელი შეიქნეს პროლეტარული პრესის მნიშვნელობა და დარწმუნდეს ამ პრესაში მონაწილეობის აუცილებლობაში.

უნდა ითქვას, რომ დღემდე ამ დღესასწაულის ჩასატარებლად ყველაზე მეტ ყურადღებას ბეჭდვითი სიტყვისა და კედლისა თუ ყოველდღიური გაზეთების ისტორიას ვაქცევდით. იმ გარემოებას კი, თუ რა გააკეთა ბეჭდვითი სიტყვამ სოციალისტურ მშენებლობისათვის, ცოტა არ იყოს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამით ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ისტორია არ არის საჭირო. პირიქით, ისტორია ძალიან კარგი რამეა და საჭიროც არის ახალგაზრდა მუშების გასათვითცნობიერებლად, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულის ჩასატარებლად ეს არ არის მთავარი. ამ დღესასწაულისათვის მთავარი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს ყველაზე მეტი ყურადღება, ეს არის საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის და კერძოდ ამა თუ იმ კედლის გაზეთის მიღწევები ჩვენი წარმოების გაუმჯობესების დარგში. თვითეულმა კედლის გაზეთმა, თვითეულმა მუშკორმა და გლეხკორმა უნდა აჩვენოს მშრომელთა ფართო მასას რა გააკეთა მან ჩვენი მშენებლობის სასარგებლოდ. კედლის გაზეთებმა, მუშკორთა წრეებთან ერთად უნდა მოაწყონ მუშების მიერ გაზეთის საშუალებით წამოყენებულ წინადადებების შედეგების განხილვა, ე. ი. გამოარკვიონ ის, თუ რამდენად ტარდებოდა ცხოვრებაში მუშების წინადადებები და თუ არ ტარდებოდა რა უშლიდა ხელს. ასეთი საშუალებით კედლის გაზეთებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მუშების მიერ წამოყენებული არც ერთი სწორი და მიზანშეწონილი წინადადება არ დარჩეს განუხორციელებელი.

გარდა ამისა, მუშკორთა წრეებმა ჯამი უნდა გაუკეთონ თავიანთ ნამუშევარს და გამოარკვიონ ის, თუ რამდენად გაიზარდა მუშკორთა ორგანიზაცია ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში. თვით პრესის დღეს, სარედაქციო კოლეგიებმა და მუშკორთა წრეებმა უნდა მოაწყონ მკითხველთა კრებები, გასამართლებები და სხვ.

ასეთი შინაარსის უნდა იყოს პრესის დღის აღსანიშნავად გამოსული კედლის გაზეთი, ადგილობრივ პარტუჯრედებმა და ფაბქარხადგილკომებმა ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ სარედაქციო კოლეგიებს, როგორც მუშების მიერ გაზეთის საშუალებით წამოყენებული წინადადებების შედეგების გადასინჯვაში, ისე სხვა მასიურ მუშაობის ჩატარებაშიც.

პროლეტარი.

მუშაობა არ სწარმოებს

„ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო". ამ.-კ. რკ. გზ. გამგეობის ავიაქიმის საზოგადოების ბიურო ასე მოიქცა. ის პირველ ხანებში კარგად და ნაყოფიერად მუშაობდა. საზოგადოების წევრთა მეცადინეობა გამოცოცხლდა, წევრებიც წესიერად ესწრებოდნენ მეცადინეობას, მაგრამ ასეთი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

გავიდა ცოტა ხანი. ოთახი, რომელიც ეძლევა ბიუროს სამეცადინოთ, ჩამოართვეს და მოუსპეს საშუალება ყოველგვარი მუშაობისა. ავიაქიმის კუთხეც დღემდე მოუწყობელია. ამგვარად თითქმის მესამე თვეა, რაც ავიაქიმის წრე აღარ მუშაობს.

ასეთივე მდგომარეობაშია მსროლელთა წრეც. მას არც შენობა აქვს და არც ლექტორი ჰყავს. მარტის პირველ დღეებში ავიაქიმის საზოგადოებამ შეიძინა 300 მანეთის წვრილი კალიბრიანი თოფები და სხვა იარაღი, მაგრამ სათანადო შენობის უქონლობის გამო უსარგებლოდ აწყვია.

დროა საზოგადოების ბიურომ მიიღოს ზომები ოთახის მოსანახავად და წრეებში მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ა. ბ.

რკინის გზის საავადმყოფო

რკინის გზის საავადმყოფოს შესახებ ბევრი წერილი დაწერილა. წერილები უმთავრესად ეხებოდნენ საავადმყოფოში არსებულ ნაკლს, მაგრამ რა მიღწევები აქვს რკ. გზის საავადმყოფოს ამ ორი-სამი წლის განმავლობაში, ამის შესახებ არც თვით ამ საავადმყოფოში მომუშავე მუშკორებს და არც სხვებს, არაფერი დაუწერიათ.

ამჟამად რკ. გზის საავადმყოფო ერთი საუკეთესო საავადმყოფოთაგანია მთელს თბილისში. შეიძლება ითქვას, რომ იგი არ ჩამოუვარდება ისეთ საავადმყოფოსაც კი, როგორიც არის ყოფ. მიხეილის საავადმყოფო: კარგი მოვლა-მკურნალობა, მშვენიერი სასმელ-საჭმელი, ზედმიწევნით სისუფთავე, ექიმებისაგან და სხვა მოსამსახურეთაგან ნაზი და მეგობრული მოპყრობა ავადმყოფებისადმი და სხვა.

არ არის გასაკვირველი, რომ საავადმყოფო ვერ იტევს ყველა მსურველს, ყველა ავადმყოფს. საავადმყოფო მუდამ წელს ფართოვდება, მაგრამ ამავე დროს იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიც რკინის გზებზე. ამიტომ შეუძლებელი ხდება ყველას ერთად და ერთდროულად მოთავსება საავადმყოფოში. ეს კი უკმაყოფილებას იწვევს გარეთ დარჩენილ ავადმყოფთა შორის. საავადმყოფოს ადმინისტრაციას, ექიმებს და ყველა მოსამსახურეთ ეტყობათ საქმისადმი სიყვარული. ეტყობათ, რომ ისინი ერთგულად და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. საავადმყოფოს ექიმების და სხვა თანამშრომლების საქმისადმი ასე მიდგომა, თავდებია იმისა, რომ საავადმყოფო უფრო დაუახლოვდება მასას.

კარგ მხარეებთან. საავადმყოფოს ნაკლიც აქვს. ეს ნაკლი გამოწვეულია თვით ზოგიერთი რკინისგზელების მიერ წესრიგის დარღვევით, ბევრი რკინისგზელი, არ ემორჩილება საავადმყოფოში არსებულ წესებს. ხშირად უდროო დროს, ნებადაურთველად, უხალათოდ შედის საავადმყოფოში ავადმყოფის სანახავად, არ ტოვებს საავადმყოფოს დანიშნულ დროზე და სხვა ასეთ უწესოების აღმოფხვრა ჩვენი ვალია. ყველა მუშამ, რკ. გზის ყველა თანამშრომელმა უნდა ებრძოლოს საავადმყოფოში წესრიგის დარღვევას, მათ უნდა ხელი შეუწყონ ადმინისტრაციას საავადმყოფოს და იქ მყოფ ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ასეთი საშუალებით შევძლებთ აღმოვფხვრათ საავადმყოფოში არსებული ნაკლი.

ძველი მუშ.

მუშკორთა წერილებიდან

ავლაბრის კლუბში. ავლაბრის მუშათა კლუბში, ჩხუბსა და აყალ-მაყალს ბოლო არ ელება. თითქმის ყოველ ღამ იმართება მუშტი-კრივი. 15 აპრილს, ავლაბრის ხულიგნებმა ერთი აურზაური ასტეხეს და ხელი შეუშალეს გამგეობის საღამოს ჩატარებაში. საკვირველია, რად უშვებენ კლუბში ასეთ ხულიგნებს?

კლუბის წევრი.

ტახტი უნდა გამოიცვალოს. ყოფ. ერეკლეს აბანოს გვერდით, მოწყობილია პატარა თალიანი აბანო. აბანოში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ფიცრის ტახტი, რომელზეც წვება მობანავე, იმდენად ძველი და დამპალია, რომ აბანოში არღვევს გიგიენურ პირობებს, ადმინისტრაციამ უნდა გამოცვალოს ეს ტახტი.

ტ. დ.

გულგრილად ეკიდებიან. მეათე და მეთერთმეტე უბნის დამზღვევ სალაროს ექიმები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას და აგვიანებენ ავადმყოფებთან სამკურნალოდ მისვლას. დამზღვევმა სალარომ და თბ. ჯანმრთელობის განყოფილებამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ასეთ მოვლენებს.

ჰერკულესი.

გველირსება კი მიღება. რკ. გზ. მატარებლების გამზეთავებს ჯერაც არ მიუღიათ სპეცტანსაცმელი. კონდუქტორებმა და გამცილებლებმა კი გაცვითეს კიდეც. საყუდის უფროსო, გველირსება როდისმე სპეცტანსაცმელი?

მგზავი.

ლიტერატურული გასამართლება. კვირას, 22 აპრილს, რკ.-გზელთა მუშფაკთან არსებულმა სალიტერატურო წრემ მოაწყო ეგნატე ნინოშვილის „ტარიელ მკლავაძის" ლიტერატურული გასამართლება.

X.

თბ. საბჭოს საანგარიშო კამპანიის შედეგები

ლენინის რაიონში

ლენინის რაიონის მუშა-მოსამსახურეების დეპუტატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქალაქის საბჭოს მუშაობაში. ამას ამტკიცებს სხვათა შორის მათი მუყაითი მუშაობა საბჭოს საანგარიშო მუშაობის ჩატარებაში.

თბილისის უბნებში უკვე დამთავრდა საბჭოს მუშაობის განხილვა-შეფასება. მოხსენებები საბჭოს მუშაობის შესახებ მოსმენილ იქნა 22 წარმოებაში. სადაც ითვლება სულ 8.420 ამომრჩეველი. ამათგან საბჭოს მუშაობის ანგარიში მოისმინა 4.675 კაცმა, ე. ი. 55,4 პროც. ამას უნდა მივუმატოთ საერთო რაოდენობით 28 პროც. იმ მუშებისა, რომლებიც საპატიო მიზეზებით ვერ დაესწრნენ საანგარიშო კრებებს. ისე, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან, საანგარიშო კრებებს არ დაესწრო მხოლოდ 16,6 პროც., რაც გასულ წელთან შედარებით ნაკლებია.

მარტო რკინის გზის დაწესებულებებში 4611 ამომრჩევლიდან კრებებზე მონაწილეობა მიიღო 2.438 კაცმა, ე. ი. 52,9 პროც. საერთოთ კი რკ. გზის წარმოება-დაწესებულებებში ითვლება 13.031 ამომრჩეველი. ამათგან კრებებზე მონაწილეობა მიიღო სულ 7.113 კაცმა.

მუშათა რაიონებში მუშები მეტ აქტივობას იჩენენ. არც ერთი საკითხი არ გამორჩენიათ მუშებს. კამათშიც საკმაო რაოდენობით გამოდიოდენ. საშუალოდ თვითეულ წარმოება-დაწესებულებებში კამათში გამოდიოდა 6 კაცი. სულ გამოვიდა 132 კაცი, ზეპირი და წერილობითი შეკითხვები ცალ-ცალკე წარმოებებში იყო 32.

მიუხედავად იმისა, რომ მუშა-მოსამსახურენი ერთხმად და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოს მუშაობას, მომავალ მუშაობის უფრო გასაცხოველებლად შეიტანდნენ მაინც ფრიად მნიშვნელოვანი პრაქტიკული წინადადებები. მუშები მოითხოვენ: ლენინის რაიონში წყლის მიწოდების საკითხის სასწრაფოდ მოგვარებას, ქალაქში მოძრაობის წესიერ კალაპოტში ჩაყენებას, ტრამვაის მსვლელობის მოწესრიგებას, მუშათა უბნებში [illegible] რიცხვის გადიდებას, ელდარის მუშათა სახლებში სასწრაფოდ გაყვანის „თელასში" და „ლუქში" ბიუროკრატიზმის მოსპობას, აღმასკომის აპარატებში მუშების წაყენებას, პროსტიტუციის მოსპობას, კერძო სასტუმროების, რომლებშიაც გამეფებულია პროსტიტუცია—დაკეტვას და საცხოვრებელ ბინებად გადაკეთებას, ბინით სპეკულიაციის მოსპობას, მუშების განცხადებებზე სასწრაფოდ პასუხის გაცემას, წარმოებებში სადეპუტატო მაგიდების გამრავლებას და სხვა. სულ ლენინის რაიონის მუშებს ქალაქის საბჭოს მომავალ მუშაობის გასაცხოველებლად გამოტანილი აქვთ 300 პრაქტიკული წინადადება, რომელიც ახლო მომავალში გადაეგზავნება ქალაქის საბჭოს ცხოვრებაში გასატარებლად.

ასეთია ლენინის რაიონში საბჭოს მუშაობის საანგარიშო კამპანიის შედეგები.

მ. ბ.

მეორე რაიონში

მეორე რაიონის წარმოება-დაწესებულებებში, საბჭოს მუშაობის საანგარიშო კამპანია გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობდა. კრებებზე მუშები გამოდიოდენ აზრიანი და საქმიანი კრიტიკით გამოსული მუშების უმრავლესობა იწონებდა და დამაკმაყოფილებლად სცნობდა საბჭოს მუშაობას. მაგრამ ამავე დროს შეჰქონდა ახალი პრაქტიკული წინადადებები საბჭოს მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად.

დღემდე საბჭოს საანგარიშო კრებები ჩატარდა 22 წარმოება-დაწესებულებებში. კრებებს დაესწრო სულ 1.848 კაცი. კამათში მონაწილეობა მიიღო 57 კაცმა, მუშების მიერ წამოყენებულია 95 ახალი პრაქტიკული წინადადებები. ზოგ დაწესებულებებში, პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად გამოყოფილია ცალკე კომისია, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკულ წინადადებებს კრებებზე გამოსულ მოკამათეთა სიტყვების მიხედვით.

ახალ წინადადებებში მუშები მოითხოვენ: ქალაქის განაპირა უბნების მეტი ყურადღების მიქცევას, ქალაქში მოძრაობის წესის გაუმჯობესებას, აუცილებელ პროდუქტებზე ფასების დაკლებას, ეზოებში სისუფთავის დაცვას, ბინის კრიზისის გამო, მოსახლეობის შემჭიდროვებას, სახლების შეკეთებას, აღმასკომში ბიუროკრატიზმის მოსპობას, პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლას, ყველა წარმოებაში დეპუტატთა მაგიდის მოწყობას, საზიანო სათამაშოების დაკეტვას და სხვ.

საერთოდ საბჭოს მუშაობის ირგვლივ გამართულ კამათიდან სჩანს, რომ არსენალის რაიონის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი დაინტერესებულნი არიან საბჭოს მუშაობით. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოს მუშაობის განხილვაში, რამაც ხელი შეუწყო საანგარიშო კამპანიის ნაყოფიერ მსვლელობას.

კრედიტები კოოპერაციას

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება კოოპერაციისათვის გრძელვადიან კრედიტების მიწოდების ფონდების შესახებ.

საკავშირო კოოპერატიულ ბანკის განყოფილებებთან აზერბეიჯანში, საქართველოში და სომხეთში არსდება კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიწოდების ფონდები. ამ ფონდებიდან კოოპერატიულ ორგანიზაციებს გრძელვადიანი სესხი ეძლევათ კაპიტალურ მშენებლობისა, საბრუნავი თანხების გადიდებისა და ძირითად და სპეციალურ კაპიტალის დაარსებისა ან გადიდებისათვის.

ეს ფონდები იყოფა საერთო და სპეციალურ ფონდებათ; საერთო ფონდიდან სესხი ეძლევა კოოპერაციის ყველა სისტემებს, სპეციალურ ფონდიდან კი—მხოლოდ გარკვეული სისტემის კოოპერაციის ორგანიზაციებს.

დადგენილებაში აღნიშნულია, თუ როგორ უნდა დაარსდეს კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიწოდების საერთო და სპეციალური ფონდები. საერთო ფონდი არსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებულ თანხებით, სპეციალური ფონდი—კოოპერატიული ორგანიზაციების წმინდა მოგების ანარიცხებიდან. თანხები, რომლებიც გამოყოფილი იქნება ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად საერთო რესპუბლიკანურ ფონდებიდან ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის ფინანსების მისაწოდებლად, საკავშირო კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანურმა განყოფილებებმა უნდა გადარიცხონ საკავშირო კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებასთან არსებულ გრძელვადიანი კრედიტების განყოფილებაში და დაუყოვნებლივ გადაცემული უნდა იქნეს დანიშნულებისამებრ.

გრძელვადიან კრედიტის მიწოდებას აწარმოებს გრძელვადიანი კრედიტის განყოფილება, რომელიც არსდება საკავშირო კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანურ განყოფილებებთან.

გრძელვადიან კრედიტის განყოფილებებთან არსდება გრძელვადიანი კრედიტის კომიტეტები, რომელშიაც შედიან ფინსახკომის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, კოოპერატიული ბანკის განყოფილების, კოოპერატიულ საბჭოს და რესპუბლიკის კოოპერატიულ სისტემების წარმომადგენლები.

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

ინვალიდთა კოოპერატიული ნაწარმის (არტელების) საკავშირო თათბირი

ინვალიდთა კოოპერატიული ნაწარმის საკავშირო ცენტრის შესაქმნელად 27 აპრილს მოსკოვში შეიკრიბება ყველა რესპუბლიკების ინვალიდთა კოოპერატიული ნაწარმის საკავშირო თათბირი. ამ თათბირზე დასასწრებლად საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ და საქართველოს რესპუბლიკის ინვალიდთა კოოპერატიულმა კავშირმა მოსკოვში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი.

გლეხკომების ყრილობა

დუშეთის მაზრის გამოკლებით, საქართველოს ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში გლეხკომების გადარჩევა დამთავრდა. 15 ივნისს თბილისში მოწვეული იქნება საქართველოს გლეხკომების მეორე ყრილობა.

ინდივიდუალური მუშათა საბინაო მშენებლობა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება ინდივიდუალურ მუშათა საბინაო მშენებლობის მოწესრიგების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

საბინაო მშენებლობას, რომელსაც მუშები და მოსამსახურეები აწარმოებენ ინდივიდუალური წესით და საკუთარი მიზნებისათვის, ფინანსებს მიაწოდებენ კომუნალური მეურნეობის და საბინაო მშენებლობის ცენტრალური ბანკი სპეციალურ კაპიტალიდან და ადგილობრივი კომუნალური ბანკები საკუთარ საშუალებებიდან; ამასთანავე თანხები გაცემული იქნება კიდევ მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ფონდებიდან.

ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობისათვის კრედიტების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც სახელმწიფო და კოოპერატიული მშენებლობა საკმაოდ არ არის განვითარებული და არ შეუძლია ბინებით დააკმაყოფილოს მუშათა მოსახლეობა.

ინდივიდუალურ მშენებლობას შეღავათები შენობების ადგილობრივი გადასახადის, რენტის და საშემოსავლო გადასახადის დროს უნდა მიეცეს იმ შეღავათებთან შეფარდებით, რომლებიც დაწესებულია სახელმწიფო დაწესებულებებისა, წარმოებებისა, ორგანიზაციებისა და პირებისათვის, რომლებიც საცხოვრებელ ბინებს აშენებენ.

ა.-კ. ფინსახკომს დაევალა დაამუშაოს პროექტი დებულებისა, თუ რა პირობებში და რა წესით უნდა მიეწოდოს ინდივიდუალურ მშენებლებს კრედიტები ადგილობრივი კომუნალური ბანკების კაპიტალიდან.

მშენებლობის ტექნიკურმა კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს მინიმალური ტექნიკური და სანიტარული ნორმები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს ინდივიდუალურ მუშათა საბინაო მშენებლობის დროს.

რესპუბლიკანურმა ტექნიკურმა კომიტეტებმა და შრომის სახალხო კომისარიატებმა დაინტერესებულ უწყებებთან და დაწესებულებებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ინდივიდუალური მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის და დაგეგმვის წესები.

მაქსიმ გორკის საიუბილეო კამპანია

ზეიმი მშენებელთა კლუბში

კვირას, 22 აპრილს, მშენებელთა კლუბში (ავლაბარში) გაიმართა მ. გორკის საიუბილეო საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

გარდა საიუბილეო დღესასწაულისა, საღამოს ჰქონდა კიდევ მეორე საზეიმო ხასიათი, რაც გამოიხატებოდა ამ კლუბისათვის „მ. გორკის სახელობის კლუბის" დარქმევაში.

განცხადებამ,—რომ მ. გორკი მწერლობის დაწყებამდე იყო მღებავი და ეკუთვნოდა მშენებელთა წრეს და ამის აღსანიშნავად მშენებელთა კავშირის დადგენილებით დღეიდან კლუბს ეწოდება მ. გორკის სახელი,—დამსწრეთა შორის გამოიწვია აღტაცება.

აღტაცება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა დარბაზში გამოჩნდენ გორკის პირადი, ძველი მეგობრები მოხუცი კალიუჟნი და ქარა-მურზა. დამსწრეთა მოთხოვნილებით კალიუჟნი და ქარა-მურზა მიღებული იქნენ კლუბის საპატიო წევრებად.

შემდეგ წაკითხული იქნა მ. გორკისათვის გაგზავნილ მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

აგრეთვე წაკითხული იქნა მოხსენება გორკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რის შემდეგ ხელოვნების მუშაკთა კავშირის მუსიკალურ წრის მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

დასასრულ წარმოდგენილი იქნა იუბილიარის პიესის—„ფსკერზე"-ს მეოთხე აქტი.

რ. ნ—ლი.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები

ამჟამად საქართველოში არსებობს 4 უმაღლესი სასწავლებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სახელმწიფო კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია.

სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემდეგი ფაკულტეტები: პედაგოგიური, სოციალ-ეკონომიური, მედიკური, აგრონომიული და პოლიტექნიკური. ყველა ფაკულტეტებზე ირიცხება 7.121 სტუდენტი, მათ შორის 1.560 ქალი.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში (1923—24 წლიდან 1926—27 წლამდე) სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა: აგრონომიული ფაკულტეტი—135 კაცმა, პედაგოგიური—152, მედიკური—435, სოციალ-ეკონომიური—14 კაცმა. სულ—1.111 კაცმა. მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი მიეცა 737 კაცს, ხოლო დროებითი მოწმობა 375 კაცს.

ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი შესდგება შემდეგი ფაკულტეტებისაგან: სასოფლო-სამეურნეო, ჰიდრო-ელექტრომექანიკური და საამშენებლო. ყველა ფაკულტეტებზე ამჟამად ირიცხება 2.346 სტუდენტი, მათ შორის 685 ქალი.

უკანასკნელ 4 წლის განმავლობაში ინსტიტუტი დაამთავრა 593 კაცმა.

აღსანიშნავია, რომ ორივე ამ უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტებზე მოსწავლეთა რაოდენობა არა ნორმალურია. ერთ ფაკულტეტის ამა თუ იმ დარგზე ირიცხება გაცილებით მეტი სტუდენტი, ვიდრე ამის მოთხოვნილებაა, ხოლო იმ დარგში, სადაც მომზადებული კვალიფიკაციური მუშაკები განსაკუთრებით ესაჭიროება სახელმწიფოს, მოსწავლეთა რიცხვი მეტად მცირეა.

მაგალითად სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე უკანასკნელ გამოშვების დროს მოგვეცა 32 პედაგოგი, მათ შორის სპეციალობის მიხედვით ლიტერატურულ დარგში დასრულებული აქვს 15 კაცს, ისტორიული 12, ფილოსოფიური—4 და ერთი არის ლინგვისტი. უკანასკნელ გამოშვების დროს აღნიშნულ ფაკულტეტს არ მოუცია არც ერთი ფიზიკოსი, ფიზიოლოგი, გეოლოგი, მათემატიკოსი, ქიმიკოსი, ბოტანიკი და ზოოლოგი. ამ სპეციალობის პედაგოგებზე კი დიდი მოთხოვნილებაა სკოლებში.

აღსანიშნავია აგრეთვე მოსწავლეთა სიმცირე სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის მიწათმოქმედების და მესაქონლეობის დარგებზე, მებოსტნეობის და მებაღეობის დარგში კი ირიცხება გაცილებით მეტი მსმენელები, ვიდრე ეს საჭიროა პროპორციის მიხედვით.

გარდა ამისა, როგორც სახ. უნივერსიტეტი, ისე პოლიტექნიკური ინსტიტუტი თითქმის სულ არ გვაძლევს მეტყევეებს. ეს იმ დროს, როცა სახელმწიფოს მეტად ესაჭიროება სპეციალისტი მეტყევეები.

მედიკური ფაკულტეტიც არანორმალურ მდგომარეობაშია. ფაკულტეტი უმნიშვნელო რაოდენობით უშვებს კბილის ექიმებს და სპეციალისტ-ფარმაცევტებს.

ამ არანორმალური პირობების მოსასპობად განზრახულია სტუდენტთა გადაჯგუფება ერთ დარგიდან მეორე დარგზე, რაც უნივერსიტეტებს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს მოთხოვნილებებთან შეფარდებით მოამზადოს საჭირო კვალიფიკაციის მქონე მუშაკები.

კონსერვატორიას აქვს ფორტეპიანის, ვოკალური, ინსტრუმენტალური და თეორეტიული კლასები. ყველა კლასებში ამჟამად ირიცხება 337 სტუდენტი, აქედან 176 ქალია. მათ შორის —132 ქართველი, 40 რუსი, 123 სომეხი და სხვადასხვა ეროვნების—42.

სამხატვრო აკადემიას აქვს შემდეგი ფაკულტეტები: სამხატვრო, გრაფიკული მოქანდაკეობის, და ხუროთმოძღვრების. აკადემიაში ირიცხება 258 სტუდენტი. მათ შორის—162 ქალია; ეროვნების მიხედვით — 151 ქართველი, 58 რუსი, 44 სომეხი, 5 სხვადასხვა ეროვნების.

ჰ.

მიწა-ტყის მუშაკთა მე-7 ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომა

კვირას, 22 აპრილს, დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის და კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენების გარშემო.

კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ჯაფარიძის მოხსენება საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის შესახებ და ამხ. ცხვირაშვილის მოხსენება კავშირის კულტ-განყოფილების მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

საღამოს სხდომაზე კამათის დამთავრების შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მდივანი ამხ. მიხა კახიანი, რომელსაც ყრილობა ოვაციებით შეხვდა.

ამხ. მ. კახიანის სიტყვა

ამხანაგებო! მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშაობის მიმდინარე პერიოდში. მე მგონია, დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ სოფლად მუშაობა—ეს არის მთავარი საკითხი, რომელსაც უდიდეს ყურადღებას აქცევს ჩვენი პარტია. თქვენ იცით, რომ საქართველო უფრო გლეხური ქვეყანაა, რომ პარტიის ძირითადი ამოცანა სოფლად მდგომარეობს ღარიბ და საშუალო გლეხობის დარაზმვაში თავის გარშემო. ამ მხრივ კი თქვენმა პროფკავშირმა დიდი როლი უნდა ითამაშოს.

ამჟამად აქტივობა სოფლად იზრდება, ეხლანდელი საბჭოთა სოფელი თანდათან ვითარდება. თქვენ კარგად იცით, თუ რა იყო წინად სოფელი და რას წარმოადგენს დღეს. დღეს ჩვენ საკმაოდ შევაკავშირეთ სოფლის ღარიბები და საშუალო გლეხები და დაუახლოვეთ პარტიას, უნდა ვსთქვა, რომ ეს არის პოლიტიკური პლიუსი ჩვენი მუშაობის. მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. ჩვენ კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ კავშირი ღარიბებს გლეხობასა და საშუალო გლეხობას შორის, რომ შესაძლებელი შეიქმნეს კაპიტალისტურ და კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა, როგორც ეს დასახა ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ როგორ მწვავედ იდგა ამას წინად ცენტრში და აქაც პურის დამზადების საკითხი. როდესაც აღმოჩნდა, რომ პური ცოტა არის დამზადებული, ჩვენ ჩავარდით არანორმალურ მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ პური — ეს არის მთავარი, რომელიც ესაჭიროება მუშას, და წითელ არმიას. შექმნილი კრიზისის თავიდან ასაცილებლად ჩვენი ხელისუფლების მიერ მიღებული იყო მკაცრი ზომები კულაკების წინააღმდეგ. უამისოთ ჩვენ არ შეგვეძლო თავიდან აგვეცილებინა პურის კრიზისი. იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც არ აძლევდნენ პურს წითელ არმიას და მუშებს, ჩვენ იძულებული ვიყავით განსაკუთრებული ზომები მიგვეღო. ესენი იყვნენ კულაკები და საერთოთ გლეხობის უფრო შეძლებული ნაწილი, რომელიც მტრულად არის განწყობილი მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიმართ. პარტიამ შესძლო ამ დაბრკოლებათა დაძლევა. ის ზომები, რომელიც მიღებული იყო პარტიისა და ხელისუფლების მიერ სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს შექმნილ პირობებში. ზოგიერთს ჰგონია, რომ პურის დამზადების დროს მიღებული მკაცრი ზომები—ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკის გადასინჯვა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გადასინჯვა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ უკან ვერ დავიხევთ, როდესაც ჩვენი მდგომარეობა განმტკიცებული არის და ის პოლიტიკა, რომელიც გამომუშავებული იქნა პარტიის მიერ საკავშირო ყრილობაზე ღარიბებსა და საშუალო გლეხობის შესაკავშირებლად, საშუალებას მოგვცემს გაწარმოოთ ძლევამოსილი ბრძოლა კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ ჩვენ მოგვცა საშუალება კიდევ უფრო მჭიდროდ დავაკავშიროთ ღარიბი და საშუალო გლეხობა. როდესაც დაისვა საკითხი კულაკურ ელემენტებისათვის პურის ჩამორთმევის შესახებ, გლეხობამ დიდი აქტივობა გამოიჩინა, რათა ეს პური ჩამოგვერთმია და გადაგვეცა იმისათვის, ვისაც პური არ ჰქონდა, ჩვენმა პარტიამ ფეხზე დააყენა თავისი ძალები და ეს კრიზისი უკვე დავსძლიეთ. დღეს ასეთი კრიზისი არ არის, საქართველოც ამ გზას უნდა გაჰყვეს, მე იმას არ ვლაპარაკობ, რომ ჩვენში მსგავს მოვლენას ჰქონდეს ადგილი, რომ ვითომდა საქართველოში ჰქონდეს ადგილი ისეთ კრიზისს, და საჭირო იყოს ამის გამო 107 მუხლისათვის მიმართვა, ჩვენში ასეთი მდგომარეობა არ არის, მაგრამ აქაც არის საჭირო ჩამოვაყალიბოთ და დავრაზმოთ ღარიბებისთა ჯგუფები და ვებრძოლოთ კულაკებს და თავად-აზნაურობის ნაშთებს.

ჩვენ ეხლა ვატარებთ თესვის კამპანიას. არ უნდა დარჩეს დაუთესავი არც ერთი ჰექტარი მიწა. რუსეთში ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა. იქ გლეხობა განზრახ არ სთესავდა, რისთვისაც მიღებული იქნა სათანადო ზომები, და მდგომარეობა გამოსწორდა. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოში ყურადღება მივაქციოთ არა მარტო ჩვეულებრივი კულტურების დათესვას—არამედ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოდ ძვირფასი კულტურები, ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ მიწის დამუშავების ძველ მამაპაპურ წესს. ჩვენ უნდა შევსძლოთ საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება, ახალი მანქანების შემოღება, რომ სოფლის მეურნეობის კულტურული დონე ავამაღლოთ. შეგნება უნდა შევიტანოთ გლეხობაში და ჩავაბათ ის კოლექტიურ მეურნეობაში. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა. ამ საშუალებით ჩვენ სწორ გზაზე დავაყენებთ ღარიბებს და საშუალო გლეხობას. და მტკიცე საფუძველს ჩაუყრით მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს. მე მგონია, რომ ამ ხაზით უნდა ჩაატაროს ჩვენმა ყრილობამ მუშაობა, და ის მიიღებს იმ შედეგებს, რომელიც არის ჩვენი პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის და ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის სასურველი.

დასასრულ ამხ. კახიანი უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. მის სიტყვას ტაში ფარავს.

ერთ-ერთ დელეგატის წინადადება შემოაქვს ამხ. მიხა კახიანის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში გამოიცეს ცალკე ფურცლად და დაურიგდეს დელეგატებს.

ამის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ანცელიოვიჩი.

მეექვსე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის ამხ. სახარულიძის საბოლოო სიტყვა.

ყრილობამ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და საქარ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. რეზოლუციების შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფირხალანოვი სახალხო მამულების ტრესტის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1925 წლიდან ტრესტის მუშაობა გაცხოველდა დაეტყო.

ამჟამად შემოღებულია საუკეთესო მეურნეობის დაჯილდოვება, რაც სასურველ ნაყოფს გამოიღებს სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ჯილდოებისათვის გადადებულია ათი ათასი მანეთი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, დღის 1 საათზე ამხ. მ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

საზოგადოებრივ კვების საქმე

თბილისში საზოგადოებრივ კვების საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის წარმომადგენელმა ამხ. მარკმანმა.

მომხსენებელმა სხდომის გააცნო იმ გამოკვლევის შედეგები, რომელიც სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ ჩაატარა საზოგადოებრივ კვების დარგში.

გამოკვლევის მიხედვით, კოოპერატიულ საზოგადოების მდგომარეობა არანორმალურია. კოოპერატიული სასადილოების რიცხვი მეტად მცირეა, ამავე დროს არსებული სასადილოებიც ანტისანიტარულ პირობებში იმყოფებიან და ამზადებენ ცუდი თვისების საკვებ პროდუქტებს.

ამასთან ერთად არსებული სასადილოები თითქმის ზარალს იძლევიან, რაც გამოწვეულია სამეურნეო დარგის ცუდათ დაყენებით და გადასახადების სიდიდით.

პრეზიდიუმმა დაადგინა, საზოგადოებრივ კვების გასაუმჯობესებლად გაფართოებული იქნეს კოოპერატიული სასადილოების ქსელი, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში და მიღებული იქნეს მკაცრი ზომები ნოყიერი პროდუქტების დასამზადებლად.

გარდა ახალი კოოპერატიული სასადილოების გახსნისა, პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო გაიხსნას დახურული კოოპერატიული სასადილოები, სადაც მუშა-მოსამსახურეებს შეეძლებათ სახლში წაიღონ ნოყიერი საჭმელები შეღავათიან ფასებში. ასეთი კოოპერატიული სამზარეულოების გასახსნელად, პირველ რიგში გამოკვლეული იქნება მუშათა რაიონები, ამის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად იქნება დატვირთული სამზარეულოები და გაამართლებენ თუ არა ისინი დასახულ მიზანს.

კოოპერატიულ სასადილოებისა და დახურულ სამზარეულოების მუშაობისათვის კანტროლის გასაწევად და მათში სადი, ნოყიერი საკვებ პროდუქტების დამზადებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად დაარსებული იქნება სპეციალური მუშათა კომისიები.

პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა სასტიკი ზომები იქნეს მიღებული კერძო სასადილოებში სადი საკვები პროდუქტების დასამზადებლად და გაძლიერებული იქნეს მათზე სანიტარული მეთვალყურეობა. ამასთან ერთად ჩატარებული იქნება კერძო სასადილოებში მომუშავეთა ჯანმრთელობის შემოწმება. გარდა ამისა, სისტემატიურად იწარმოებს კერძო სასადილოებში დამზადებულ პროდუქტების ანალიზი მათი ღირსების გამოსარკვევად.

დასასრულ, პრეზიდიუმმა დაამტკიცა თბილისში საზოგადოებრივ კვებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად სპეციალური კომისია 9 წევრის შემადგენლობით.

პოლიტგანათლება

თბილისსა და მის მაზრაში პოლიტგანათლების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ხუციშვილმა და შავერდოვამ. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ პოლიტგანათლების საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა თბილისის გარეუბნებში. გარდა ამისა პოლიტგანათლების დაწესებულებები, სიმცირის გამო, ვერ ხწვდებიან მუშაობას.

პროფორგანოებიც არ ღებულობენ სათანადო მონაწილეობას პოლიტგანათლების დაწესებულებების მუშაობაში.

პრეზიდიუმმა პოლიტგანათლების საქმის გასაჯანსაღებლად თბილისსა და მის მაზრაში, მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები და დაადგინა მომავალ საბიუჯეტო წლიდან გაადიდოს აღრიცხვა.

ვენეროლოგთა კონფერენცია

მესამე სხდომა

პროფ. ბურგსდორფის მოხსენება

მესამე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანისა და ვენერიული სნების კათედრის პროფესორის ი. ბურგსდორფის მოხსენება სიფილისის მკურნალობის მეთოდების შესახებ. მომხსენებელი კონფერენციას აცნობს ევროპის მეცნიერების ახალ გამოგონებებს სიფილისთან ბრძოლის დარგში და სიფილისის მკურნალობის იმ საშუალებებს, რომელსაც ხმარობენ სხვადასხვა მკვლევარები.

გარდა ამისა, მომხსენებელს მოყავს თავის საკუთარ დაკვირვებათა დასკვნები და აშუქებს მთელ რიგ ახალ მომენტებს და მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს სიფილისით დაავადების დროს.

დასასრულ, მომხსენებელი ჩერდება მკურნალობის იმ მეთოდებზე, რომელიც მას ყველაზე უფრო მისაღებად მიაჩნია.

კონფერენციამ მოხსენება დიდის ინტერესით მოისმინა; მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები.

მეოთხე და მეხუთე სხდომები

კვირას კონფერენციის მეოთხე და მეხუთე სხდომაზე მოსმენილ იქნა რამდენიმე მოხსენება სხვადასხვა ვენერიულ სნეთა მკურნალობის მეთოდების შესახებ. კონფერენციაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ექ. ნ. მირიანაშვილის მოხსენებამ ქალის გონორეის მკურნალობის საშუალებათა შესახებ. მომხსენებელს ქალის გონორეის მკურნალობაზე დაკვირვებები მოუხდენია ლენინგრადის კლინიკებში, სადაც ეს საქმე სანიმუშოთ ყოფილა დაყენებული.

შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან. ბათომის ვენერიულ დისპანსერის წარმომადგენელი ექ. ი. კობალაძე ეხება დისპანსერის მუშაობის პირობებს ბათომში და აღნიშნავს, რომ ბათომი, როგორც სანავსადგურო ქალაქი ძალიან დატვირთულია ვენერიულ სნებით შეპყრობილ ავადმყოფებით. დაკვირვებებიდან ირკვევა, რომ სნება ვრცელდება უმთავრესად პროსტიტუციის საშუალებით.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექ. შურღაიას (თელავი), ვეკუას (ქუთაისი), იუზბაშევის (გორი), ელეფთერიძის (ონი), მათიაშვილის (ცაგერი), თურქიასის (ფოთი), მაჭავარიანის (ოზურგეთი) და ლახნიშვილის (სენაკი) მოხსენებები ადგილობრივი ვენერიულ დისპანსერების საქმიანობის შესახებ.

ქუთაის-აბასთუმანის გზატკეცილები

ქუთაისის მაზრიდან დაბრუნდა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. მ. გ. ჯაში, რომელმაც იქ დაათვალიერა ქუთაის-აბასთუმნის გზატკეცილი ბათომამდე.

გზატკეცილის მდგომარეობის შესახებ ინჟ. ჯაშმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

წრევანდელი წყალდიდობის პერიოდში ამ გზაზე საფრთხე მოსალოდნელი იყო ორ ადგილას. მდ. ხანის წყალი ემუქრებოდა ორ ხიდს—დიმისას და ზემო-ბაღდადისას, მაგრამ თავის დროზე იყო მიღებული ზომები ხიდების გასამაგრებლად და წყალმა მათ ვერაფერი დააკლო. ამასთანავე მდ. ყვირილაზე წყალმა წაიღო ბორანი. ეხლა იგიც აღდგენილია იმდენად, რომ ავტომობილებს და ურმებს თავისუფლად შეუძლიათ გადავიდნენ მდინარეზე.

უნდა ითქვას, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეუკეთებლობის გამო გზის ზედაპირი ვერ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში; მისი შეკეთება კი ერთბაშად, თანხების უქონლობის გამო, შეუძლებელია.

საერთო წესის მიხედვით, ამ გზაზედაც უნდა იქნეს გამოყენებული შრომის ბეგარა. ამას კიდეც მივმართავთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბაღდათის რაიონში ეს ბეგარა შესაფერისად ვერ ტარდება. ცდები ამ მხრივ ყოველ შემთხვევაში ეფექტს ვერ იძლევა.

წელს ამ გზას მეტი ყურადღება აქვს მიქცეული, ვინემ წინა წლებში. წელს კაპიტალურად შეკეთდა გზა ქუთაისიდან-რიონამდე. ამ საქმეში გზატკეცილების სამმართველოს დაეხმარება რიონჰესის საამშენებლო კომიტეტი.

რიონიდან ბაღდათამდე შეკეთებული იქნება უფრო მეტად დაზიანებული ადგილები, რისთვისაც უკვე სწარმოებს გატკეპნისათვის საჭირო ქვის დამზადება.

ბაღდათის ზევით—აბასთუმნისაკენ დიდი ხანია, რაც გზა დაკეტილია და იგი უვარგის მდგომარეობაში იმყოფება. არის ისეთი დანგრეული ადგილები, განსაკუთრებით ზეკარის უღელტეხილზე, რომ ცხენიან კაცსაც კი გაუჭირდება გავლა.

წელს გადაწყვეტილია ამ ადგილების კაპიტალური შეკეთება.

იმედი გვაქვს, რომ ამ დაკეტილ უბნის აღდგენით წელს შევსძლებთ ქუთაისიდან აბასთუმანში ავტომობილით გადასვლას, რითაც შეიქმნება ხაზი: ქუთაისი-აბასთუმანი-ახალციხე-ბორჯომი.

ამასთანავე წელს აღდგენილი იქნება ხაზი ახალციხიდან-ბათომამდე. ასე, რომ შეიქმნება მთელი კვანძი ქუთაისიდან-ახალციხემდე და ბათომამდე.

ამ ხაზების აღდგენასთან ერთად, „ზაკავტოპრომტორგს" გადაწყვეტილი აქვს წელსვე მოაწყოს მათზე ავტო-მიმოსვლა.

ქრონიკა

პროფგანათლება

პროფგანათლების სკოლების რიცხვი ამჟამად უდრის 118. მათში ირიცხება 12.597 მოწაფე და 1112 მასწავლებელი.

ამას გარდა მიმდინარე წელს გაიხსნა კიდევ: 1 ხეფეიქრო, 1 ქიმიო-ფარმაცევტული, 3 სამედიცინო და 2 პროფსკოლა თბ. რკინის გზასთან (1 საექსპლოატაციო და 1 საამშენებლო).

კვალიფიციური მუშები

თბილისის შრომის ბირჟის მიერ უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოწყობილი 6-თვიანი კურსები დაამთავრა 211 კაცმა, რომელთა შორის 45 კალატოზია, 40 მღებავი, 68 მეარმატურე და 58 ტონობზე მომუშავე.

შრომის ბირჟამ ამ კურსების შესანახად სულ დახარჯა 11.746 მანეთი, აქედან კურსანტებს სტიპენდიის სახით მიეცა 5.818 მანეთი.

თბ. საბჭოს საფინანსო სექციაში

გუშინ შესდგა თბილისის საბჭოს საფინანსო სექციის მორიგი სხდომა. სექციას უნდა განეხილა თბილისის აღმასკომის 1927—28 წლის ბიუჯეტის საბოლოო პროექტი, მაგრამ სექციის წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო პროექტის განხილვა გადაიდო სექციის შემდეგი სხდომისათვის, რომელიც დანიშნულია ხუთშაბათს, 26 აპრილს.

სექციამ აირჩია კომისია 5 კაცისაგან, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა ბიუჯეტის საბოლოო პროექტს და მონაწილეობას მიიღებს ამ პროექტის განხილვა-დამტკიცებაში თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ორშაბათს, 30 აპრილს.

საბჭოთა კავშირში გასაგზავნად (მთავარ ქალაქების სექციების მუშაობის გასაცნობად) სექციამ აირჩია რკინისგზელი მუშა ამხ. თაქთაქიშვილი.

დასასრულ, სექციამ გამოჰყო ერთი წარმომადგენელი აღმასკომთან არსებულ აპარატის რაციონალიზაციის ბიუროში წარსაგზავნად.

„ძველი და ახალი თბილისი"

თბ. საბჭოს მუნიციპალურ მუზეუმში დამთავრდა „ძველი და ახალი თბილისის" გამოფენის მოწყობა. გამოფენის წინასწარი დათვალიერება დანიშნულია 27 აპრილს, დღის 12 ს., 28 აპრილს საღამოს 7 საათზე მოხდება გამოფენის საჯარო გახსნა პარტიულ, პროფესიონალურ, საზოგადო და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

ამავე დღეს გამოფენაზე დაუკრავს აღმოსავლურ მუსიკოსთა ორკესტრი, რომელიც შეასრულებს ძველად თბილისში ცნობილ ჰანგებს და სიმღერებს.

პროფკავშირებში

◆ **მედსანშრომის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკანური კონფერენცია** გაიხსნება დღეს პროფკავშირის დიდ დარბაზში.

◆ **კულტკომისიის მუშაკთა მოსამზადებლად.** რკინის გზის თბ. საუბნო პროფკავშირთან ამ დღეებში გაიხსნება სპეციალური კურსები.

◆ **კოოპერატიული ხაზით კამპანია** პროფ. კავშირების წევრთა შორის დაიწყება 25 აპრილიდან.

შაბიამანი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საქართველოს საჭიროებისათვის სამხედრო „ქიმტრესტს" თავის დროზე დაუკვეთეს 1900 ტონა შაბიამანი, აქედან დღემდე მიღებულია მხოლოდ 825 ტონა.

„ქიმტრესტმა" დაკვეთები თავის დროზე საკმაო რაოდენობით არ შეასრულა, რის გამო მიღებული შაბიამანი მიზანშეუწონლად დარჩა განაწილებული. მაგალითად იმ იმედით, რომ „ქიმტრესტი" დაკვეთებს შეასრულებდა თავის დროზე და მთლიანად, მიღებული შაბიამანი განაწილებული იქნა მევენახეობის მეორე ხარისხოვან რაიონებს შორის, პირველ ხარისხოვანი რაიონები კი (გურჯაანი, კარდანახი, ბაჩხაანი, სვირი, ბაღდადი, ქუთაისი), უშაბიამანოთ დარჩა.

„სოფლის კავშირი", მიწათმოქმ. კომისარიატთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეუდგა სასწრაფო ღონისძიებების მიღებას მევენახეების რაიონებისათვის შაბიამანის სასწრაფოდ მისაწოდებლად.

სხვადასხვა

◆ **ყრილობა.** საქ. საბინაო კოოპერაციის მეორე ყრილობა გაიხსნება 25 აპრილს პროფკავშირთა დიდ დარბაზში.

შემთხვევები

თავდასხმა

კვირას, 22 აპრილს, საღამოს 9 საათზე, თბილისის მახლობლად ვინტოვკით და რევოლვერებით შეიარაღებული ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ თბილისიდან დაბრუნებულ გლეხს—დავით გარსიმაშვილს.

თავდამსხმელებმა გლეხს სიკვდილის მუქარით წაართვეს კოოპერატივის საქონელი და მიიმალნენ.

მიღებულია ზომები თავდამსხმელთა დასაპატიმრებლად.

თავის მოწამვლა

გუშინწინ, დღისით ოდით თავი მოიწამლა ვერა მინცაძემ (ბეჭ. რევაზოვის შეს. № 9). მინცაძის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

გვამის პოვნა

გუშინ, დღისით წყალზე დახმარების პუნქტის თანამშრომლებმა სოლოლაკის ხიდთან მტკვარში იპოვნეს დამხრჩვალი ქალის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

ვერ მოასწრეს

გუშინწინ, ღამით ვიღაც ბოროტმოქმედებმა კედლის გამონგრევის საშუალებით განიზრახეს ტყავეულობის მაღაზიის (ბაზრის ქ. № 16) გაქურდვა, მაგრამ ნივთების წაღება ვერ მოასწრეს.

ქურდობა

გუშინ, დღისით გაქურდეს ა.-კ. სამხედრო კოოპერატივის მაღაზია (№ 1); წაიღეს 423 მანეთის საქონელი.—გაქურდეს ელ. ანთიძის ბინა (ყაზბეგის ქ. № 3); წაიღეს 150 მანეთის საოჯახო ნივთები.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის სამდღიური

როგორ მიმდინარეობს სამდღიური

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის სამდღიური დიდის წარმატებით ტარდება. ყულაბებით ფულის შეგროვებამ მოლოდინს გადააჭარბა. პირველ დღეს ფულის შემგროვებმა რამდენჯერმე გამოიცვალეს ფულით სავსე ყულაბები. შეგროვილი თანხების რაოდენობა ჯერ არ არის ნაანგარიშევი.

ბორჯომის ქ. № 10 არსებულმა საავადმყოფო-საბინაო ამხანაგობამ სამდღიურის სასარგებლოდ გაიღო 44 მ. 75 კ.

ლითოგრაფიის მუშების კრება

გუშინ დილის შესვენებისას პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიაში შესდგა მუშათა საზოგადო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის შესახებ. თბილისის ბავშვთა მეგობრების საზოგადოების წარმომადგენელმა ამხ. ალიხანოვმა მუშებს გააცნო უპატრონო ბავშვთა მდგომარეობა და ის ღონისძიებანი, რომელსაც სახელმწიფო ღებულობს ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად.

მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ დაადგინა გაიღოს ერთდროული თანხა. კრებაზე სასწრაფოდ შეკრებილ იქნა მუშებს შორის 61 მან. 75 კაპ.; რაც უმალ გადაეცა დანიშნულებისამებრ.

საზოგადო კრების რეზოლუციაში ნათქვამია: —„ჩვენ პოლიგრაფიული ტრესტის ლითოგრაფიის მუშები ვიღებთ ჩვენ წვლილს უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ. კრება აღიარებს, რომ ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა—ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამიტომ მოუწოდებს ყველა სტამბების და ტრესტის დანარჩენ წარმოებების მუშებს გაიღონ თავის წვლილი.

ამხანაგებო, ველით თქვენს გამოხმაურებას ორ დღეში".

ავიაქიმში

თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია

25 აპრილს საღამოს 6 საათზე პროფკავშირების დიდ დარბაზში გაიხსნება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ამოცანები, 2) თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მოხსენება, მოხსენება საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმის შედეგებზე, 6) არჩევნები.

დელეგატებს, რომელნიც არჩეულნი არიან კონფერენციაზე დასასწრებლად, მანდატების მიღება შეუძლიათ რაიონებში.

მეორე ავიალატარია

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით დღევანდელ დღემდის საქართველოში გასაღებულია მეორე ავიალატარიის 35.000 ბილეთი. ვინაიდან ბილეთებზე მოთხოვნილება დიდია, მოსკოვიდან გამოთხოვილია დამატებით 3.000 ბილეთი.

პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც უნდა შემდგარიყო 25 აპრილს, შესდგება 26 აპრილს, დღის 12 საათზე ამხ. ჯუღელის კაბინეტში.

კინო

დიდი მოვლენა კინემატოგრაფიაში

(ს. ეიზენშტეინის და ალექსანდროვის „ოქტომბერი")

„ოქტომბერი" კინემატოგრაფიაში ისტორიულ მოვლენად გადაიქცა. ის მნიშვნელოვანია არა მარტო კინემატოგრაფიულ ხელოვნებაში, არამედ საერთო რევოლიუციონურ საბჭოთა კულტურის სფეროში.

ეიზენშტეინი თავის წერილში „ოქტომბერი"-ს შესახებ სწერს: „ოქტომბრის", როგორც ნაწარმოების შეფასება კომპოზიციური (ხაზი ჩემია ვ. მ.) თვალსაზრისით და მის მიხედვით მსჯავრის გამოტანა იქნებოდა ამ ფილმის მეტად ზერელე ანალიზი.

ამ შემთხვევაში კულტურული ანალიზი ყველაზე ძლიერად უნდა შეეხოს მეთოდოლოგიის (აქაც ხაზი ჩემია ვ. მ.) საკითხებს. რადგან მეთოდოლოგიამ სძლია კონსტრუქცია. მეთოდოლოგიამ დაამსხვრია ნივთი, როგორც მთელი ანი რამ". (იხილეთ ეიზენშტეინის წერილი გაზ. „კომუნისტში").

ეიზენშტეინის ეს აზრი მართალი არის. შეუძლებელია ვეძიოთ კონსტრუქციის მთლიანობა ოქტომბერში, თუნდაც იმიტომ, რომ აქ თემატიურად გადაუჭრელი ამოცანაა დასახული. კაცობრიობის ისტორიის გიგანტიურ მოვლენის (როგორც იყო 1917 წლის ოქტომბერი) კინემატოგრაფიულადაც შეუძლებელი მიზნის დასახვაა. ვერც ერთი ხელოვნების ფაქტი ასეთ პატარა ისტორიულ განაკვეთზე ვერ მოიცავს ასეთ დიდმოვლენის განსახიერების საშუალებებს სპეციფიურ ესთეტიურ ფორმებში. კომპოზიციურად მთლიანი თანამედროვეობისათვის იქნებოდა მხოლოდ ქრონიკა, რომ ის დროზე გადაღებული ყოფილიყო. ქრონიკა არა ისე ცუდად გაკეთებული, რომლის ცქერის ჩვენ ნაჩვევი ვართ, არამედ ქრონიკა, რომლის მონტაჟის პრინციპმა სძლია ხალტურულობა და დაიმორჩილა მასალა ღირსშესანიშნავ კომბინაციებით.

ეიზენშტეინმა საიუბილეო კომისიის წინადადებით მოისურვა შეუძლებლის შეძლება. რა მივიღეთ შედეგათ? შესანიშნავი გამოგონებათა კომპლექსი, რომელსაც საბოლოო ანგარიშში, რასაკვირველია, დადებითი ღირებულება აქვს.

ეიზენშტეინს და ალექსანდროვს შეუგნიათ სრული ისტორიულობის დაცვის შეუძლებლობა, ამიტომ ყურადღების ცენტრი გადატანილია კადრების სიმბოლისტურ აღნაგობაზე, ინდივიდუალურ პიროვნების კოლექტივიზაციისაკენ, და სოციალური პოლიტიკურ მოვლენების კინემატოგრაფიულ ნიშნებით დახასიათებაზე. ეიზენშტეინი და ალექსანდროვი გაურბიან ისტორიულ კონკრეტულობას და ცდილობენ მოვლენათა დახასიათებას საერთო ხაზებით. ისტორიულ კონკრეტობაში მოვლენათა განვითარება, რასაკვირველია, დაკავშირებული იყო მათ ურთიერთ ზეგავლენაზე, რაც დროის სივრცეში „სიუჟეტიან" განვითარებას იძლეოდა. „ოქტომბერში" ფაქტები გაბნეულია სივრცეში და დროში და მათი დაკავშირება უფრო კინომონტაჟით ხდება, ვიდრე სოციალურ-ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით.

რადგან ისტორიულ კონკრეტობაზე უარი იყო ნათქვამი, ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა კინემატოგრაფიულ გამოგონებაზე. „ოქტომბრის" ავტორებმა შესძლეს ეჩვენებინათ ოქტომბრის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა, რუსეთის პროლეტარიატი და მისი პარტია, ბოლშევიკების პარტია. ოქტომბრის რევოლიუციის სოციალური დახასიათება სწორად არის მოცემული, როგორც გარეგანი გაფორმებით, აგრეთვე კლასების ძალთა ურთიერთ განწყობილებით. ამ მხრივ ღირსშესანიშნავია კადრები ფრონტზე, პოზიციებზე გერმანელ და რუსი ჯარების დაამხანაგება და კვლავ დაწყებული ზარბაზნების გუგუნი. არის დახასიათებული კერენსკი. კერენსკი ტიპიური წვრილ-ბურჟუაზიული რევოლიუციონერი. კერენსკის ეს პოლიტიკური დახასიათება ოსტატურად კარგად არის კინემატოგრაფიულად გაკეთებული: რამდენიმე წუთი სდგას კერენსკი მეფის ოთახის ალაყაფის წინაში და ვერ გაუბედნია ორი ნაბიჯი გადასდგას, კარები გააღოს, ხელისუფლება აიღოს. ეს ადგილი სურათში პოლიტიკური ირონიით და კინემატოგრაფიული კონსტრუქციით აუცილებლად მშვენივრად არის გაკეთებული. კორნილოვი და კერენსკი ორივე ბონაპარტობაზე ოცნებობენ, აქ ნაპოლეონის ქანდაკება, როგორც სიმბოლიური ნიშანი, რეჟისორებს მშვენივრად აქვთ გამოყენებული.

წმინდა კინემატოგრაფიულ შედევრად უნდა ჩაითვალოს ივლისის დღეებში ბოლშევიკური დემონსტრაციის დახვრეტის კადრები. აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ შესანიშნავი კადრი, როდესაც ხიდი ნელ-ნელა იშლება და ტემპი ხიდის გაშლისა ნაჩვენებია ქალის თმით, რომელიც ხიდის გაშლას აძლევს სპეციფიურ სოციალურ მნიშვნელობას და ხიდის გაშლას ჩვენ განვიცდით არა როგორც ტექნიკურ მოვლენას, არამედ როგორც საზოგადოებრივ ღირებულების მატარებელ მომენტს. იგივე ითქმის ცხენზე, რომელიც რჩება ხიდის ერთ მხარეზე და მეორე მხარეზე ჰკიდია მოკლული ცხენი. ამ კადრებში ბევრ ალაგას ეტყობა ზედმეტი ტენდენციოზურობაც, მაგრამ ეს არ ვნებს სურათს, არამედ ხაზს უსვამს მოვლენას და სათანადოდ ახასიათებს მას. ოქტომბრის სამზადისი მომენტი სურათში სათანადოთ არის დახასიათებული. პარტიის როლი ამ პროცესში აბსოლიუტურად ნათლად არის ნაჩვენები.

ეიზენშტეინს ბევრნი უსაყვედურებს, რომ მან სათანადოთ ვერ გამოძერწა ლენინის სურათი და რომ კინემატოგრაფიულად სუსტად არის ნაჩვენები ლენინის როლი ოქტომბრის მომზადების პროცესში. მაგრამ აქ იმ საერთო მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ. თუ ძნელია გიგანტიური ეპოქის განსახიერება და გაკინემატოგრაფიულება, გაცილებით უფრო ძნელია ამ ეპოქის გენიალური ხელმძღვანელის როლში მსახიობის გამოყვანა. მით უმეტეს, რომ ლენინის ხსოვნა ხალხში ცხოვრობს, როგორც კონკრეტ რეალური ადამიანის და არა ძველი დროის განყენებულ მოღვაწის. ალბად ეს უხერხულობა იგრძნეს სურათის დამდგმელებმა და შეეცადნენ რაც შეიძლება ნაკლებად ეჩვენებინათ კადრებში ლენინი, მაგრამ მისი როლი ოქტომბრის მზადებაში და თვით ოქტომბრის დღეებშიაც მაყურებლებისათვის ნათელი ეყოთ. ეს ხაზი სურათში აუცილებლად არის მოცემული.

კინემატოგრაფიულად სურათის კადრები აუცილებლად დიდ მიღწევად უნდა იქნეს მიჩნეული. ყველაზე ნაკლებად ღირსშესანიშნავია ის კადრები, სადაც მარტოოდენ „რაკურსი"-თ (გადაღების ახალი წერტილით) სურათი რეჟისორებს გააკვირონ მაყურებელი. მნიშვნელოვანია სხვა კადრები, სადაც არის მოცემული ორიგინალური კომპოზიცია კადრის მისი გეომეტრიული სიღრმის რელიეფური ჩვენებით და საერთო კონსტრუქციით. ამ მხრივ შესანიშნავ პროდუქციას იძლევა ოპერატორი ტისსე. მიუხედავად იმისა, რომ ტისსეს მიერ პორტრეტული ფოტოგრაფია ვერ არის სათანადოთ შესრულებული (მეტის მეტად გამუქებულია სახეები და სახის რელიეფი იკარგება). შესანიშნავად არის გადაღებული მასიური სცენები. სურათისადმი კრიტიკულად განწყობილი თუ მოისურვებს, რასაკვირველია შესძლებს მასში ორიოდე გადაჭარბების პოვნას და მასალით სურათის ზედმეტ დატვირთვას. მაგრამ ყველა ობიექტიური მაყურებლისათვის, სურათი გიგანტიური მიღწევაა და მეტად მნიშვნელოვანი კინემატოგრაფიული ფაქტია, რომელსაც სერიოზული შესწავლა და დაკვირვება სჭირდება.

ვ. მაჭავარიანი.

ეროვნული

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ე. გელცერის კონცერტი

ე. გელცერის კვალიფიკაცია, როგორც საუკეთესო მოცეკვავისა მტკიცდება უკვე იმ გარემოებით, რომ მას, მინიჭებული აქვს სახალხო მსახიობის წოდება და მისი სახელი განთქმულია საბჭოთა რესპუბლიკების მთელ კავშირში. თბილისს გელცერი უნახავს მრავალჯერ, და ის ყოველთვის მხურვალე ინტერესით ეგებება ყველა მის გამოსვლას ჩვენი თეატრის სცენაზე, მიუხედავად ყველა ამისა, მაყურებელთა რიცხვი 22 აპრილის კონცერტზე, ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე გელცერის წინა გამოსვლების დროს. პროგრამა, რომელიც წარმოგვიდგინა გელცერმა არ შეიცავდა არავითარ ცვლილებას არც მის რეპერტუარში, არც ცალკე დეტალების დამუშავებაში: „მომაკვდავი გედი", მე-3 მოქმედება „ესმერალდოდან", „მზეთუნახავ მეფის ქალის ცეკვა ბალეტიდან „კუზიანი კვიცი", „ებრაელთა ვაკხანალია" (ბალეტი ოპერიდან „სამსონ და დალილა"), „რუსული" ცეკვა და სხვ.—ყველა ამას ვართ უკვე გაცნობილი, და ყველა ეს შესრულებული იყო იმ ტეხნიკური უნაკლობით, რომელიც საერთოდ ახასიათებს გელცერს. საუკეთესო ტეხნიკური გავარჯიშება ხელს უწყობს გელცერს დასძლიოს დიდი სიძნელენი, ყოველი ცეკვა აქვს მხატვრულად მოფიქრებული და დამუშავებული.

დღევანდელ გელცერში ცეკვის დინამიური გაქნება იზიდავს მაყურებლის თვალს, მაგრამ ვერ გაიტაცებს მის ფსიქიკას, ვერ ჰქმნის ძალდაუტანებელ და ბუნებრივ მოძრაობის შთაბეჭდილებას. ჩვენის აზრით, დღევანდელ გელცერში არტისტიული ზრდა უნდა ჩაითვალოს უკვე დამთავრებულად, ის მიყვანილია ამ მოცეკვავის შესაძლებლობის წერტილამდე—და ეხლა შეიძლება გელცერის შეფასება მხოლოდ უკვე მიღწეულ ფარგლებში, ახალი მიღწევა კი მისგან ძნელად მოსალოდნელია.

კონცერტზე დამსწრეთა შემადგენლობამ ჩვეულებრივად კარგად მიიღო მოცეკვავე. დიდის ყურადღებით შესცქეროდა მის შემოქმედებას, მაგრამ არავითარ ენტუზიაზმს და დაჟინებით მოთხოვნილებას ამა თუ იმ საცეკვაო ნომრის განმეორების შესახებ, ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, გელცერმა საჭიროდ სცნო ყოველი ცეკვის ხელახლად განმეორება. მაგრამ არც ერთ განმეორებულ ცეკვაში, არ იყო შეტანილი ახალი მომენტი, ან და ვარიანტი, ნაკარნახევი მხატვრული აღფრთოვანებით—ყოველმა ამისთანა განმეორებამ შთაბეჭდილება ვერც შესცვალა და ვერც გააძლიერა.

გელცერის ცეკვას მუსიკალურ თანხლებას უწევდენ მუსიკოსები ჟაკი (როიალი) და ოისტარხი (ვიოლინო), რომელნიც, ამ თანხლების გარდა, გელცერის შესვენების დროს გამოდიოდენ განსაკუთრებული სიცეკვავო ნომრებით. პიანისტ ჟაკს ახასიათებს მაღალი კარგი ტეხნიკური გავარჯიშება, მაგრამ ნაკლები გავარჯიშება თითებისა, რის გამო შოპენის თხზულებებში განცალკევებულ ბგერათა სწრაფი მიმდინარეობა ვერ არის პიანისტის მიერ გამუქებული სრული სისუფთავით და სინაზით. სრულებით სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს ახალგაზრდა ვირტუოზი ვიოლინოზე ოისტარხი; ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ მის შესრულებაში (ლალოს მეოთხე სიმფონიის მე-4, და მე-5 ნაწილი, ბეთჰოვენის „ოსმალური მარში", შიმანოვსკის „ნოკტიურნი" და „ტარანტელა" და მეტადრე დებიუსის შესანიშნავი „ვალსი") ყოვლად საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ ოისტარხი წარმოადგენს ფრიად სერიოზულ მუსიკალურ ძალას, რომელშიც მშვენიერი ტეხნიკური გავარჯიშება შეხამებულია მხატვრულ აზროვნებასთან და გემოვნებასთან. ოისტარხმა სრულიად ალტაცებაში მოიყვანა აუდიტორია ლალოს სიმფონიის შესრულებით, და ეს შთაბეჭდილება გაორკეცა დებიუსის „ვალსის" მომხიბლავ თავისებურობის ყველა დეტალების მხატვრულ გადმოცემით, თუ მივიღებთ მხედველობაში ოისტარხის ახალგაზრდობას, მოსალოდნელია მისი უფრო გავარჯიშება და მხატვრულად განმტკიცება, რომელნიც უთუოდ უზრუნველყოფენ მის არტისტიულ მომავალს.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

„ოქტომბერი"

რკინისგზელთა თბ. საუბნო პროფკავშირებმა მთლიანად შეისყიდა 27—28 აპრილისათვის კინო „პალასის" ბილეთები, რომლებიც განაწილებული იქნება რკინისგზელებს შორის სურათ „ოქტომბრის" სანახავად.

გარდა ამისა, პროფკავშირთა კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა, რათა კავშირის წევრების ფართო მასას საშუალება მიეცეს ნახოს სურათი „ოქტომბერი", კინო „პალასსა", „სოლეიში" და „მინიონში" შემოიღოს შეღავათიანი ბილეთები.

იმ კავშირებს, თუ ადგილკომებს, რომლებიც კინო „პალასში" აიღებენ 1.000 ბილეთს, დაეთმობათ 250 მანეთი შეღავათი, ხოლო „მინიონში" და „სოლეიში" ყოველ აღებულ 333 ბილეთზე დაეთმობათ 100 მანეთი.

მადლობა მსახიობებს

მეტეხის სპეცდანიშნულების იზოლიატორის პატიმრები ულრმეს მადლობას უცხადებენ მსახიობებს: ნ. ვ. ალექსი-მესხიშვილს, ილო ანდრონიკაშვილს, აბრუმოვს, ანაშვილს, აფხაიძეს, არბატოვს, ბეჟანიშვილს, ვენაძეს, სახალხო მსახ. ნ. გოცირიძეს, განგებლოვს, ღვინიაშვილს, გოძიაშვილს, ჯავახიშვილს, დანიელიანს, ქუმსიაშვილს, კრუზოს, ლასკარის, ლიუბიმოვს, მეტრეველს, მჟავიას, საბინ-გუსს, სულხანიშვილს, ხუმაროვს, ხახანაშვილს, სახალხო მსახ. ჩერქეზიშვილს, თ. ჭავჭავაძეს, და ეცკინდს, რომელთაც ინახულეს სპეცდანიშნულების იზოლიატორი და თავისი მონაწილეობით სპეკტაკლებში და კონცერტებში ხელი შეუწყვეს პატიმართა შორის კულტურულ მუშაობას.

სპეც-დანიშნ. იზოლიატორის კულტკომისია.

— **საქართველოს პროლეტარულ მწერალთა** დელეგაცია მიემგზავრება მოსკოვში—საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე ოთხშაბათს, 25 აპრილს. დღეს საღ. 6 საათზე დანიშნულია დელეგაციის სხდომა ხელოვანთა სასახლეში. უნდა დაესწრონ შემდეგი დელეგატები: ბ. ბუაჩიძე; ვაკელი იონა; ვართანიანი აგასი; ეული სანდრო; კრეტანი გიორგი; ლომთათიძე კონსტანტინე; ლუარსამიძე ვალ. მაშაშვილი ალიო; ნავთლუღელი შაქრო; რადიანი შალვა; რონდელი დავ.; სუტორინი ვლად.; სამსონიძე პ.

◆ **კონსერვატორიის** თეორეტიულ კლასში გამოცდები დაიწყება 5 მაისს და გასტანს 16 ივნისამდე, კურს დამთავრებულები გაიგზავნებიან რაჭა-სვანეთში ხალხური სიმღერების ჩასატარებლად.

◆ **„ქარიშხალი".** ოპერის თეატრში დღეს გაიმართება მოსკოვის კამერულ თეატრის პირველი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „ქარიშხალი".

◆ **„ჯუმა-მაშადი".** დღეს რუსთაველის თეატრში მეორეთ წარმოდგენილი იქნება „ჯუმა-მაშადი".

◆ **ორჯონიკიძის სახელობის** კლუბთან ამ დღეებში გაიხსნება „ტირი".

ბრძოლა წყალდიდობასთან

მტკვარმა მოიმატა

კვირას, 22 აპრილს, თბილისში მდ. მტკვარის დონე უდრიდა 286 სანტიმეტრს. გუშინ წყალმა კვლავ მოიმატა და მიაღწია 335 სანტიმეტრამდე.

გორის და ბორჯომის ჰიდრო-მეტრიული სადგურები იტყობინებიან, რომ მტკვარში წყალი თანდათანობით მატულობს.

ინგურის და ხობის ადიდება

ზუგდიდის სამაზრო სამეული ატყობინებს წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას, რომ უკანასკნელ დღეებში მდ. ინგურში წყალმა მოიმატა 1 მეტრით.

ძალიან ადიდდა მდ. ხობიც.

აჭარისტანში

აჭარისტანში მდინარეთა ნაპირების განამაგრებელი სამუშაოები სწარმოებს 5 ადგილას. ამჟამად დასრულებულია კინტრიშის ხიდის გამაგრება და ბათომის წყალსადენის სათავეების გამაგრება.

125.000 მანეთის განაწილება

სტიქიურ უბედურებასთან და წყალდიდობასთან ბრძოლის საჭიროებისათვის, წყალდიდობასთან მებრძოლ განსაკუთრებული სამეულის განკარგულებაში დღემდე გადაცემულია 125.000 მანეთი.

ამჟამად მდინარეების ნაპირების გამაგრებაზე მუშაობენ ადგილობრივი ტეხნიკური ძალები და ცენტრიდან მივლინებული სპეციალისტები.

მდინარეების გამაგრების სამუშაოებზე მაქსიმალურად არის გამოყენებული შრომის ბეგარა და მოსახლეობის თვითდაბეგვრა.

საქონლის შემოზიდვა

მესამე კვარტალში

მიმდინარე საოპერაციო წლის მესამე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) ცეკავშირის ხაზით საქართველოში შემოზიდული იქნება: სიმინდი 800.000 ფუთი; სიმინდის შემოზიდვის სრული გეგმა გულისხმობს 2 მილიონ ფუთ სიმინდის შემოზიდვას; აქედან 1.200.000 ფუთი უკვე შემოზიდულია 1-ლ აპრილამდე. სიმინდის შემოსაზიდ რაოდენობიდან 100 ვაგონი სიმინდი გაგზავნილი იქნება დასავლეთ საქართველოში. გამორკვეულია, რომ 800.000 ფუთი სიმინდი ახალ მოსავლამდე არ იკმარებს, ამიტომ დასმულია საკითხი ნორმის გადიდების შესახებ.

პურის ფქვილი ცეკავშირის ხაზით აპრილში განაწილებული იქნება 80 ვაგონი; ფქვილი დაეგზავნება ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, გარდა აჭარისტანისა და აფხაზეთისა.

მთელი კვარტალის განმავლობაში ცეკავშირი მიიღებს და გაანაწილებს 250 ვაგონ პურის ფქვილს. ამ რაოდენობით ცეკავშირი უზრუნველყოფილია. აპრილის ნორმის განაწილების შემდეგ ცეკავშირს რჩება საკმაო რაოდენობა ფქვილისა მაისისათვის; გარდა ამისა, დადებულია გარიგება „ცენტროსოიუზთან" 83 ვაგონზე, რაც გამოყენებული იქნება ივნისის ნორმად.

ცეკავშირმა გარიგება დასდო „ცენტროსოიუზთან" 30 ვაგონ ხმელ ტარანზე; გარდა ამისა, შეძენილი იქნება 2.000 ფუთი ფარგა. სინამ ხმელი ტარანი შემოიზიდებოდეს ბაზარზე, შემოზიდული იქნება ბაქოდან 11 ვაგონამდე კასრის ტარანი. აგრეთვე დადებულია ხელშეკრულება „აზთევზთან" 2-3 ვაგონ ლოქოს ჯირიმზე. საერთოდ ცეკავშირის მიერ შეძენილი იქნება 100.000 მანეთის თევზეულობა.

სასამართლო

ვის ხელში იყო სახელმწიფო ქონება

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ელექტრო-ტეხნიკური განყოფილების, მისი სახელოსნოების და საწყობების ბედი 1924 წლიდან 26 წლამდე ისეთი ხალხის ხელში ყოფილა, რომელთაც როგორც იტყვიან, „არც ბატს არ მიიბარებს კაცი".

„გამგე" და „პირისუფალი" ელექტრო-ტეხნიკური განყოფილებისა იყო ვასილ ლუკაძე ტყეშელაშვილი. მის განკარგულებაში იყო სახელოსნოები და საწყობები.

განზრახ რომ მოინდომოს კაცმა, გაუძნელდება ისეთი ქაოსის და არევ-დარევის შეტანა დაწესებულების მუშაობაში, როგორიც იყო ტყეშელაშვილის გამგეთ ყოფნის დროს.

გამგემ რამოდენიმე წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე და რომ ჰკითხოთ ვერ გეტყვის—სად რა ხდებოდა, რომელ საწყობში რა ეწყო, რომელ სახელოსნოს რა ესაჭიროებოდა, რა შემოდიოდა, რა გადიოდა, ვის რა მიჰქონდა, ვინ რას იბარებდა, ვინ რას აკეთებდა მის უწყებაში.

რევიზორების და კონტროლიორების მთელი არმია შეიქნა საჭირო, რომ ოდნავად გზა გაეკვლიათ ამ ქაოსში, ამ ჯურღმულში და საამკარაოზე გამოეტანათ იქ გამეფებული [illegible].

ჩავიხედოთ საწყობებში, რომლებიც ტყეშელაშვილს ექვემდებარებოდენ. ჰყრია უპატრონოდ ძვირფასი მასალები. ვერ ნახავთ საწყობში არსებულ მასალების სიას, შემოსავლის და გასავლის საბუთები ერთმანეთშია არეული. ერთ საწყობში ათეული ათასი მანეთის მასალა არსად სჩანს, მეორეში რაც უნდა იყოს, იმაზე მეტი აწყვია.

ერთი სიტყვით „წყალი ამღვრეულია". ვინც კარგი თევზაობა იცის—ბევრ რამეს დაიჭერს.

საწყობის გამგეს ვასილ მარტიშენკოსაც ეს უნდა, როგორც ქურდს—ბნელი ღამე.

დღე ისე არ გავა, რომ თავისი საწყობიდან სხვადასხვა ნივთებით სავსე ყუთები არ „გაალაგოს". მისი მარჯვენა ხელია იმავე საწყობის მუშა დავით გუგუნავა. გუგუნავა უფრო მარდია ნაქურდალის გასაღებაში.

მარტიშენკომ სულ არევ-დარია ანგარიშწარმოება, რომ ვერავინ ქურდობის კვალს ვერ მიუგნოს. ის ვერ გაითვალისწინა, რომ მის ბინაში აღმოაჩენდენ ნაქურდალ ნივთებს.

სამჯერ მოხდა საწყობების რევიზია. მარტიშენკომ რევიზიის დაწყებისთანავე აიღო შვებულება და წავიდა. ცოტა „უგუნებოდ" იგრძნო თავი.

შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ აღარ „მოისურვა" თავისი თანამდებობის დაკავება და მის თანაშემწეს სერგო კლიმიაშვილს გადაულოცა საწყობი.

საინტერესოა, როგორ მოხდა საწყობის გადაბარება. არავითარი აღწერა, არავითარი შემოწმება არ მომხდარა, ისე ხელადებით კლიმიაშვილმა თვალი გადაავლო საწყობს და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

სარევიზიო კომისია ეჭვში შეიყვანა იმ გარემოებამ, რომ ვასილ მარტიშენკომ ნებაყოფლობით განება თავი სამსახურს.

საწყობის გახსნის და დიდძალი დანაკლისის აღმოჩენის შემდეგ [illegible] საწყობის თანამშრომლები.

ვასილ მარტიშენკოს და დავით გუგუნავას ვერ მოესწროთ საწყობიდან ქურდულად გატანილ ნივთების გასაღება. მათ ბინაზე 2.500 მანეთის საქონელი აღმოაჩინეს გადამალული. ნაქურდალ ნივთებს მათგან „ხელმისაწვდომ" ფასებში იძენდა სახელოსნოს მუშა ნესტორ ლეჟავა.

ასეთი ამბები ხდებოდა ელექტრო-ტეხნიკური განყოფილების საწყობებში და გამგე ტყეშელაშვილს ერთხელაც ამბავი არ უკითხავს. მხოლოდ მაშინ გაიგო რა ხდებოდა მის დაწესებულებაში, როცა სარევიზიო კომისიის დასკვნა და სასტიკი საყვედური მოისმინა.

„სახელოვანი „გამგე" თავისივე „სახელოვანი" თანამშრომლებით გამასწორებელ სახლისაკენ გაისტუმრეს.

საქმის გარჩევა გუშინ დასრულდა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით.

ბრალდებულები ერთი-მეორეს აბრალებდენ ყველაფერს.

— არ გახსოვს, მე რომ მოგიტანე სახლში ერთი სავსე ყუთი?—ეუბნება გუგუნავა ერთ-ერთ ბრალდებულს.

— სტყუის,—უპასუხებს მეორე.

— საწყობის გასაღები მარტიშენკოს ჰქონდა, ლაპარაკობს ბრალდებული კლიმიაშვილი,

— სტყუის. მაგასაც ჰქონდა და მეც. გასაღები ორი იყო,—თავს იმართლებს მარტიშენკო.

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

ყოფილ გამგეს ვასილ ტყეშელაშვილს დაუდევრობისა და უყურადღებობისათვის მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ამნისტიის ძალით, განთავისუფლებულ იქნა. სერგო კლიმიაშვილს დაუდევრობისა და უყურადღებობისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა. ვასილ მარტიშენკოს და დავით გუგუნავას მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა თვითეულს 3 წლით და 6 თვით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდათ. ნესტორ ლეჟავას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და მოხუცებულობა, რის გამო სასჯელი 1 წლამდე დაუყვანა. ამნისტიით დარჩენილი სასჯელი მოეხსნა.

ზემ.

რკინის გზებზე

ბრძოლა მატარებლების დაგვიანებასთან

ამ რამოდენიმე ხნის წინად დაიგვიანა სახალხო მატარებელმა № 3. მატარებლის დაგვიანება არ ყოფილა გამოწვეული არავითარი ტეხნიკური მიზეზით. მატარებელს მიჰყვებოდენ სადგურის უფროსის თანაშემწე ფადარ მამედოვი და წყლის დარგის განყოფილების უფროსის თანაშემწე იბრაჰიმ მამედ სადიხი.

ისინი შელაპარაკდენ, რასაც შედეგად მოჰყვა ხელჩართული ბრძოლა. მებრძოლები ისე გაცხარდენ, რომ ვაგონის ვიწრო დერეფანში ვერ დაეტიენ: ერთ-ერთმა მოჩხუბარმა გადასწია ვესტინჰაუზის მუხრუჭის სახელური და გააჩერა მატარებელი სადგ. [illegible] სემაფორთან.

ამავე მატარებელს სადგურ ძეგამში მოხსნეს ერთ-ერთი ვაგონი, რადგან მას დაეწვა ბუქსა, დაუდნა „პოდშიპნიკები" და დაეკარგა საბუქსო კოლოფი. ამას შედეგად მოჰყვა მატარებლის გაჩერება ნახევარი საათით.

ამ შემთხვევის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ იგი გამოწვეული იყო თბილისის დეპოს მზეთავების მაკარიოვის და კრავჩინსკის მიზეზით.

ყველა ზემოდდასახელებული ოთხი პირი, ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის ამხ. პოზდეევის განკარგულებით მოხსნილი არიან სამსახურიდან.

შედარებით იოლად გადარჩა სადგ. სალირის უფროსი ლაიუშნევსკი, რომელიც სისტემატიურად ზედმეტად აჩერებდა მატარებლებს სადგურებზე. მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

დაჯახება

21 აპრილს სადგ. ბალაჯარში ხმისწავლი მატარებლის შესვლის დროს მეისრე ნურმამედოვმა ისარი გადაიყვანა დაკავებულ ხაზისაკენ.

მატარებელი დაეჯახა სამანევრო შემადგენლობას დაჯახების დროს სრულიად დაიმსხვრა ფქვილით დატვირთული სამი ვაგონი და ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ღია ვაგონი და ხმისწავლი მატარებლის ორთქლმავალი. უკანასკნელს დაუზიანდა ტენდერი.

ამასთანავე დაიჭრა ორი უპატრონო ბავშვი, რომლებიც იჯდენ ბუფერებზე. ბავშვები დახმარების აღმოსაჩენად გადაგზავნეს ბაქოში.

მატარებლის და დრეზინის დაჯახება

ან-აგენის გადასარბენზე სახალხო მატარებელი № 3 დაეჯახა მოტორიან დრეზინას, რომლითაც მიემგზავრებოდა სალიანდაგო განყოფილების მე-16 უბნის უფროსი. დაჯახების დროს დრეზინა დაზიანდა საგრძნობლად. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

როგორც გამოირკვა, დრეზინა შეცდომით გაუშვა სადგ. ანის მორიგემ ბარინოვმა.

ფართლის მოპარვა

21 აპრილს ღამით ძეგამ-დოლიარის გადასარბენზე მიმავალ საბარგო მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში შეიპარნენ ქურდები. სადგურში მისვლის დროს გახსნეს ვაგონი და იქ 105 შეკვრა ფართლიდან აღარ აღმოჩნდა 25 შეკვრა. სწარმოებს გამოძიება.

მატარებლის გაწყვეტა

21 აპრილს კოვლიარ-ძეგამის გადასარბენზე გაწყდა მატ. № 3. ადამიანთა მარცხი არ ყოფილა. მატარებელი სადგურში ჩაიყვანეს ნაწილ-ნაწილად.

ფეხბურთი

„საქ. სატყეო. მრეწველობის ტრესტი" —„საბჭოთა მუშაკები"

კვირას, 22 აპრილს, გაიმართა პირველი კატეგორიის გუნდების სამი კალენდარული შეჯიბრი.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდენ საბჭოთა მუშაკები და სატყეო მრეწველობის ტრესტის გუნდი. ეს უკანასკნელი წელს გადაირიცხა პირველი კატეგორიის გუნდებში.

შეჯიბრი დამთავრდა 3:3.

„გემო-კვების მუშაკები"—„არხრაიონი"

მოსალოდნელი იყო, რომ ეს შეჯიბრი საინტერესო გამოდგებოდა, მაგრამ მოლოდინი მთლიანად არ გამართლდა. გემო-კვების მუშაკებს აკლდათ საუკეთესო მოთამაშე (ცენტრ-ფორვარდი გ. ვარნაძე), რის გამო მათი [illegible] უსისტემოდ თამაშობდენ.

მიუხედავად ამისა, გემო-კვების მუშაკებმა მაინც მოიგეს შეჯიბრი 1:0.

„დინამო-ა"—„დინამო-ბ"

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი „დინამო-პირველისა" და „დინამო-მეორეს" შორის გაცხოველებით ჩატარდა. „დინამო-პირველის" ძირითად შემადგენლობიდან არ თამაშობდენ ქოიავა, ქებაძე და პარამანოვი, რაც თვალსაჩინოდ დაეტყო გუნდის თამაშს.

გუნდები თითქმის თანაბრად თამაშობდენ. მეორე ტაიმის მეორე ნახევარში საგრძნობი შეიქნა „დინამო-მეორეს" უპირატესობა. ამ უკანასკნელის მოთამაშეებმა რამოდენიმე კრიტიკული მომენტი შექმნეს „დინამო-პირველის" კარებთან, მაგრამ ვერ შესძლეს ამ მომენტების გამოყენება.

შეჯიბრი დამთავრდა 2:1 „დინამო-პირველის" სასარგებლოდ.

დოღი

სეზონის გახსნა

დოღის წრევანდელი საგაზაფხულო სეზონი 22 აპრილს გაიხსნა. დღის პირველ საათისათვის იპოდრომზე აურიცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა ადგილები დაკავებული იყო და უადგილობის გამო ფეხზედაც ბლომად იდგენ.

პროგრამა შესდგებოდა ექვსი დოღისაგან.

პირველ საბარიერო დოღში, რომელიც გამართული იყო მოხალისე მხედართათვის მონაწილეობა მიიღო რვა ცხენმა ქართულ და რუსულ ცხენოსანთა ნაწილებიდან.

თავიდანვე დაწინაურდა „ბური" (ცხ. № ლეგიონის ცხენი, მხედარი ვოზნესენსკი). მას ფეხ და ფეხ მისდევს „რური" (საკავშირო ესკადრონიდან), მაგრამ უკანასკნელი ბარიერის აღების დროს, იგი წაიფორხილებს და მხედარი ძირს ვარდება. „ბური" ფინიშთან სამი კორპუსით არის წინ და იმარჯვებს.

მეორე დოღში მონაწილეობა მიიღეს „სანტო"-მ (აზერბეიჯანის მიწსახკომის საწვრთნელ საჯინიბოს 4 წლის ფაშატი, ჟოკეი მ. მამედოვი) და „დორეჯან"-მა (საქ. მიწსახკომის საწვრთნელ საჯინიბოს ფაშატი, ჟოკეი ქ. გუდიევი). „სანტო" პირველად მიდის ფინიშთან და იღებს ჯილდოს (120 მანეთი).

მესამე დოღი გაიმართა მესამე ჯგუფის ცხენებისათვის. დისტანცია 1.600 მეტრი. ჯილდო 120 მანეთი. დოღში გამოვიდნენ „ჯებო" (მოქ. ჯ. ქანბეგოვის ცხენი, ჟოკეი ქ. გუდიევი), „აფტერ-ეს" (საქ. მიწსახკომის საწვრთნელ საჯინიბოდან, ჟოკეი რ. მამედოვი) და „გრა-კორი" (აზერბეიჯანის მიწსახკომის საჯინიბოდან, ჟოკეი მ. მამედოვი), ფინიშთან პირველი მოვიდა „აფტერ-ეს", მეორედ—„გრა-კორი".

მეოთხე დოღი გაიმართა მოხალისე მხედრებისათვის, დისტანცია—1.600 მეტრი. მასში მონაწილეობა მიიღო შვიდმა ცხენმა ქართულ და რუსულ ცხენოსანთა ლეგიონებიდან.

პირველობა აიღო „ბლოკადა"-მ (№ ცხენ. ლეგიონიდან,—მხედარი მანკოვი). მეორე ადგილი დაიკავა—„ბულგარკა"-მ (ქართულ ცხენ. ლეგიონიდან, მხედარი ურუშაშვილი).

განსაკუთრებით დიდი ინტერესით ჩატარდა მეხუთე დოღი: დისტანცია 2.000 მეტრი. ჯილდო 300 მანეთი.

დოღში მონაწილეობა მიიღეს კარგად ცნობილმა „ბერგენ"-მა (საქ. მიწსახკომის საწვრთნელ საჯინიბოს წმინდა სისხლის 4 წლის ულაყი, რომელმაც შარშან მოსკოვში აიღო საკავშირო ჯილდო და „საგიტერ"-მა (აზერბეიჯანის მიწსახკომის საწვრთნელ საჯინიბოს 4 წლის წმინდა სისხლის ულაყი.

ბაირაღის მოქნევა და ცხენები ელვის სისწრაფით გაექანებიან წინ. წინ გარბის „საგიტერ".

ცხენები უახლოვდებიან უკანასკნელ მოსახვევს. „ბერგენ" ეწევა „საგიტერს", უსწორდება და უსწრებს კიდეც. „ბერგენ" თითქმის სამი კორპუსით იმარჯვებს.

მეექვსე დოღი გაიმართა ნახევარ-სისხლა ცხენებით. დისტანცია 1.200 მეტრი. ჯილდო 100 მანეთი. მონაწილეობას იღებენ: „ატოს" (აზერბეიჯანის მიწსახკომის საჯინიბოდან; ჟოკეი მ. მამედოვი), „აბორიგენ" (საქ. მიწსახკომის საჯინიბოდან, ჟოკეი რ. მამედოვი), „აბესალომი" (ქართულ ცხენ. ლეგიონიდან, მხედარი კრუგლიკოვი), „უიდ" სამხრეთ-ოსეთის მიწსახკომის საჯინიბოდან, ჟოკეი კაზუმ-ოღლი) და „გუსარ" (ბაქოს საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილების ცხენი,—ჟოკეი მუსაევი). ფინიშამდე წინ მიდიოდა „ბორიგენი", მაგრამ მას წამოეწია „ატოსი", გაუსწრო და აიღო ჯილდო.

ს—ნი.

1927 წ. 10 პროცენტიანი სესხის ტირაჟი

20 აპრილს ბაქოში დაიწყო 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის ტირაჟი. პირველ დღეს გათამაშებული იქნა 480 ასმანეთიანი მოგება, რომლებიც ხვდა შემდეგ ნომრის ობლიგაციებს ყველა (ოცივე) სერიებში:

003.721	040.782	077.800	144.746
003.960	049.659	090.634	144.821
023.269	060.048	099.779	167.367
023.337	067.509	129.247	186.071
025.490	068.997	137.701	186.676
039.039	070.205	139.512	193.671

21 აპრილის დილის სხდომაზე გათამაშებულ იქნა 3.180 ასმანეთიანი მოგება, რომლებიც ხვდა შემდეგი ნომრის ობლიგაციებს ყველა (ოცივე) სერიაში:

005241	024185	050211	072209
007220	026279	051511	074616
009751	028156	056003	075132
010467	028507	056030	075580
011715	029478	056797	077173
014892	030247	056861	078398
015643	031851	058759	080770
016895	034026	059283	082614
016911	034313	059661	084806
017560	040864	061919	085442
018519	042468	062093	085749
019213	043919	062595	087471
020147	044898	064407	087662
020465	045395	064420	088862
021089	045500	064477	091700
021092	048036	064640	092272
022933	048943	066321	092304
023383	049423	066883	092810
023537	049778	070908	094206
023994	049917	070947	096103
097093	118416	153386	174706
097113	118625	154414	175833
098000	121732	154741	176672
098136	122841	155166	177348
100450	122946	155890	179494
101049	124931	156753	179789
101612	124993	159955	179795
102005	125244	160703	182892
103083	126106	162225	184210
106338	126581	162327	184962
107230	128864	164553	186867
107252	130607	166823	191559
108074	131402	167311	192765
108099	133068	168594	194341
108475	136928	168995	196519
108857	137414	170556	196930
110272	138504	171302	197744
112785	142638	171824	198638
113178	142723	172702	
114715	146753	173491	

გარდა ამისა ასმანეთიანი მოგებანი ხვდა: ობლიგაცია № 141904, სერია—9; ობლიგაცია № 150276 სერია—1-9, 11-20.

ტირაჟი დასრულდა

ბაქო, 23 აპრილი. ბაქოში დამთავრდა 1927 წლის 10 პროცენტიანი მომგებიანი სესხის ტირაჟი. 50.000 მანეთიანი მოგება ხვდა ობლიგაციას № 163.038, სერია 16.

25.000 მანეთიანი მოგება—ობლიგაციებს № 083.747, სერია—04 და 186.465, სერია—02

10.000 მანეთიანი მოგება—ობლიგაციებს: № 018796, სერია 12; 022.616, სერია 17; 037.391, სერია, 08; 060.326, სერია 01; 095.278, სერია 08.

5.000 მანეთიანი მოგება—ობლიგაციებს: 003.511, სერია 09; 008.048, სერია 05; 024.042, სერია 02; 026.850, სერია 04; 060.948, სერია 06; 062,296, სერია 02; 100.622, სერია 19; 111.233, სერია 05; 162.291, სერია 18; 193.406, სერია 05.

ტყეების მოწყობა

მიწსახკომის სახ. კომისარიატი შეუდგა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობას რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. სატყეო განყოფილებამ გორის მაზრაში უკვე გაგზავნა მიწის მზომელებისა და ტრაქტორების რაზმი, რომელიც მუშაობას შეუდგა 1 აპრილიდან.

გორის მაზრაში გლეხებს გადაეცა სულ 32.000 ჰექტარი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

ტყის მოწყობასთან ერთად გორის მაზრაში იწარმოებს ახალი ტყეების გაშენება 265 ჰექტარის სივრცეზე. აქედან 35 ჰექტარზე ახალი ტყე გაშენებული იქნება გორის მიდამოებში, 33 ჰექტარი—სურამის რაიონში. დანარჩენი გაშენებული იქნება მაზრის სხვადასხვა რაიონებში.

ახალი ბაღები

გორის მაზრაში

გორის მაზრის აღმასკომის ტრესტი შეუდგა 15 დესეტინა ხეხილის ბაღის და 12 დესეტინა ბოსტნის გაშენებას. ბოსტანში მოყვანილი იქნება უმთავრესად ბულგარული პილპილა და კიტრი საკონსერვო ფაბრიკის საჭიროებისათვის. ამასთანავე ტრესტი „თბილისის ვაჭრობასთან" ერთად შეუდგა წინასწარ მუშაობას 100.000 ფუთ საექსპორტო ვაშლის დასამზადებლად.

საკოოპერაციო სამუშაოთა საწარმოებლად სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასცა ტრესტისათვის 35.000 მანეთი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ამხ. ისაკოვთან ან დაურეკონ მას ტელეფონით № 14—70: დიმიტრი მთვარელიძე; ალექსანდრე ყამარაული; დავით ნასარიძე; პროკოფი ქეჟელიძე; გიორგი მონტინი; პრეობრაჟენსკი; იაროსლავსკი; პროკოფი მეგრელიშვილი; აპოლონ ჯაფარიძე; ეჯუბოვი; მხითარიგი (საქ. პროფსაბჭო); გარსევანიშვილი; ანდრია ტკაჩენკო; ანდრო კალანდაძე; ზოსიმე ჩახვაძე; კირილე ენუქიძე; ვლადიმერ ცაბაძე; ეგიკოვი (თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება); ლევან ტატულოვი; აზარაშვილი (სახ. ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი); ნიკოლოზ ბოკუჩავა; გრიგოლ პაპსუევი; მიხეილ ნინოძე; ვასილ მამულაშვილი; ხაჭაპურიძე (ამიერ-კავკ. კომუნისტ. უნივერსიტეტი), კაკაბიძე (სახ. უნივერსიტეტი); ბორის ლივშიცი (სახ. დაზღვევის სამმართველო) და ვასო ლაშქარაშვილი.

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 24 აპრილს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

—:—

საქართველოს ახ. ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 28 აპრილს, საღამოს 5 საათზე საქართველოს ახ. ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის მიღების კომისიის სხდომა.

სხდომაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ როგორც აღნიშნული კომისიის წევრები, აგრეთვე ის პირები, რომელთა ანკეტები დასამტკიცებელია თბილისის კომიტეტის მიერ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსა

1927—28 წ. აღმშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ

აღმშენებლობის საქმის მოწესრიგებისა და მისი ღირებულების შემცირებისათვის საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ავუკრძალოთ საქართველოს რესპუბლიკანური ორგანოების ქვემდებარე ყველა საწარმოს და ორგანიზაციას—შეუდგეს ახალ შენობათა და ნაგებობათა აღმშენებლობას, უკეთუ ამისათვის დეტალურად შემუშავებული და სათანადო წესით დამტკიცებული ტეხნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა არა აქვს. იმ დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, რომელსაც განზრახული აქვს 1928 წლის სეზონში საამშენებლო მუშაობა აწარმოოს, სასწრაფო წესით უნდა დაამთავროს მთელი მოსამზადებელი მუშაობა სათანადო პროექტების შესადგენად და ყველა პროექტის სათანადო ორგანოებში გასატარებლად.

2. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სასწრაფოდ განსაზღვროს სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის აღმშენებლობისათვის საჭირო ასიგნობათა საბოლოო რაოდენობა და მათთვის ფინანსების მიწოდების კალენდარული გეგმა. სათანადო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს აღმშენებლობის კალენდარული გეგმა საფინანსო გეგმის მიხედვით და უნდა იმართოს ღონისძიება საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საამშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ ა. წ. თებერვლის 21-ის თარიღით გამოცემული დადგენილების აღსასრულებლად.

3. წინადადება მიეცეს ა.კ.ს.ფ.ს.რ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და შრომის სახალხო კომისარიატს იმართონ ყოველგვარი ღონისძიება მუშა ძალისა და საამშენებლო მასალის ბაზრის მოწესრიგებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების (საამშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ) მიხედვით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაუყოვნებლივ განახორციელოს ს.ს.რ. კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 26-ის თარიღისა და 83 №-ის ბრძანება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმოებაში ქონებული მასალის ფასის შემცირების შესახებ,—ისეთ ფარგლებში, რომ ეს შემცირება იმაზე ნაკლები არ იყოს, რაც დაწესებულია ს.ს.რ. კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანებით.

5. დაევალოს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში—თვალყური ადევნოს, რათა სასწრაფოდ შესრულებულ იქნეს ს.ს.რ.კ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანება სხვადასხვა საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციის წარმოებაში ქონებული მასალის ფასის შემცირების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს იმართონ სასწრაფო ღონისძიებანი ადგილობრივი დასამზადებელი მასალის (ქვიშა, ქვა, ხრეში) რაციონალური ამოღებისა და დამზადების ორგანიზაციის საკითხის შესასწავლად და ამ მასალის აღმშენებლობისათვის თავის დროზე მისაწოდებლად. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალება—ცალკე შეისწავლოს და გამოარკვიოს საკითხი ადგილობრივი საამშენებლო მასალის შესახებ (გაჯი, ალებასტრი, თიხა, სიპი, სალებავი მასალა).

7. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად სასწრაფოდ შეიმუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ საამშენებლო მასალის (ქვიშა, ხრეში, ქვა) მოპოვების ადგილის საიჯარო ქირა შემცირებულ იქნეს 1927 წლისათვის დაწესებული ქირის 75 პროცენტამდე და სათანადო დადგენილების პროექტი წარუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიწადმოქმედებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს საკითხი ხე-ტყის მასალის ფასების შემდგომი შემცირების შესაძლებლობის შესახებ და სათანადო მოხსენება წარუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს ერთი თვის განმავლობაში.

9. სამუშაო ხელფასის დანარიცხის უკიდურეს ნორმად დაწესებულ იქნეს 16 პროც. მუშა-ძალის ღირებულებისა, რათა ცალკე ლიმიტების დადგენის დროს ყველა ორგანიზაციამ და დაწესებულებამ იხელმძღვანელონ სათანადო წესები, რაც გამოცემულია ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წლის თებერვლის 6-ს. საერთო რაოდენობა დანარიცხისა საორგანიზაციო და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ ხარჯზე, როგორიც არის, მაგალითად,—დაპროექტირება, ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ცენტრალური და წარმოებითი აპარატების შენახვა და ტეხნიკური ზედამხედველობა,—მთლად ნაგებობის ღირებულების 8 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

10. დაევალოს საქართველოს ეკონომიური საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად სასწრაფოდ შეიმუშაოს დებულება საამშენებლო სამუშაოთა ფასების ცალკე რაიონების მიხედვით მოწესრიგების შესახებ და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

11. დაევალოს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს სათანადო ინსტრუქციები და დებულებანი, რითაც მოწესრიგებულ უნდა იქნეს საამშენებლო სამუშაოთა პროექტების შედგენისა და ამ სამუშაოთა წარმოების საკითხები.

12. აღმშენებლობის საქმის გაიაფებისა და განმტკიცების მიზნით დაევალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტსა და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს შეიმუშაონ საბინაო აღმშენებლობის სტანდარტო ნორმები.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—**ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 20.

თბილისი—სასახლე.

რადიო გადაცემა

სამშაბათი, 24 აპრილი

დღეს, 24 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

კოოპერაცია და ახალი ყოფა—მოხსენება ქართულ ენაზე.

ტეხნიკის როლი მომავალ ომში—მოხსენება რუსულ ენაზე.

ქალის როლი კულტურულ რევოლიუციაში—მოხსენება რუსულ ენაზე.

რადიოს მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

გაზეთი „პროლეტარი"—სომხურ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენების შუა მუსიკალური ნომრები.

დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, შვილი თამრიკო, დედა ანიკო, სიდედრი ელისაბედი, ძმები: ცოლებითურთ, ცოლისდები და ქვისლი, დეიდა შვილი ქმრით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ 2156

ალექსანდრე კონსტანტინე-ძე გველესიანის
(კახელის)

უდროოთ ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 აპრილს, 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე ბინაზე (კოოპერაციის ქ. № 12). 2—1 2156

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო, შვილები: შიო, თამარი, ელენე, მირიანი, დონარა და ვახტანგი. რძალი კატუშა, სიძეები: არსენ ლომთათიძე შვილებით და ნიკო ინანიაშვილი შვილებით, დები: პელაგია, ნინო და რიფსიმე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 22 აპრილს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა მასწავლებელი

ნიკოლოზ შიოს ძე ბარნაბიშვილი

დაკრძალვა 24 აპრილს, სამშაბათს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, ტურგენევის ქ. № 9 ნაშუადღევის 4 საათზე. 2173

აპოლო	სეზონის საუკეთესო სურათი **მეორე ქორწინება** დადგმა უნიჭიერეს რეჟისორის ჟაკ ფეიდარის
არფასტო	მეორე კვირა **„ნამდვილი მამაკაცი"**
სოლეი	რევოლიუციონური ფილმი **ოქტომბერი** სცენარი და დადგმა ეიზენშტეინის და ალექსანდროვის
დარბაზი	ტარზანი სურათში **„ბუქონის ნაპირთა საიდუმლოება"** 1 და 2 სერია
ოდეონი	მხატვრული სურათი **შხამი** ლუნაჩარსკის პიესის მიხედვით.
პროლეტარი ავლაბარი	**აფრიკის ასული** უკანასკნელი 3 და 4 სერია ერთად | მალე ნიშანი ზერო

სახკინმრეწვის თეატრები

ანონსი: მალე მხატვრული სურათი „კრაზანა" საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოება. 0—17

ა. წ. 8 მაისს, ხუთშაბათს, დღის 12 საათზე ქ. თბილისში, კურორტთა მთ. სამმართველოს შენობაში ძნელაძის (ყოფ. მესანგ.) ქ. № 30

დანიშნულია

შერეული საჯარო შეჯიბრება

შენობათა და მოწყობილობათა იჯარით გაცემაზე:

ბორჯომში:

1. კურზალის ბუფეტი (მარტო რძეულობის და ტკბილეულობის გაყიდვის უფლება).
2. საბილიარდო და ნარდი კურზალში.
3. საექიმო სასწორი პარკში.
4. ლოტოს სათამაშო ფარდული პარკში.

წაღვერში:

1. მონოპოლიური უფლება შუქმსახვაზე (ფოტოგრაფია).

აბასთუმანში:

1. მონოპოლიური უფლება შუქმსახვაზე.
2. საექიმო სასწორი.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველნი ვალდებულნი არიან შემოტანილ განცხადებაში თითოეულ ზემოდ ჩამოთვლილ შენობის ან მოწყობილობისათვის შემოძლეული თანხა ცალ-ცალკე აღნიშნონ. განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს ქვითარი ხაზინისა ან კურორტთა მთავარ სამმართველოს სალაროსი შემოძლეულ თანხის 10 პროც.-ის გირაოს შეტანისა. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე საჯარო შეჯიბრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში 5 მაისს მოხდება განმეორებითი სიტყვიერი შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, როგორც წერილობითი განცხადების წარმომდგენელს, ისე სხვა პირებსაც, რომელთათვისაც სავალდებულოა 10 პროც.-ის გირაოს წარდგენა.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოში. ოთახი № 26 ყოველდღე, გარდა უქმეებისა, დღის 12—2 საათამდე. ნ. 1001

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) მიღება 9—12 2—6 ს. 3—1

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქიატრიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ჟორესის ქ. კუთხე.

კბილის ექიმი

დ. ს. რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

მალე თბილისის საუკეთესო კინოებში

ნატა ვაჩნაძე
ი. მერაბიშვილი
ა. იმედაშვილი
ე. იმერელი

მხატვრულ სურათში

კრაზანა

ვოინიჩის რომანის მიხედვით.

დადგმა რეჟისორ კ. მარჯანიშვილის
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები.

დონის შუშეულობის მრეწველობის

„დონლესსტეკლოსტრომ"-ის

გამგეობა

აცნობებს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ მან თავისი შუშეულობის ქარხნების გენერალური წარმომადგენლობა საქართველოში — ავტონომიური რესპუბლიკებით—და სომხეთში გადასცა საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობას „გრუზგოსტორგ"-ს.

2—2 ნ. 952 გამგეობა

საქ. სახელმწ. სავაჭრო საპაიო საზ-ბის

„გრუზგოსტორგ"-ის გამგეობა

თბილისი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა, ტელ. № 18—94, 7—71.

ამით აუწყებს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ მან დონის შუშეულობის მრეწველობისაგან

„დონლესსტეკლოსტრომ"-ისაგან

მიიღო გენერალური წარმომადგენლობა საქართველოში—ავტონომიური რესპუბლიკებით და სომხეთში ამ ტრესტის სისტემაში შემავალ შუშეულობის ქარხნების ნაწარმოების გასაღებაზე.

სწარმოებს დაკვეთების მიღება ყოველგვარი სახის და სიდიდის ბოთლებზე, მურაბის ქილებზე, აფთიაქის ჭურჭლეულზე, სამელნეებზე, და სხვ. ქარხნებიდან გადმოტანით და აგრეთვე ჩვენ საწყობებიდან უშუალოდ გაცემით.

საქონლის ტრანზიტით გაცემის დროს ქარხნის ფასებზე დამატებითი ფასი არ არის დადებული.

2—2 951 გამგეობა.

ა. წ. 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე

საქ. სახელმწ. ვაჭრ. საპ. ამხანაგობის

შენობაში (თავისუფლების მოედანი № 2), შესდგება

შეჯიბრება

60.000 ვაშლის საყუთე მასალის ჩასაბარებლათ.

წინადადებანი წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ პაკეტებში წარწერით:

„საყუთე მასალის შეჯიბრებისათვის".

ტეხნიკური პირობების გაცნობა შეიძლება ამავე დაწესებულების დამამზადებელ განყოფილებაში ყოველდღე 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ნ. 1000 გამგეობა.

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლო აღმასრულებ.

კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 7 მაისს 1928 წ. საათის 12 დღისა, საბჭოს ქ. № 79 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ისაი რეიმანის მოძრავ ქონებას ოქროს საათს და ბეჭედს, მებელს, სერვიზს ლამპებს, სარკეს, ბუფეტის შკაფს, ვერცხლის სუფრის კოვზებს, დანაჩანგლებს, სამზარეულოს ჭურჭლებს, ვაზას და სხვ. შეფასებულს 475 მან. დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო სპირტის ტრესტისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2171

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

აცხადებს ა. წ. 15 მაისს. 14 საათზე ქ. ქუთაისში

შერეულ შეჯიბრს

სადერივაციო არხის ამოთხრის დაყრილის მოწყობის მიწის სამუშაოებზე პალობ. 41 პალ. 75-მდე და პალ. 75 პალ. 86-მდე.

საორიენტაციო რაოდენობა მუშაობისა: ამოთხრება დაახლოვებით 36.000 კუბ. მეტრი და ყრილი დაახლოვებით 190.000 კუბ. მეტრი.

სამუშაოს დაახლოვებითი ღირებულება 650.000 მ.

სამუშაოთა შესრულების ვადა 16 თვე.

დაწვრილებითი წერილობითი კონდიციების განხილვა აღნიშნულ სამუშაოებზე შეიძლება სამუშაოთა სამმართველოში ქ. ქუთაისში ყოველდღე 10—13 საათამდე.

იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც სურთ მიიღონ ეს სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე, დაბეჭდილ კონვერტში წარწერით: „რიონჰესის მთავარ ინჟინერს 15 მაისის შეჯიბრისათვის".

იმ პირებმა და დაწესებულებებმა, რომელნიც არ არიან განთავისუფლებული საწინდარისაგან, შეჯიბრის დაწყებამდე სამუშაოთა სამმართველოს სალაროში უნდა შეიტანონ საწინდარი მათ მიერ შენაძლევ სამუშაოთა ღირებულების 10 პროც. რაოდენობით.

ნ. 997 2—1 მთავარი ინჟინერი მელიქ-ფაშევი.

ქ. ქუთაისი

ექ. თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

სწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.ტელ ეფ. № 1—90 25—11.

მინოგრაფია

СТЕКЛОГРАФИЯ

სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ

ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47001, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მინოგრაფიისთვის საჭირო მაღალი ხარისხის **რეაქტივებს** რომლებიც დაეთმობათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მინოგრაფებს ოფიციალურ მოთხოვნის წარმოდგენისათანავე მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

რძისა და კეფირის ლაბორატორიაში

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

დაიკარგა: საბ. სავაჭ. მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 11787 ანასტასია ქაიხოსროს ასული მაღალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2172

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 66794 და № 48640, ჩ. გ. 2169

დაიკარგა: სიღარიბის მოწმობა გაცემული რაჭის მაზრის ნამანევის თემიდან და მოწმობა თემხაში სამსახურში მიღების შესახებ შალვა დვალის სახელზე, ჩ. გ. 2170

დაიკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი, სამხედრო აღრიცხვის ბარათი და დამხმარე სალაროს წიგნაკი სიმონ ყაჭეიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1002

პოლიგრაფტრესტის მე-4-ე სტამბა, კამოს ქ. № 65